# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 1 ოქტომბერი 1999 №188 (961) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მერაბ ჟორდანია: ვაღიარებთ, შევცდით

შვეიცარიიდან ახალდაბრუნებულმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გუში პრესკონფერენცია გამართა

## ჩვენ პაპუასები აღარ ვართ

მაროკოს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სერიოზულად განუზრახავს

## თბილისის ღია ქართველებისთვის დაიხურა

CARTU & TBILISI LADIES OPEN



ლოყებღაჟღაჟა რუსმა სიცხიანი ჩახნაშვილი დაგვიჩაგრა

## რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



რუსუდან ხოფერია

# ჯანაშიამ გაიტანა... ჯამარაულმა გაიტანა... არველაძემ გაიტანა...

UEFA CUP

ქართულმა გუნდებმა ევროპულ სარბიელზე კიდევ ერთხელ შეირცხვინეს თავი. მართალია თბილისის „ლოკომოტივის" 0:2 მარცხს სალონიკის პაოკ-თან მათი თბილისური თამაშის ანგარიშის (0:7) ფონზე შერცხვენა შეიძლება არც დავარქვათ, მაგრამ ქუთაისის „ტორპედოს" შედეგს ათენში აეკ-ის წინააღმდეგ (1:6)... საბედნიეროდ, ქართველებს გულის მოფხანის საშუალებაც მოგვეცა. უცხოეთის გუნდებში მოთამაშე ჩვენებურებმა გოლები გაიტანეს. ისე, ამბობენ, ფხანა ქეცმა იცისო...

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი



REUTERS

ლოკომოტივი — ლიუნგბიუ 3:0. ზაზა ჯანაშიას (№9) შეჩერებას დანიელი მორტონ პეტერსონი ცდილობს

# დღეს საქართველოს IX საკალათბურთო ჩემპიონატი იწყება

საქართველოს ჩემპიონატი



ახალ, თორმეტგუნდა ჩემპიონატში ორი დებიუტანტია: ბათუმის „ბასკო" და „გორი", რომლებიც პირველსავე ტურში ერთმანეთს ბათუმში შეხვდებიან. ამ გუნდების შესახებ მეთოთხმეტე გვერდზე წაიკითხავთ. პირველი ტურის დანარჩენ მატჩებში, თბილისში, ვერის ბაღში ერთმანეთს შეხვდებიან:

დღეს

| | |
|---|---|
| მაკაბი — დინამო | 13.00 |
| ვითა — სდასუ | 15.00 |
| ასკ — აზოტი | 16.45 |

ხვალ

| | |
|---|---|
| სსუ — თსუ | 16.00 |
| შევარდენი — სტუ | 17.45 |

ჩემპიონატში მონაწილე გუნდების განაცხადები იხილეთ მეცამეტე გვერდზე.

**ვასილიოს საბრაკოსი ათენიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

# საბერძნეთი 16 საქართველო 1

ამ მატჩში აეკ-ის ფეხბურთელებს ორი მიზანი ჰქონდათ: ერთი, უეფას თასის მომდევნო ეტაპის საგზური მოეპოვებინა და მეორე, გაემართლებინა გუნდის მწვრთნელ ტუმბაკოვიჩის ნათქვამი, აეკ-მა კარგი შედეგების ჩვენება დაიწყოო.

ბერძნულმა გუნდმა ორივე ამოცანა წარმატებით შეასრულა. მატჩის ბედი ფაქტობრივად დასაწყისშივე გადაწყდა, ჯერ კიდევ მაშინ, „ტორპედოს“ „სალამო მშვიდობისა“ ბოლომდე რომ არ ეთქვა.

მერვე წუთზე ტორპედოელთა მცველმა მალლაკელიძემ ტონი სავევსკის ჩაწოდებული ბურთი ხელით გააჩერა და ჩეხმა მსაჯმა ლიბამ პენალტი დანიშნა. აეკ-ის მწვრთნელ ტუმბაკოვიჩის მონდომების შედეგად ესპანური „ბარსელონიდან“ ათენს გადმობარგებულ ჩირიჩს კი, აბა რა ღმერთი გაუწყრებოდა ჭანტურიასთვის არ გაეტანა. მასპინძლები დაწინაურდნენ და „ტორპედოს“ რბევაც აქედან დაიწყო.

ქუთაისელთაგან ერთადერთი ვისი გამორჩევაც ღირს, სწრაფი ჯანაშიაა. მთელი მატჩის განმავლობაში ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მხოლოდ ის იყო მონდომებული და მარტო ცდილობდა ატმაციდისის კართან მიახლოებას. დანარჩენები კი დუნედ, მონოტონურად თამაშობდნენ, ბურთის მიღება და მოშორება ერთი გახლდათ,

უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალი. საპასუხო მატჩი. პირველი მატჩი 1:0
30 სექტემბერი. 19 საათი. ათენი. ნეას სმირნისი. 12 000 მაყურებელი

## აეკ 6:1 ტორპედო

1:0 ჩირიჩი (8პ), 2:0 ბიეკოვიჩი (22), 3:0 მალადენისი (24), 4:0 კოპიცისი (44), 4:1 მეგრელაძე (73), 5:1 ნიკოლაიდისი (74), 6:1 კოპიცისი (88)

*აეკ: ატმაციდისი, კოპიცისი, მატიასევიჩი, დელასი, კალიცაკისი, ჩირიჩი, ზიკოსი (ვრეტარსონი 57), სავევსკი (მარკოსი 62), მალადენისი (კონსტანტინიდისი 50), ბიეკოვიჩი, ნიკოლაიდისი*

*ტორპედო: ჭანტურია, ხვადაგიანი, მალლაკელიძე, შეყრილაძე, ახვლედიანი (ვოგიაშვილი 31), თურმანიძე (ამისულაშვილი 78), ჩხეტიანი, კვეტენაძე (იმედაძე 52), იონანიძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე*

*გაფრთხილება: ბიეკოვიჩი (50), იონანიძე (77), მალლაკელიძე (87)*
*მსაჯი: მ. ლიბა (ჩეხეთი)*


ქართველთაგან ერთადერთმა გია მეგრელაძემ (№10) გაუტანა ბერძნებს გოლი

მამუკა ქარჩიას ფოტო

ზედიზედ სამი-ოთხი პასის გაკეთებაც უჭირდათ.

ჩემი კოლეგათა ნაამბობიდან ვიცოდი, „ტორპედო“ საკმაოდ კარგი, დალაგებული გუნდი იყო, მეც დაძაბული და საინტერესო მატჩს ველოდი, მაგრამ... აეკ-ის უპირატესობაზე ანგარიშიც კარგად მეტყველებს და, ყველაფერს, მატჩის თითოეულ ეპიზოდს, თუნდაც ნახევარს რომ მოგიყვე, ალბათ თქვენთვისაც მოსაწყენი იქნება და ალბათ, აღარც არის ამისი აუცილებლობა. ერთი სიტყვით, აეკ-მა „ტორპედო“ აბსოლუტურად ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჯაბნა.

[illegible] ვერ გაიგებდა, რა ტაქტიკური ჩანაფიქრი ჰქონდა „ტორპედოს“. სტუმრებმა ფაქტობრივად დაცვის გარეშე ითამაშეს, რამდენიმე ფეხბურთელი საკუთარ კარს კი იცავდა, მაგრამ ამას დაცვა არ ჰქვია, არც ნახევარმცველები ჰგავდნენ საკუთარ თავს. ერთი რაა, ის ერთი ნორმალური კომბინაციაც არ გაუთამაშებიათ ქართველებს. აეკ-ს კი, იმ ექვსი გოლის გარდა, ყველაზე ცოტას ვამბობ, ორჯერ კიდევ უნდა გაეტანა, 62 და 90 წუთებზე ბერძნებმა ისეთი მომენტები გააცუდეს, უკეთესს ვერც ინატრებდნენ — „ტორპედო“ ორჯერვე ძელმა იხსნა.

ქართველ ქომაგთა დასამშვიდებლად მხოლოდ ის თუ გამოდგება, მეგრელაძის მართლაც ჩინებულ გოლს, მიწისძვრისგან დანგრეულ „ნიკოს გუმასის“ ნაცვლად „ნეას სმირნისზე“ შეკრებილმა მაყურებელმა ტაში რომ მიაყოლა: მარცხენა ფლანგზე რამდენიმე ბერძენის მომტყუებელმა მეგრელაძემ შორეულ კუთხეში გაიტანა.

მატჩის შემდეგ მეტოქეთა მწვრთნელებმა ეს თქვეს:

*დავით ყიფიანი, „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი:* დღეს აეკ-ი არა მხოლოდ „ტორპედოზე“ უკეთესი გუნდი იყო, არამედ ბევრ სახელოვან კლუბზე ძლიერიც. ამას ნამდვილად არ ველოდი. აეკ-მა ქუთაისში სუსტად ითამაშა და დღეს თუ ამხელა უპირატესობა ექნებოდა, არ მეგონა.

*ლიუბიშა ტუმბაკოვიჩი, აეკ-ის მთავარი მწვრთნელი:* კლასში სხვაობა ძალიან დიდია. ასეთ ანგარიშს არ ველოდი, თუმცა მატჩის დასაწყისშივე გატანილმა გოლმა მნიშვნელოვნად გაგვიადვილა საქმე.

# პაოკს თადარიგიც შეარგა

თბილისის „ლოკომოტივი“ ამჯერადაც დამარცხდა, ოღონდ თბილისურ ანგარიშთან შედარებით უფრო „მოკრძალებულად“ — ქართველმა ფეხბურთელებმა სალონიკში, იქაურ პაოკ-თან საპასუხო მატჩისას ორადორი გოლი იკმარეს.

ისიც აღსანიშნავია, რომ მწვრთნელშეცვლილმა რკინიგზელებმა შესვენებამდე მეტოქეს გოლის გატანის საშუალება არ მისცეს და ტაიმიც მშვიდობიანი ანგარიშით ჩაამთავრეს.

მერე კი, როცა მეორე ტაიმის თხუთმეტი წუთი მიილია მასპინძელთა მწვრთნელმა არი ჰაანმა ერთბაშად სამი ფეხბურთელი შეცვალა და ორიოდ წუთში პაოკ-იც დაწინაურდა: 62-ე წუთზე შავკანიანმა კოლუმბიელმა ადოლფო ვალენსიამ, რომელსაც თბილისში საერთოდ არ უთამაშია, „ლოკომოტივის“ კარში დანიშნული პენალტი ზუსტად შეასრულა.

ეს ანგარიში სალონიკის „ტუმბასის“ სტადიონის ტაბლოზე 88-ე წუთამდე ციმციმებდა, იქამდე, სანამ შეცვლაზე შესულმა სრულიად ახალგაზრდა სალპიგიდოსმა მეორედ არ გაუტანა ჩვენებურ მობურთალთ.

სამწუხაროდ ასეთია მწარე რეალობა. წუხელ, როცა ეს მატჩი დამთავრდა და „სარბიელის“ რამდენიმე მკითხველს „ლოკომოტივის“ ოდენ ორბურთიანი სხვაობით დამარცხების ამბავი ვაცნობეთ, ვა, მეტი არაო, გაკვირვებულნი კითხულობდნენ.

დიახ, მეტი არა, მაგრამ, ამით ჩვენ რა ნუგეში? თუმცა რაღა ნუგეში, შინ რომ 0:7 წააგებ, მერე, რაღა თქმა უნდა ასეთი ანგარიშით მარცხიც გასაკვირია.

და კიდევ: პაოკ-ს თავის უძლიერესი შემადგენლობით ეთამაშა, ღმერთმა იცის, ეგებ სალონიკშიც თბილისის მსგავსი კოშმარი განმეორებულიყო.


„ლოკომოტივს“ ნახევრად-სათადარიგო პაოკ-ი დახვდა, მაგრამ მაინც მოუგო

ნუგზარ კახიანის ფოტო

უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალი. საპასუხო მატჩი. პირველი მატჩი 7:0
30 სექტემბერი. 21 საათი. სალონიკი. ტუმბასი. 6 000 მაყურებელი

## პაოკ 2:0 ლოკომოტივი

1:0 ვალენსია (62პ), 2:0 სალპიგიდისი (88)

*პაოკ: კოვიჩი, თეთრაძე (ფრანცესკოსი 60), ზაფირიუ (ნავბე 60), კულაკიოტისი, ხასიოტისი, მახარიდისი (სალპიგიდისი 60), კაფესი, ტურსუნიდისი, ვალენსია, ვრიზასი, კარადიმოსი*

*ლოკომოტივი: ასლანაძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, მ. ქობულაძე, ბაქრაძე, კ. მელქაძე (ბარნოვი 65), ლ. მიქაძე, შაგვულიძე (ბერაძე 82), კაციაშვილი, ჩომახიძე (გ. გველესიანი 89), ქებაძე*

*გაფრთხილება: ბაქრაძე, ჩიხრაძე*
*მსაჯი: დ. მალკოლმი (ჩრდ. ირლანდია)*

# მერაბ ჟორდანია: ვაღიარებთ, შევცდით!

## დინამო უნდა გადახალისდეს



მერაბ ჟორდანია

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია უეფაში მორიგი ვიზიტის შემდეგ შინ რამდენიმე დღის წინ დაბრუნდნენ.*

*ფედერაციის ჩინოსნები შვეიცარიაში, ქალაქ ნიონში უეფას ახალი შტაბბინის საზეიმო გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ, იქვე საგანგებო კონფერენციაზე გამომსვლელ ორატორებსაც დაუგდეს ყური და როგორც ყოველთვის, ახლაც სპორტის დეპარტამენტში მიგვიწვიეს, სასაუბრო დაგროვდაო.*

*პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ჯერ შვეიცარიიდან ჩამოტანილი ამბები მოგვიყვა, მერე კი ნაწილობრივ იმაზეც თქვა, ფედერაციამ შარშანდელი ოქტომბრიდან დღემდე რაც გააკეთა. და მთავარი თემა — ეროვნული ნაკრები, მისი წარსული და მომავალი.*

*ერთი სიტყვით, მერაბ ჟორდანიამ სადღეისოდ თითქმის ყველა აქტუალურ საკითხზე ილაპარაკა, არც ფედერაციის ყადაღა დადებული ანგარიში გამორჩენია.*

— ჟენევის კონფერენციაზე უეფას თანამშრომლებმა აქცენტი ეროვნულ გუნდებზე გააკეთეს, ბოლო დროს კლუბებს ვუთმობდით დიდ ყურადღებას და ახლა, როცა საწადელს მივაღწიეთ და ევროპის საკლუბო ტურნირები ერთობ პოპულარობით სარგებლობს, დროა, ნაკრებებზეც ვიზრუნოთ, ეროვნული გუნდების ავტორიტეტი მათსავე კლუბებმა არ უნდა დაჩრდილოსო, თქვეს უეფას წარმომადგენლებმა. მათ კატეგორიულად განაცხადეს, რომ ნაკრებებს შესაკრებად ოთხ დღეზე მეტი დრო არ დაეთმობათ, ევროპის საფეხბურთო კალენდარი ისედაც გადატვირთულიაო. სიტყვა ჩამოვარდა ახალ ევროტურნირზეც. გაუქმებული თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნაცვლად, არაა გამორიცხული, უახლოეს მომავალში ევროპაში სხვა საკლუბო ტურნირი ჩატარდეს.

... იმ 11 თვის განმავლობაში, რაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვარ და საერთოდ, ქართული ფეხბურთის მართვა ახალმა ფედერაციამ დაიწყო, ბევრი რამ გაკეთდა, წინასაარჩევნო პროგრამაში, ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ერთი წლის განმავლობაში 300-400 ათასი დოლარის მოზიდვას ვაპირებდი უცხოელი პარტნიორების დახმარებით. ახლა კი გეტყვით, რომ თანხამ მილიონ ორასი ათასსაც მიაღწია. 200 ათასი ძველი ვალის გასტუმრებას შევალიეთ, მნიშვნელოვნად გავზარდეთ ფედერაციის თანამშრომელთა ხელფასები, მსაჯები თავიანთ რუს კოლეგებზე მეტს იღებენ, თანაც დროულად, ანაზღაურება არ უგვიანდებათ. შევცვალეთ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების სტრუქტურა, რაც, დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ მნიშვნელოვნად აამაღლებს ჩემპიონატის დონეს.

11 თვის განმავლობაში საქართველოს არც ერთ ნაკრებს არაფერი გასჭირვებია, შეკრება, ჩარტერული რეისები, ცხოვრება ერთი თამაშისთვის 100-120 ათასი გვიჯდებოდა, თანაც ჩვენი ყადაღა დადებული ანგარიშის პირობებში, მაგრამ როცა საქმე ნაკრებებს ეხებოდა, წელებზე ფეხი დაგვიდგამს და მათთვის არაფერი გაგვიჭირვებია.

შეპირებული, სოლიდური პრემიების დასარიგებლადაც, მზად ვიყავით, თუმცა თავადაც ხედავთ, გუნდებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს, განსაკუთრებით კი — ეროვნულმა.

საქართველოში პირველად ჩატარდა მოყვარულ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, სადაც ჩვენებურებმა გაიმარჯვეს და ახლა, სანამ ვენეციაში გაემგზავრებიან, კიდევ ორ შეკრებას მოვუწყობთ, ერთი ამ დღეებში დაამთავრეს.

ოქტომბრის ბოლოს თბილისი კიდევ ერთი შესარჩევი ჯგუფის თამაშებს უმასპინძლებს — 16-წლამდელები ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლებენ.

ვეტერან ფეხბურთელებს უკვე დავუნიშნეთ პენსიები და შეძლებისდაგვარად ყოველთვიურად ვეხმარებით.

მე კარგად მესმის, რომ ყოველივე ზემოთქმული ქომაგისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, მთავარი შედეგია, რითაც ქართული ფეხბურთი ჯერჯერობით ვერ დაიკვეხნის.

... ფედერაციის პრეზიდენტად ჩემი არჩევისას, გეხსომებათ, ეროვნულ გუნდში კონფლიქტი იყო. მაშინ მაქსიმალურად ვეცადე, ყველაფერი მომეგვარებინა, ფეხბურთელებს უცხოეთშიც ვესტუმრე, ვიფიქრე, დასრულდა დაპირისპირება-მეთქი, მაგრამ, როგორც ახლა ჩანს, უნდა ვაღიარო — შევცდით. ისიც ნათელია, რომ ახალმა მწვრთნელმაც ვერ გაამართლა. თუმცა, დამეთანხმებით, წარუმატებლობის მარტო მწვრთნელებისთვის გადაბრალება გაუმართლებელია, ასეთ შედეგზე პასუხისმგებელნი უმეტესწილად ფეხბურთელები არიან. ისიც არ იყო სწორი, რომ ზოგიერთებს მხოლოდ სახელის გამო იწვევდნენ ნაკრებში, არადა, ისინი თავიანთ კლუბებში ვერ თამაშობდნენ, პრაქტიკა აკლდათ. პირობას გაძლევთ, ახალი შესარჩევი ციკლიდან ბევრი რამ შეიცვლება. ახლანდელი ნაკრების ზოგიერთი წევრისთვის მსოფლიოს 2002 წლის შესარჩევი მატჩები ბოლო შანსი იქნება თავის გამოსაჩენად. და თუ ძველებურად ითამაშებენ, დრო გავა და, როგორც მეორეხარისხოვან ფეხბურთელებს, ისე მოიხსენიებენ. არადა, შეუძლიათ, სახელი დატოვონ.

რაც შეეხება ეროვნული ნაკრების ახალ მწვრთნელს, მის ვინაობას ფედერაციის საგანგებო კომიტეტი გადაწყვეტს, რომლის წევრებიც ვალერი ჩოლარია, ალექსანდრე ჩივაძე და თავად გახლავართ. ჯერჯერობით იმდენი საქმე გვაქვს, ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატებთანაც არ გვისაუბრია, თუმცა კი ჯერ საამისოდ არც არვინ შეგვიგულებია. აქედან გამომდინარე, კანდიდატებზე ვერაფერს გეტყვით.

ბოსკამპზე რაღა ვთქვა, ვფიქრობ, მცოდნე სპეციალისტია, საქმე კარგად იცის, ამაში მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულმა ნაკრებისა და „დინამოს" მატჩებმაც დამარწმუნა, მაგრამ ბოსკამპს არ გაუმართლა, „დინამოსა" და ნაკრების შედეგებზე სახარბიელოს ვერაფერს ვიტყვით.

... ფეხბურთის ფედერაციის ყადაღა დადებული ანგარიშის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტმაც იცის, ჩვენს თხოვნას მან შესაბამისი რეზოლუციაც დაადო: „სასწრაფოდ გამონახეთ პრობლემის გადაწყვეტის გზები". ახლა ის ფურცელი ფინანსთა სამინისტროშია, მაგრამ სასიკეთო კვლავ არაფერი ისმის. ასეთ ვითარებაში კიდევ კარგად ვმუშაობთ, ზოგ-ზოგიერთები კი გვაძაგებენ. გეკითხებით, რა ვქნათ? ძველი ფედერაციისგან დატოვებული ვალიდან 200 ათასი უკვე გავისტუმრეთ, სამასი კიდევ დაგვრჩა. ამასაც გავისტუმრებთ, აბა, რას ვიზამთ, სად გავიქცევით. ისე, რომ იცოდეთ, ფეხბურთის ფედერაცია მაინც იმუშავებს და კიდევ ბევრ სასიკეთოს გააკეთებს.

... თბილისის „დინამო" ახლა, ფაქტობრივად, ჰაერშია გამოკიდებული. კლუბს ძველი რეგისტრაციის ვადა გაუვიდა, ახალი კი იუსტიციის სამინისტროში ჯერაც არ გაუვლია. და თუ უახლოეს მომავალში კლუბმა ფეხბურთელების პრობლემები არ მოაგვარა და ბიჭებმა დახმარებისთვის ჩვენ მოგვმართეს, თავისთავად მათ კლუბიდან გავათავისუფლებთ, „დინამო" კი ან დაიშლება, ანაც მეორე, რეგიონალურ ლიგაში დაქვეითდება.

ფედერაციის პრეზიდენტად ჩემი არჩევის შემდეგ „დინამო" და ნებისმიერი სხვა კლუბი ერთმანეთთან გავაიგივე, პრეზიდენტს ერთ, რომელიმე კლუბში პირადი ინტერესი არ უნდა ჰქონდეს. მეც მხოლოდ ჩემი დღევანდელი, ფედერაციის პრეზიდენტის საქმიანობით ვარ დაკავებული. თბილისის „დინამოს" შენარჩუნებისთვის კი უკვე ახალი ხალხია საჭირო, ახალი სისხლი, იქაურობა უნდა გადახალისდეს.

რაც შეეხება დიღმის საწვრთნელ ბაზას, იქაურობას არავის დავანებებთ. ამ საქმეში, თუ საჭირო გახდა, ფედერაციაც ჩაერევა.

*მერაბ ჟორდანიამ ამით დაამთავრა, კეთილად დაგვემშვიდობა და... და მაინც, მომავლის იმედით.*

**კობა ინასარიძე**



ჟორდანიას პრესკონფერენციაზე ხალხმრავლობა იყო

# სულ ბიუჯეტის ბრალია

## უპატრონოდ მიგდებული არსენალი ბათუმში ჩასვლას არ აპირებს

საქართველოს მეთერთმეტე ჩემპიონატის მეშვიდე ტურში, თუ სასწაული არ მოხდა, დაგეგმილი რვა მატჩის ნაცვლად მხოლოდ შვიდი გაიმართება. თამაშები წინა ორ ტურშიც გადაიდო, თუმცა მაშინ „თბილისს", თსუ-სა და „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელები 18 წლამდე ასაკის ნაკრებში ჰყავდათ მივლენილი. ამჯერად კი მიზეზი ქართული ფეხბურთისთვის (და არა მარტო ფეხბურთისთვის) ძალიან მტკივნეული — უსახსრობაა.

თბილისის „არსენალის" გასაჭირი ქართული ფეხბურთის ქომაგთ კარგად მოეხსენებათ. თითქმის მთელი მეათე ჩემპიონატი კლუბის ფეხბურთელებმა დაპირებებით ითამაშეს. „არსენალის" ხელმძღვანელობაც ხან ასრულებდა ბიჭებისთვის მიცემულ სიტყვას, ხან ვერა. საბოლოოდ არმიელებმა პირველობა ისე ჩაამთავრეს, კუთვნილი გასამრჯელო სრულად არ აუღიათ. შარშანდელ ვალებს წლევანდელიც დაემატა და... სამშაბათს „არსენალმა" მეექვსე ტურის მატჩი „ისანზე" „ვიტ ჯორჯიასთან" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას ხათრით ითამაშა. მაშინ არმიელები მინდორზე გასვლას სულაც არ აპირებდნენ. მატჩი ხუთი საათისთვის იყო დანიშნული, ამ დროს კი არსენალელები მწვრთნელ დავით ჩახავასთან ერთად სტადიონის ტრიბუნებზე მოკალათებული უცქერდნენ მეტოქის გახურებას. ეს რომ ჟორდანიამ შეიტყო, თავად ეწვია ფეხბურთელებს და პირისპირ გაესაუბრა, არმიელებმაც პრეზიდენტისადმი პატივისცემა გამოხატეს და სათამაშოდ გავიდნენ.

3 ოქტომბერს კი იგივე აღარ განმეორდება. კალენდარული მატჩი „ბათუმი" — „არსენალი", როგორც ჩანს, ჩაიშლება. ბათუმში წამსვლელები არ ვართო, მტკიცედ ამბობენ უხელფასო-უპრემიოობით შეწუხებული ფეხბურთელები. არმიელებს ამგვარად აღრეც არაერთხელ დაუქადნიათ, თუმცა გადამწყვეტ მომენტში აზრი შეუცვლიათ და მაინც უთამაშიათ. ახლა კი რა თამაშზეა საუბარი, როცა კლუბი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. სამშაბათის შემდეგ ვარჯიშებზე აღარც გუნდის მთავარი მწვრთნელი დავით ჩახავა გამოჩენილა. ფეხბურთელებიც მესამე დღეა, ინდივიდუალურად ვარჯიშობენ ფორმის შენარჩუნების მიზნით.

ბევრი ახალი კლუბის ძიებასაც შესდგომია, რადგან „არსენალში" მდგომარეობის გამოსწორების იმედი დიდი ხანია, გადაწურული აქვთ. ან კი რისი (ვისი) იმედი უნდა ჰქონდეთ, როცა მათი გამკითხავი არავინაა. „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობიდან არავის შეუწუხებია თავი და ფეხბურთელებთან არავინ მისულა. ამით, ვფიქრობთ ყველაფერი ნათქვამია.

ასეა, „ბათუმი" — „არსენალის" საკვირაოდ დანიშნული მატჩი, ალბათ, ჩაიშლება. ამას კი რაც მოჰყვება, ძნელი მისახვედრი არაა. ფედერაციამ თუ თვალი არ დახუჭა, დებულების მიხედვით, თამაშზე გამოუცხადებლობის გამო გუნდი ჩემპიონატიდან უნდა მოიხსნას. პირველ ლიგაში ეს არასოდეს მომხდარა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, სულ მალე ამასაც მოვესწრებით.

ისე, „არსენალის" ხელმძღვანელები ვალების გაუსტუმრებლობას სახელმწიფოს და მის დეფიციტურ ბიუჯეტს აბრალებენ. საინტერესოა, ნუთუ როცა „არსენალი" პირველ ლიგაში გადმოჰყავდათ, მაშინ არ იცოდნენ, რა მდგომარეობაში იყო ქვეყანა?

**ვანო ოქროპირიძე**

# ნუგეში მოყვარულთა დონეზე

ბოლო ხანებია, წარმატებები დაუძვირდა ქართულ ფეხბურთს. ამას რომ ვამბობთ, არც ახალი გვითქვამს რამე და არც ის გვგონია, ორიოდ დღეში (თვეში, წელიწადში... და ასე) აღორძინდეს ჩვენი ფეხბურთი, მაგრამ ალაგ-ალაგ, აქა-იქ მაინც კრთება-ხოლმე სასიხარულო რაღაცეები და ესეც საქმეა, განა არა?

ჯონი ჯანელიძე და მისი მოყვარულებიც ის ხალხია, ამ „ალაგ-ალაგ გამკრთალ" სიხარულს რომ გვანიჭებენ. მთები, მართალია, არ გადაუდგამთ ქართველ მოყვარულებს, მაგრამ თავისი ყალიბის თურქ, აზერბაიჯანელ და რუს ფეხბურთელებს კი აჯობეს ჯგუფურ ტურნირში და სხვა საქმე არც ევალებოდათ.

თბილისში ჯგუფურ ტურნირში გამარჯვებამ ჯანელიძის ნაკრებს ვენეციის საგზური მოუტანა, სადაც მოყვარულ ფეხბურთელთა ფინალური ტურნირი გაიმართება. მეტოქეებიც გაცილებით ძლიერი ელოდებათ ჩვენებურებს და რა გასაკვირია, თუ აქედანვე ემზადებიან ვენეციაში ღირსეული გამოსვლისთვის.

„სარბიელთან" საუბარში ჯონი ჯანელიძემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მოყვარულთა ნაკრები კარგა ხანია, სფფ-ს გრაფიკში „ზის". ხელშეწყობაც შეძლებისდაგვარად ნორმალური გვაქვსო — არ დამალა მწვრთნელმა. რაც შეეხება მოთამაშეთა ამა თუ იმ ეტაპზე მზადყოფნის კონტროლს, ამას ჯანელიძე თავად, სხვების დაუხმარებლად ახორციელებს — თვეში ორჯერ ვკრებ ფეხბურთელებს და მაშინ ვამოწმებ-ხოლმეო — გვითხრა ბატონმა ჯონიმ.

გარდა მწვრთნელის ამ ინიციატივისა, არც ეროვნული ჩემპიონატის ლიგებში მონაწილე გუნდებთან საკონტროლო თამაშებია ქართველ მოყვარულთათვის უცხო. მეთერთმეტე ეროვნულის წინ მოყვარულებმა თბილისურ „ოთხთა ტურნირში" სცადეს ძალა, თბილისურ გუნდებს რამდენჯერმე გაეჯიბრნენ და ახლაც არ წყვეტენ მსგავს შეხვედრებში გამოსვლას.

ამას წინათ მოყვარულები ზესტაფონში ადგილობრივ „მარგვეთს" ეპაექრნენ და ჯანელიძეს საშუალება მიეცა, საქმეში ენახა ნაკრების ოცდაათი კანდიდატიდან უმრავლესობა.

11, 12, 13 ოქტომბერს ჯანელიძე და კომპანია ერთ ტურნირშიც გამოვლენ. ტურნირი კვლავ თბილისურია და მასში მოყვარულთა გარდა, სავარაუდოდ, თბილისის „დინამო", რუსთავის „გორდა" და თბილისის „მერანი" ითამაშებენ. დღეები მიყოლებით იმიტომ დაინიშნა, რომ ზუსტად მსგავსი გრაფიკით (მიყოლებით ანუ ყოველდღე) მოგვიწევს ვენეციაში თამაშიო, გვითხრა ბატონმა ჯონიმ.

გამგზავრებას ქართველები 31 ოქტომბერს აპირებენ ვენეციაში, მანამდე კი თბილისის შემოგარენში, ალბათ, ჟინვალში გაივლიან 5-დღიან შეკრებას.

— ეს დაახლოებით გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე მოხდება, მერე კი ვენეცია და მისი ჯანი — ოპტიმისტურად დაამთავრა ჯანელიძემ „სარბიელთან" საუბარი.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგის სპონსორი საქართველოში

## ვიტ ჯორჯიას სხვა სიკეთესთან ერთად არც ნუთელა და რაფაელო მოაკლდება

ვინც ეძებს, ის პოულობს კიდეც. ისე, ძებნაცაა და ძებნაც. როცა კაცმა კარგად იცი, რასაც დაეძებ, მაშინ არანაკლებ უკეთ მოგეხსენება, სად უნდა ეძებო.

ბევრისგან განსხვავებით, „ვიტ ჯორჯიამ" იცის, რა უნდა და, აქედან გამომდინარე, იმ გზებსაც ადვილად პოულობს, რომლებიც ჩანაფიქრის, დასახული მიზნის ასრულებაში დაეხმარება.

ეროვნულ ჩემპიონატში საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას" ბევრი სიკეთე გამოარჩევს სხვათაგან. შემადგენლობა ახალგაზრდული, იმედისმომცემი და, ასე თუ ისე, სტაბილური. დაუგვიანებელი ხელფას-პრემიები, ალკაზმულობა სოლიდური — „კელმეს" ფირმის ნაწარმით საქართველოში ბევრიც თავს ვერ მოიწონებს. მგზავრობა ქალაქიდან ქალაქში კომფორტული და უშიშარი, კვება-შეკრებები კი ბევრისთვის სანატრელია.

კი, მაგრამ, თუ ამდენი უპირატესობა გააჩნია „ვიტ ჯორჯიას", მაშინ ევროთასებზე სხვები რატომ თამაშობდნენო — იკითხავს მავანი.

მსგავს კითხვებს კლუბის პრეზიდენტი გურამ რუხაძე ასე პასუხობს — „ჩვენ ფეხბურთში ერთი, თუნდაც რამდენიმე წლით არ მოვსულვართ. არც სოფელი აშენებულა ერთ დღეს და ვერც საფეხბურთო კლუბი გაიბრწყინებს ერთ წელიწადში.

კი, შეგვეძლო საქართველოში მობურთალი ძლიერი ფეხბურთელები შეგვეკრიბა და მეორე წელსვე საპრიზო ადგილებზე გავსულიყავით, რაც ევროსარბიელზე თამაშის გარანტიასაც მოგვცემდა, მაგრამ სირცხვილის მეტს რას გამოვრჩებოდით. ასეთ გუნდს მომავალი არ ექნებოდა. სწორედ ამიტომ გავაკეთეთ აქცენტი ახალგაზრდებზე. გუნდი ჯერ ყოველმხრივ უნდა მომწიფდეს მსგავსი მომენტებისთვის და ის დღეც მალე დადგება, როცა „ვიტ ჯორჯია" ევროსარბიელსაც დააჭაშნიკებს".

ნაბიჯ-ნაბიჯ დასახული მიზნისკენ, მომავლის გუნდი ძლიერი ფეხბურთელებით და მყარი საძირკველით — ესაა „ვიტ ჯორჯიას" დევიზი.



ვიტელმა რევაზ გოცირიძემ არმიელ კახაბერ ცოტაძეს ბურთისთვის ბრძოლაში დაასწრო

ახლა დროა, მთავარზე მოგახსენოთ. ბორის ხურგინის სახელმა ადრეც გაიჟღერა ქართულ ფეხბურთში. კომპანია „ვიტ ჯორჯიას" პარტნიორი ბიზნესში და ფეხბურთში. შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ბორისი მხარდაჭერას არ აკლებს „ვიტ ჯორჯიას", ახლა თბილისში სტუმრობს, ჩამოსვლისთანავე კი ავლაბარში „ისნის" სტადიონს მიაშურა და არმიელთა და ვეტერინართა პაექრობას ადევნა თვალი. ემოციებით აღსავსე უყურებდა თამაშს. ამ კაცს სჯერა, რომ ქართულ ფეხბურთს მომავალი გააჩნია.

ვიქტორ კანევსკიც ცნობილი პიროვნებაა ჩვენში. გასული სეზონის მეორე წრეში „ვიტ ჯორჯიამ" თამაშს რომ საგრძნობლად უმატა, სხვებთან ერთად ამ კაცის დამსახურებაცაა, ფეხბურთელებმა — კარგ სპეციალისტად დაგვიხასიათეს და ამაში მასთან საუბარმა კიდევ უფრო დაგვარწმუნა, ხოლო შედეგიანმა თამაშმა ყველაფერს ბეჭედი დაასვა.

კანევსკი მალე ისევ ჩამობრძანდება თბილისში, მისი და სერგო კოტრიკაძის დუეტი კი გუნდის თამაშის ხარისხის კიდევ უფრო დახვეწას შეეცდება.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი, რამაც „ვიტ ჯორჯიას" მომავალზე შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს და მოვლენები დააჩქაროს — საკონდიტრო საქონლის მწარმოებელი უდიდესი კომპანია „ფერერო" თუ გაგიგონიათ? თუ არა, „ნუთელა" და „რაფაელო" ხომ თითქმის ყველამ იცის. ორივე ნუგბარი რამ გახლავთ და არა მარტო ბავშვებისთვის გამხდარა საოცნებო და მიმზიდველი.

„ნუთელას" საფეხბურთო სამყაროშიც დიდი იმიჯი აქვს, სხვას რომ თავი ვანებოთ, „ქენონთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის მთავარი სპონსორია. კომპანიის მთავარი ოფისი იტალიაშია განთავსებული, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა განყოფილება ლუქსემბურგში მდებარეობს. სწორედ ამ განყოფილების დირექტორი, ლუიჯი ლეონეტი ესტუმრება გურამ რუხაძეს და „ვიტ ჯორჯიას".

გურამ რუხაძის და ლუიჯი ლეონეტის ურთიერთობა „ვიტ ჯორჯიასთან" და ქართულ ფეხბურთთან იქნება დაკავშირებული. კომპანია „ვიტ ჯორჯია" „ფერეროს" ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში.

ვერ გეტყვით, საბოლოოდ რა და როგორ მოხდება, ანაც რითი დამთავრდება ყველაფერი, მაგრამ რაღაც დიდი და სერიოზული საქმე რომ კეთდება, ფაქტია.

დრო ყველაფერს გამოაჩენს, მანამდე კი ერთი რამ კარგად დაიმახსოვრეთ — „ვიტ ჯორჯია", მომავლის გუნდი.

არც ისე უსაშველოა ჩვენი ფეხბურთის გასაჭირი, მთავარია, შენი საქმე (ამ შემთხვევაში, ქართული ფეხბურთი) უზომოდ გიყვარდეს და იცოდე, რა გინდა და სად ეძებო.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ნილს იოჰან სემბი შურისძიებისთვის ემზადება




...ეს ჩვენ ვიკითხოთ, თორემ ნორვეგიას თავი ქუდში აქვს. ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის გამარჯვებულ ვიკინგებს ისლა ადარდებთ, ამ ზაფხულს ბელგია-ჰოლანდიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე ღირსეულად გამოვიდნენ, თუმცა მანამდე ნილს იოჰან სემბის შეგირდებს ძველი ანგარიშები აქვთ გასასწორებელი.

ალბათ, გახსოვთ შარშანდელი 6 სექტემბერი: ნორვეგია — ლატვია 1:3. ბევრმა ეს შედეგი სენსაციად მონათლა — ნორვეგიელები მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გადაღლილები იყვნენ, მეტოქე არაჯეროვნად შეაფასეს და თავდაჯერებამაც თავისი ქნაო, მაგრამ ფაქტი ერთია, ვიკინგებმა ბალტიისპირელებთან შინ წააგეს, წააგეს პირველად 1991 წლის შემდეგ.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ნილს იოჰან სემბს შურისძიება ამოძრავებს, თანაც... სემბმა თავისი სანაკრებო დებიუტი სწორედ ლატვიელებთან დაიწყო. მწვრთნელმაც ყველა უძლიერეს ვიკინგს მოუყარა თავი. მომჯობინდა დანიური „ოლბორგის" ნახევარმცველი სტალე სოლბაკენიც, რომელიც ამას წინათ სლოვენიელებთან 4:0 მოგებულ მატჩში დაშავდა და პირველივე ტაიმში შეცვალეს.

ერთი სიტყვით, 9 ოქტომბერს რიგაში პრინციპული მატჩია: ლატვია — ნორვეგია. ნილს იოჰან სემბმაც 17 ფეხბურთელს უხმო შეკრებაზე:

*მეკარეები: ესპენ ბაარდსენი (ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი), ფროდე ოლსენი (სტაბეკი);*

*მცველები: ჰენინგ ბერგი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ანდრე ბერგდოლმო, ბიორნ ოტო ბრაგსტადი, ერიკ ჰოფტუნი (ყველა რუსენბორგი), გუნარ ჰალე (ბრედფორდი, ინგლისი), ვეგარდ ჰეგემი (ლივერპული, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: ოივინდ ლეონარდსენი (ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი), ანდრეას ლუნდი (მოლდე), ერიკ მიუკლანდი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), სტალე სოლბაკენი (ოლბორგი, დანია);*

*თავდამსხმელები: ტორე ანდრე ფლო (ჩელსი, ინგლისი), სტეფენ ივერსენი (ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი), ჯიდარ რისეტი (სელტიკი, შოტლანდია), ბენტ სკამელსრუდი (რუსენბორგი), ოლე გუნარ სოლსკიაერი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი).*

**გიორგი ვაშაკიძე**

# ტაციაობა აკრედიტაციაზე

არა, არა, არც მთლად ასე შავადაა საქმე. ტაციაობა კი არა, სფფ-ს პრესატაშეს თქმით, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ დიდსულოვნად დაუთმო სფფ-ს ეროვნულ სტადიონზე ფეხბურთზე მწერალ ჟურნალისტთა განთავსების საქმე და ახალ, 2000-2001 წლების ციკლში სწორედ ფედერაცია იზრუნებს პრესლოჟაში ადგილების განაწილებაზე.

პრესატაშეს თქმით, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული წარსულის გამოცდილება. პრესლოჟაში დაჯდომის უფლება მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთზე მწერალ ხალხს ექნება, შესაბამისად, შემცირდება ჟურნალისტთა საფიხვნოში მჯდომარე პირთა რიცხვი და ვისაც კი ინდივიდუალურად ადგილი შეხვდება, მაქსიმალურ კომფორტს იგრძნობს.

სფფ-ს პრეზიდენტთან შეთანხმებით, გამოიყოფა გარკვეული თანხა, რათა თითოეულ ადგილთან სპეციალური გასაშლელი მაგიდა (რათა ჟურნალისტმა წერა შეძლოს) დამაგრდეს და მალე პრესლოჟის გადახურვის საკითხიც დადგება დღის წესრიგში.

ახალი ციკლისთვის აკრედიტაციის გასავლელად ჟურნალისტმა უნდა წარადგინოს საკუთარი ფოტოსურათი და ცნობა რედაქციიდან რედაქტორის ხელმოწერით.

— იმათ, ვინც 31 ოქტომბრამდე საჭირო აქსესუარებს არ მოგვიტანს, აკრედიტაციის მიღება პრობლემად ექცევათ. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ — ასე დაამთავრა სფფ-ს პრესატაშემ თავისი განცხადება.

და ბოლოსთვის სასიხარულოც — მინისტრის მოადგილესთან, მინისტრთან შესვლაც რომ დაგვჭირდეს, მივაღწევთ იმას, რომ პოლიციამ ამიერიდან მაინც აღარ შეზღუდოს აკრედიტირებულ ჟურნალისტთა უფლებები — ესეც სფფ-ში განგვიცხადეს.

ასე რომ, მათ, ვისაც სურს ფეხბურთი პრესლოჟიდან, კომფორტით და პოლიციასთან ჯაჯგურის გარეშე, 31 ოქტომბრამდე მისცეს ვალა — ფოტოსურათი, ცნობა რედაქციიდან და ეროვნულის პრესლოჟაში ადგილი თქვენია.

**ლუკა თალაკვაძე**

# ჩვენ პაპუასები აღარ ვართ

## მაროკოს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სერიოზულად განუზრახავს

აფრიკულ ქვეყნებს ტურნირის ჩატარების დიდი სურვილი აქვთ, მით უფრო, რომ ჯერ არც ერთ მათგანს არ უმასპინძლია მსოფლიოს პირველობისთვის. ახლა სამხრეთ აფრიკაც ცდილობს, ეს პატივი ირგუნოს და უცილობო ფავორიტადაც ითვლება. რაღა თქმა უნდა, აფრიკის ფეხბურთის ფედერაცია თავის ორივე წევრს ფიფაში სრულ მხარდაჭერას პირდება, მაგრამ ამავე დროს პრეზიდენტი ისა ჰაიტონი აცხადებს, თუ ორივე ქვეყანა ერთდროულად იბრძოლებს ამ მიზნისთვის, ეს ჩვენს შანსებს ბევრად შეამცირებს ისეთ ქვეყნებთან კონკურენციისას, როგორიც ბრაზილია, ინგლისი და გერმანიააო. სწორედ ამიტომ წამოაყენა აფრიკის ფეხბურთის ფედერაციამ ულტიმატუმი — რომელიმემ თავისი კანდიდატურა მოხსნასო. ჰაიტონის განცხადებით, უმჯობესი იქნება, თუ ამას მაროკო გააკეთებს, რადგან სამხრეთ აფრიკის შანსები გაცილებით მეტია ამ ქვეყნის განვითარებული ეკონიმიკისა და ინფრასტრუქტურის გამო.

ამ მოსაზრებას არ ეთანხმება მაროკო — 2006 საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე დრის ბენიმა. იგი აცხადებს, რომ თუ ფიფა მსოფლიოს ჩემპიონატს მხოლოდ ისე აღიქვამს, როგორც ფულადი შემოსავლის წყაროს, მაშინ მაროკოს შანსები თითქმის არა აქვს, მაგრამ თუ სურს, რომ ფეხბურთმა ახალ კონტინენტზე მჭიდროდ გაიდგას ფესვები, მაშინ ამ საქმისთვის მაროკო ზედგამოჭრილია. „პირიქით, უკეთესია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზებისთვის ჩვენი კონტინენტიდან ორი ქვეყანა იბრძვის. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს აფრიკის სრულ მზადყოფნას და სწრაფვას, ღირსეულად უმასპინძლოს ტურნირს.



მაროკო'2006 საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე დრის ბენიმა

რა თქმა უნდა, ორივე ჩვენგანს — მაროკოსაც და სამხრეთ აფრიკასაც გააჩნია სუსტი და ძლიერი მხარეები. იქნებ ჩვენ უფრო მეტი ნაკლი გვქონდეს, ვიდრე წამყვან ევროპულ ქვეყნებს, მაგრამ თუ მხარდაჭერა და თანადგომა გვექნება, ყველაფერი სწრაფად მოგვარდება" — ამბობს ბენიმა. მან სტატისტიკაც კი მოიშველია იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ განვითარდა ბოლო წლებში აფრიკული ქვეყნებისა და კერძოდ, მაროკოს ეკონომიკა. სწრაფი პროგრესი განიცადა ქვეყნის ინფრასტრუქტურამ და ტელეკომუნიკაციამ. „ასე რომ, წავიდა ის დრო, როდესაც აფრიკას ჩამორჩენილ, პაპუასთა კონტინენტად თვლიდნენ" — დასძენს ბენიმა.

ახლა მაროკოს ფიფას სტანდარტების შესაფერისი მხოლოდ ორი სტადიონი აქვს, მაგრამ ქვეყნის ხელისუფალნი იმედოვნებენ, რომ თუ გაიმარჯვებენ და მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მოიპოვებენ, მისი ორგანიზებისთვის განკუთვნილი 560 მილიონი დოლარით სავსებით დააკმაყოფილებენ ფიფას ყველა მოთხოვნას და სტანდარტს.

ჩვენ კი დაველოდოთ 24 ივლისსა და ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას.

---

### ფეხბურთის რუკასთან



ინგლისის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ნახევარმცველი სტივ მაკმანამანი ბარძაყის ტრავმის გამო სამი კვირით ჩამოშორდება ფეხბურთს. „რეალის" განცხადებით, მაკმანამანს ტრავმა ჩემპიონთა ლიგის ბოლო მატჩში მიუღია „პორტუს" წინააღმდეგ. ახლა ის ესპანეთის ჩემპიონატის ორ პრინციპულ თამაშს გამოტოვებს „ვალენსიასთან" და „ბარსელონასთან". აგრეთვე ვერ დაეხმარება ინგლისის ნაკრებს ოქტომბერში ბელგიელთა წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში.

რუს გულშემატკივარს მინსკში ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 18 აგვისტოს ბელარუსის და რუსეთის ეროვნული ნაკრებების შეხვედრაში რუსმა ფანებმა წესრიგი დაარღვიეს, ხოლო როდესაც მილიციამ მათი დაშოშმინება სცადა, ერთ-ერთმა მათგანმა, 21 წლის მოსკოველმა სტუდენტმა ვიტალი ტიმონინმა სამართალდამცავს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ბელარუსის კანონმდებლობით ანალოგიური ქმედება 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა, რომ დამნაშავე რუსეთის მოქალაქე იყო და მას ლიბერალური განაჩენი გამოუტანა. მით უმეტეს, გალახულმა პოლიციელმა აღიარა, ბრალდებულის ოჯახმა მორალური ზარალი ფინანსურად ამინაზღაურაო. იმ დღეს მინსკში დაახლოებით 60 რუსი ფანი დააკავეს, მაგრამ უმეტესობა იმავე დღეს გაუშვეს და ახლა საგამომძიებლო იზოლატორში, განაჩენის მოლოდინში მხოლოდ ოთხი მათგანი იმყოფება.

იტალიის ჩემპიონმა „მილანმა" სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში, შინ ბერლინის „ჰერტას" წინააღმდეგ გამართული მატჩის შემდეგ უეფაში იჩივლა. მიზეზი ფრანგი მსაჯი ჟილ ვეისიერია, რომელმაც იმ დღეს იტალიური კლუბის ხუთი ფეხბურთელი გააფრთხილა. გუნდის ვიცე-პრეზიდენტის, ადრიანო გალიანის წერილში უეფას გენერალურ მდივან გერჰარდ აიგნერისადმი ნათქვამია, რომ მისი კლუბი აშკარად დაიჩაგრა. რამდენიმე არასწორად ჩათვლილი ოფსაიდი და მსაჯის უხეში შეცდომები „მილანს" ორი ქულის ფასად დაუჯდა" — აცხადებს გალიანი.

ინგლისელები მორიგ საქმეს არჩევენ: „ლესტერ სიტის" ცენტრალურ მცველს მეტ ელიოტს, 18 სექტემბერს, „ფილბერტ სტრიტზე" „ლივერპულთან" თამაშის დროს, მაიკლ ოუენის თავი იღლიაში ამოუჩრია, რისთვისაც მყისვე გაუფრთხილებიათ. მერე, როდესაც ტელევიზიით საკუთარი საქციელი უნახავს, ელიოტს ბოდიშიც მოუხდია, მაგრამ ფეხბურთის ასოციაცია ამით ვერ დაკმაყოფილდება, რადგან არბიტრისგან ოფიციალური ოქმი მიიღო, სადაც ყველაფერი დაწვრილებითაა აღწერილი. განხილვა ორ კვირაშია დანიშნული.

---

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | III ჯგუფი. გერმანია — თურქეთი

გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა გუნდში ვამოიძახა — ბერლინის „ჰერტას" ახალგაზრდა ფეხბურთელი სებასტიან დაისლერი. იგი მთავარი ფიგურაა ბერლინურ კლუბში, რომელიც [illegible] ატარებს თავის პირველ სეზონს ჩემპიონთა ლიგაში. ამ ფეხბურთელის დებიუტი საერთაშორისო სარბიელზე სექტემბერში იყო დაგეგმილი, მაგრამ მაშინ ბარძაყის კუნთი დაიზიანა. ახლა მას მშვენიერი შანსი აქვს 9 ოქტომბერს მიუნხენში თურქებთან შეხვედრაში გამოიჩინოს თავი.

ნაკრებს დაუბრუნდნენ მეკარე ოლივერ კანი და ლარს რიკენი, რომელიც გერმანელთა მთავარ ძალად ითვლება. ლივერპულელი დიტერ ჰამანი, რომელმაც ოპერაცია გაიკეთა და ორი თვე გაუცდა, ფორმაში შედის და შესაბამისად გუნდში ბრუნდება. გერმანელებს ფრეც ჰყოფნით, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პლეი ოფის გარეშე მოსახვედრად.

მეკარეები: კანი (ბაიერნი), ლემანი (დორტმუნდი); მცველები: ბაბელი, ლინკე, მათეუსი (ყველა ბაიერნი), ნოვოტნი (ლევერკუზენი), ვიორნსი (დორტმუნდი); ნახევარმცველები: დაისლერი (ჰერტა), ჰამანი (ლივერპული, ინგლისი), იერემისი, შოლი (ბაიერნი), ნერლინგერი, რიკენი (დორტმუნდი), შნაიდერი (ლევერკუზენი), ციგე (მიდლსბრო, ინგლისი); თავდამსხმელები: ბირჰოფი (მილანი, იტალია), ბოდე (ვერდერი), იანკერი (ბაიერნი), კირსტენი, ნოივილი (ლევერკუზენი).

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | IV ჯგუფი. საფრანგეთი — ისლანდია

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა როჟე ლემერმა თავის შეგირდებს მოუწოდა - დაივიწყეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ხართ და 9 ოქტომბერს ისლანდიელთა წინააღმდეგ მატჩს მთელი სერიოზულობით მოეკიდეთო. ფრანგებს შინ, „სტად დე ფრანსზე", მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს, რათა ჯგუფის დანარჩენი ორი ლიდერის — რუსეთისა და უკრაინის შედეგს აღარ დაელოდონ და ფინალური ეტაპზე გასვლა გაინაღდონ.

ნაკრების პირველნომრიან მაისურას პსჟ-ს მეკარე ბერნარ ლამა მოირგებს, რომელიც ფაბიენ ბარტეზს შეცვლის. გუნდში მიწვეულია მონაკოელი დავიდ ტრეზეგეც, რომელმაც წლევანდელი სეზონი საფრანგეთის ჩემპიონატში შემართებით დაიწყო და 9 გატანილი გოლით ბომბარდირთა სიას სათავეში ჩაუდგა. მწვრთნელმა როჟე ლემერმა მარსელელი რობერ პირესის ნაცვლად ნაკრებში ბორდოელი ჟოან მიკუ იხმო. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ მადრიდის „რეალის" ახალშენაძენი — ნიკოლა ანელკა, არსენალელი ტიერი ანრი და „მარსელში" მოთამაშე კრისტოფ დუგარი ქვეყნის პირველ გუნდში მიწვევას ვერ ეღირსნენ. გამოჯანმრთელდა „პარმაში" მოასპარეზე ალენ ბოგოსიანი, რომელმაც უკრაინელებთან შესარჩევი მატჩის დროს ტრავმა მიიღო.

მეკარეები: ლამა (პსჟ), პორატო (მარსელი); მცველები: ბლანი (ინტერი, იტალია), დესაი (ჩელსი, ინგლისი), კარემბუ (რეალი, ესპანეთი), ლებეფი (ჩელსი, ინგლისი), ლიზარაზუ (ბაიერნი, გერმანია), ტურამი (პარმა, იტალია); ნახევარმცველები: ბოგოსიანი (პარმა, იტალია), დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ჯორკაეფი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), მიკუ (ბორდო), ვიეირა (არსენალი, ინგლისი), ზიდანი (იუვენტუსი, იტალია); თავდამსხმელები: ლასლანდი (ბორდო), ტრეზეგე (მონაკო), ვერელი (ლიონი), ვილტორდი (ბორდო)

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | VII ჯგუფი. პორტუგალია — უნგრეთი

9 ოქტომბერს ლისაბონში პორტუგალიელებს ევროპის ჩემპიონატის ბოლო და გადამწყვეტი მატჩი ელით უნგრელების წინააღმდეგ. გუშინ პორტუგალიელთა მთავარმა მწვრთნელმა უმბერტო კოელიომ ამ თამაშზე გამოძახებული 18 ფეხბურთელის ვინაობა გაამხილა:

მეკარეები: ბაია (პორტუ), პედრო ესპინია (გიმარაეში); მცველები: სეკრეტარიო, ჟორჟე კოშტა (ორივე პორტუ), პულო მადეირა (ბენფიკა), დიმაში (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ბეტო სევერო (სპორტინგი); ნახევარმცველები: პაულო სოუზა (ინტერი, იტალია), რუი ბენტუ (ბოავიშტა), რუი კოშტა (ფიორენტინა, იტალია), პაულო ბენტუ (ოვიედო, ესპანეთი), სერჟიო კონსეისაო (ლაციო, იტალია), ფიგუ (ბარსელონა, ესპანეთი), ნუნუ კაპუჩო (პორტუ); თავდამსხმელები: ჟოაო პინტუ, ნუნუ გომეში (ორივე ბენფიკა), სა პინტუ (სოსიედადი, ესპანეთი), პედრო პაულეტა (დეპორტივო, ესპანეთი)

### ამხანაგური მატჩი | 9 ოქტომბერი. ჰოლანდია — ბრაზილია

ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა იმ 19 ფეხბურთელის სია დაასახელა, რომლებსაც 9 ოქტომბრის ამხანაგურ მატჩზე გამოიძახებს ბრაზილიელების წინააღმდეგ.

ჰოლანდიელებს არ ეყოლებათ „იუვენტუსის" ნახევარმცველი, თვალმტკივანი ედგარ დავიდსი, აგრეთვე ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურში „არსენალთან" დაშავებული „ბარსელონას" მცველი მიხაელ რაიციგერი. სამაგიეროდ, ნაკრებს დაუბრუნდებიან „ფეიენოორდის" მცველი ბერტ კონტერმანი და მადრიდის „რეალის" ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი, რომლებმაც ტრავმების გამო ბელგიასთან წინა ამხანაგური შეხვედრა გამოტოვეს.

წლეულს ივლისში ჰოლანდია და ბრაზილია ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ერთი მატჩი ბრაზილიელებმა მოიგეს (3:2), ერთიც ფრედ (2:2) დამთავრდა.

მეკარეები: ვან დერ სარი (იუვენტუსი, იტალია), ვესტერველდი (ლივერპული, ინგლისი); მცველები: ფ. დე ბური (ბარსელონა, ესპანეთი), ვან ჰინტუმი (ვიტესი), კონტერმანი, ვან ვონდერენი (ორივე ფეიენოორდი), სტამი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი); ნახევარმცველები: რ. დე ბური, კოკუ, ზენდენი (ყველა ბარსელონა), ვან ბრონკჰორსტი (რეინჯერსი, შოტლანდია), ვან გასტელი, ვან ფოსენი (ორივე ფეიენოორდი), ზეედორფი (რეალი, ესპანეთი), ვინტერი (აიაქსი); თავდამსხმელები: ბერხკამპი (არსენალი, ინგლისი), ვან ჰოიდონკი (ვიტესი), კლუივერტი (ბარსელონა), ვან ნისტელროოი (პსვ)

# ფრანსისკო მატურანა — პერუს ნაკრების ახალი მწვრთნელი

პერუელებმა თავიანთი ეროვნული გუნდი კოლუმბიელ ფრანსისკო მატურანას ჩააბარეს. ერთი თვის წინ განთავისუფლებული ადგილი მან ოთხშაბათს ჩაიბარა. მისი წინამორბედი ხუან კარლოს ობლიტასი გახლდათ.



ფრანსისკო მატურანა

მატურანა პერუში კოსტა რიკიდან მოხვდა სადაც ამ ქვეყნის ნაკრებს წვრთნიდა. ახალი კონტრაქტი 2001 წლამდე გაგრძელდება.

ობლიტასი კი, რომელიც გუნდს 1996 წლიდან ედგა სათავეში, გულშემატკივრებმა და პრესამ აითვალწუნეს: პერუ ვერ მოხვდა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხოლო ახლახანს დამთავრებულ „კოპა ამერიკას" მეოთხედფინალიდან გამოეთიშა.


სარბიელი სამუშაოდ იწვევს

ინგლისური ენისა და სპორტის მცოდნე პროფესიონალ, დამწყებ ჟურნალისტებს, აგრეთვე ჟურნალისტად მუშაობის მსურველებს.

გამოგვეხმაურეთ ტელეფონით (38-11-14, 39-48-29), ან გვესტუმრეთ რედაქციაში ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.

## ჩემპიონთა ლიგა. III ტური. A ჯგუფი

### ლევერკუზენი 1:1 დინამო

1:0 კირსტენი (53), 1:1 გუსინი (73)
ლევერკუზენი: მატიშეკი, კოვაჩი, რევები, ნოვოტნი, პონტე (რაიხენბერგერი 85), კირსტენი, ემერსონი, ბაინლიხი, შნაიდერი, ნოივილი (ჰეიდუკი 46), რამელო
დინამო: შოვკოვსკი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი (კარმილცევი 75), კალაძე, კოსოვსკი, მამედოვი, გუსინი, კონოვალოვი (გერასიმენკო 59), შაცკიხი, რებროვი
მსაჯი: კ. კოლომბო (საფრანგეთი)

გერმანული ბუნდესლიგის ლიდერმა კიევის „დინამოს“ მასპინძლობისას სტუმართა შეუვალი დაცვის წინააღმდეგ დიდი ვერაფერი გააწყო და იძულებული შეიქნა ფრეს დაჯაბულებოდა.

ასეთმა შედეგმა გასული გათამაშების ნახევარფინალისტს, „დინამოს“, პირველი ჯგუფური ეტაპის პირველი ქულა მისცა, ხოლო ლევერკუზენელები მეორე ადგილზე დასწია, ვინაიდან „ლაციომ“ „მარიბორს“ 4:0 მოუგო.

მასპინძელთა მთავარმა ბომბარდირმა ულფ კირსტენმა პირველ ტაიმში ანგარიშის გახსნის სამი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, თუმცა შესვენებიდან 8 წუთის შემდეგ, შეცვლაზე შესული ფრენკი ჰეიდუკისა და კარსტენ რამელოს კომბინაცია მაინც წარმატებით დასრულა.

ამ დროს დარეკა თუ არა ბრონქიტიანმა ვალერი ლობანოვსკიმ სასტუმროს ნომრიდან სტადიონზე, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ კიეველებმა 71-ე წუთზე მდგომარეობა გამოასწორეს — ლევერკუზენელთა მეკარის ადამ მატიშეკის შეცდომა ანდრეი გუსინის გოლით დამთავრდა.

თამაშის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე მასპინძლებს კიდევ მიეცათ ერთი შესაძლებლობა: შტეფან ბაინლიხმა საჯარიმო მოედნის კიდიდან ჯარიმა დაარტყა, მაგრამ კიეველთა ყოჩაღმა მეკარემ ალექსანდრ შოვკოვსკიმ ბურთი საბჭოური გაგებით ცხრიანიდან მოიგერია.

„უპირატესობას იოლად დავეუფლეთ, მაგრამ მისი პრაქტიკულად გამოყენება, მეტადრე პირველ ტაიმში, ვერ შევძელით“ — განაცხადა მატჩის შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა — „პირველი გოლის გატანის შემდეგ მოწინაალმდეგეს უნდა მივწოლოდით, მაგრამ „დინამო“ ქულის დათმობას არ აპირებდა და თავადაც ხომ ნაეთ რა გამოცდილი ფეხბურთელებისაგან შეკრული გუნდი ჰყავთ. ისინი ტექნიკურად სრულყოფილნი გახლავან და არც ილლებიან“.

კიეველთა მხრივ პრესკონფერენციას ალექსეი მიხაილიჩენკო დაესწრო.

„ჩვენმა დაცვამ ძალიან კარგად იმუშავა და ამიტომაც იყო ლევერკუზენელები სახიფათო მომენტებს ფაქტობრივად რომ ვერ ქმნიდნენ“ — თქვა ევროპელთათვის „სამპდორიასა“ და „გლაზგო რეინჯერსში“ თამაშით ცნობილმა მწვრთნელმა.


REUTERS რომიდან

ლაციო — მარიბორი 4:0. რომაელ პაოლო ნეგროს მარიბორელი ანტე სიმუნძა ხელს ჰკრავს

### ლაციო 4:0 მარიბორი

1:0 ს. ინძაგი (60), 2:0 კონსეისაო (62), 3:0, 4:0 სალასი (71, 75)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, პანკარო, მიხაილოვიჩი (ალმეიდა 71), სენსინი, კონსეისაო, სტანკოვიჩი (სალასი 46), ლომბარდო (ვერონი 22), ს. ინძაგი, მანჩინი
მარიბორი: სიმეუნოვიჩი, ჩიპი, გალიჩი, ვუგდალიჩი, ჟიდანი (პრეგელი 80), დიურანოვიჩი, კარიჩი, ბალაიჩი, სესლარი, ბოზგო (ფილიპოვიჩი 68), სიმუნძა (შარკეზი 46)
გაძევება: ჩიპი (20)
მსაჯი: კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

ჩილელი მარსელო სალასი მოედანზე შესვენების შემდეგ შევიდა და რომაელებს კაცნაკლული „მარიბორის“ 4:0 განადგურების სული შთაბერა.

თამაშის დაწყებიდან სულ 20 წუთი იყო გასული, როდესაც „მარიბორის“ ალბანელმა მცველმა გერი ჩიპიმ ორი ყვითელი ბარათის მიღება მიასწრო და მოედნის დატოვება მოუხდა, მაგრამ მასპინძლებმა საქმეში სალასის ჩართვამდე რიცხობრივი უპირატესობა მაინც ვერ გამოიყენეს.

ჩილელმა კი მოედანზე შესვლიდან 30 წამში ხარიხას გაარტყა ბურთი და მერე დაიწყო... ჯერ სიმონე ინძაგიმ და სერჟიო კონსეისაომ დაარტყეს ზუსტად, მერე კი „ელ მატადორმა“ ერთს მეორე მიაყოლა.

„დღეს ჩვენს გუნდში სალასზე კარგ ფორმაში ერთი თავდამსხმელიც არ არის“ — განაცხადა მატჩის შემდეგ „ლაციოს“ შვედმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიკსონმა, შემდეგ კი დასძინა: „პირველი ტაიმი ძალიან ძნელი გამოდგა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თერთმეტნი ვიყავით, ისინი კი ათნი , თავს მთელი გუნდით იმდენად კარგად იცავდნენ, რომ ვერას გავხდით“.

*19 ოქტომბერი: მარიბორი — ლაციო, დინამო — ლევერკუზენი*

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაციო | | 27.X | 4:0 | 2:1 | 7:2 | 7 |
| 2 | ლევერკუზენი | 1:1 | | 2.XI | 1:1 | 4:2 | 5 |
| 3 | მარიბორი | 19.X | 0:2 | | 27.X | 1:6 | 3 |
| 4 | დინამო | 2.XI | 19.X | 0:1 | | 2:4 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. III ტური. B ჯგუფი

### ბარსელონა 1:1 არსენალი

1:0 ლუის ენრიკე (16), 1:1 კანუ (81)
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი (რ. დე ბური 69), ბოგარდი, ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა, ლუის ენრიკე (ლიტმანენი 77), კოკუ, ფიგუ, დანი, რივალდო
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, უინტერბერნი, კიოუნი, ადამსი, გრიმანდი, ვიეირა, პარლოუ (შუკერი 72), კანუ, ბერხკამპი (ანრი 72), ოვერმარსი (ლიუნგბერგი 76)
გაძევება: გრიმანდი (78)
მსაჯი: მ. მერკი (გერმანია)

უკვე მეორე კვირაა, ტურის მთავარ მოვლენად „კამპ ნოუზე“ გამართულ მატჩებს მიიჩნევენ. გასულ კვირას „ბარსელონა“ — „ფიორენტინა“ იყო, გუშინწინ კი „ბარსა“ — „არსენალი“. ლონდონელები კატალონიის დედაქალაქში დიდი ამბიციით ჩავიდნენ, აკი ამბობდა კიდეც მათი მწვრთნელი არსენ ვენგერი — იქნება მონაკვეთები, როცა მასპინძლები პრესის ქვეშ მოგვაქცევენ, მაგრამ „არსენალი“ აჩვენებს, რომ ევროპის საუკეთესო კლუბებს ტოლს არ უდებსო.

პრესი მართლაც ძლიერი გამოდგა. პირველი ოცი წუთის განმავლობაში მასპინძლები ოსტატურად აკონტროლებდნენ ბურთს. თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, დროის ამ მონაკვეთში „ბარსამ“ რვაჯერ დაარტყა სტუმართა კარის მიმართულებით, „არსენალმა“ კი არცერთხელ. თუმცა რეალური საგოლე მომენტი მხოლოდ ორი იყო. პირველად, მე-9 წუთზე, ლუიშ ფიგუს კუთხურს ლუის ენრიკეს მძლავრი თავური მოჰყვა და ცარიელი კარიდან ბურთი „მეთოფეთა“ მცველმა ლი დიქსონმა გამოიტანა. შვიდ წუთში კი იმავე ლუის ენრიკემ მეკარე მანინგერის დაბნეულობითა და მცველ ვიეირას უნიათობით ისარგებლა, დასწრებაზე ითამაშა და ანგარიში გახსნა. ამას „ბარსას“ კიდევ რამდენიმე ჩხვლეტა მოჰყვა. ერთხელ რივალდოს შეუჩერებლივ დარტყმული მანინგერმა ძლივს გადააგდო კუთხურზე.

მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და „კამპ ნოუზე“ სხვა „არსენალი“ გავიდა. უფრო მწყობრი და ჟინიანი. მთავარი მოვლენები კი ბოლო თორმეტ წუთში მოხდა. გვარდიოლასთან განზრახ უხეშობისთვის გერმანელმა არბიტრმა მარკუს მერკმა „მეთოფე“ ჟილ გრიმანდი გააძევა. ამ ამბიდან სამ წუთში კი სტუმრებმა გაათანაბრეს, შეცვლაზე შესული დავორ შუკერის ძლიერ დარტყმას ლონდონელთა ნიგერიელმა ნვანკვო კანუმ დაამატა და 1:1. მთლიანობაში კი თამაში მეტად ხისტად, ჯარიმის ზღვარზე მიმდინარეობდა და მსაჯმა შვიდი ფეხბურთელი გააფრთხილა.

„პირველ ტაიმში აქცენტი გვარდიოლას გაუვნებლებაზე გავაკეთეთ, მეორეში კი ტაქტიკა შევცვალეთ — ზეწოლა მეტოქის დაცვაზე გადავიტანეთ. ვცდილობდით, გვარდიოლასთვის პასი არ მიეცათ. სხვა მხრივ, მეორე ნახევარში „არსენალმა“ ჩინებულად ითამაშა და ვფიქრობ ფრე ლოგიკური შედეგია“ — თქვა ნამატჩევს „მეთოფეთა“ დამრიგებელმა არსენ ვენგერმა. მისი ბარსელონელი კოლეგა ლუის ვან გაალი შეწუხებული ჩანდა: „ცუდი შედეგი არ არის, მაგრამ როცა ერთი გუნდი იგებს, მეორე კი კაცნაკლულია, ფრე მაინც გულდასაწყვეტია“ — განაცხადა მან.


REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — არსენალი 1:1. მეთოფეთა კაპიტანი ტონი ადამსი ბარსელონელი ლუის ენრიკეს (№21) წინააღმდეგ

### აიკ 0:0 ფიორენტინა

აიკ: ასპერი, კიოლო, ლიუნგი, ბრუნდინი, გუსტავსონი, ლაგერლოფი, ნორდინი, ო. ანდერსონი (კორნელიუსონი 54), ტიერნსტრომი, ნოვაკოვიჩი, ა. ანდერსონი
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, რეპკა, პიერინი, დი ლივიო (ბრესანი 58), რუი კოშტა, კოისი (როსიტო 88), ჰაინრიხი, მიატოვიჩი (ბალბო 72), ბატისტუტა, კიეზა
მსაჯი: გ. ბენკო (ავსტრია)

შვედურმა აიკ-მა შინ მრისხანე „ფიორენტინას“ ტოლი არ დაუდო, უგოლო ფრე ეთამაშა და წლევანდელ ლიგაში პირველი ქულა მიითვალა. ერთი შეხედვით იტალიელები უფრო აგრესიულები ჩანდნენ. პრედრაგ მიატოვიჩმა და გაბრიელ ბატისტუტამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც გააცუდეს, მაგრამ მასპინძლებმა ნელ-ნელა დაალაგეს თამაში და ერთხელ კინაღამ გაიტანეს კიდეც, როცა ნებოიშა ნოვაკოვიჩის პასს ანდრეას ანდერსონის დარტყმა მოჰყვა.

„კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ბურთი ვერ გავიტანეთ. სამ სალიგო შეხვედრაში მხოლოდ ერთის გატანა მოვახერხეთ, თუმცა შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს. ასე რომ, ყველაფერი წინაა“ — ეს ფლორენციელთა მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის მატჩის შემდგომი სიტყვებია. აიკ-ის თავკაცი სტიუარტ ბაქსტერი კი უფრო ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა: „პირველი ტაიმი ინერტულად ჩავატარეთ, მეტოქეს თავისუფლად მოქმედების საშუალება მივეცით. მეორე ნახევრით კმაყოფილი ვარ. უკეთ გამოგვივიდა“.

*19 ოქტომბერი: არსენალი — ბარსელონა, ფიორენტინა — აიკ*

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 1:1 | 4:2 | 27.X | 7:4 | 7 |
| 2 | არსენალი | 19.X | | 27.X | 3:1 | 4:2 | 5 |
| 3 | ფიორენტინა | 2.XI | 0:0 | | 19.X | 2:4 | 2 |
| 4 | აიკ | 1:2 | 2.XI | 0:0 | | 2:5 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. III ტური. C ჯგუფი

### რუსენბორგი 2:2 დორტმუნდი

0:1 ბარბარესი (11), 0:2 კოლერი (22), 1:2 სორენსენი (35), 2:2 კარეუ (68)
რუსენბორგი: იამტფალი, ბასმა (ვინსენსი 25), ბრაგსტადი, ჰოფპტუნი, ბერგდოლმო, სტრანდი, სკამელსრუდი, ბერგი, სორენსენი, კარეუ, იაკობსენი (დალუმი 21)
დორტმუნდი: ლემანი, სტევიჩი (ნიჰუისი 74), კოლერი, როიტერი, ნერლინგერი, ჰერლიხი (ადო 70), რეინა, ბარბარესი, დედე, რიკენი, ევანილსონი (ბაუმანი 46)
მსაჯი: პ. დარკინი (ინგლისი)

„რუსენბორგი" 0:2-ს აგებდა, მაგრამ იყოჩაღა და თამაშის 2:2 დასრულება მოახერხა. მატჩის შემდეგ დორტმუნდის „ბორუსიას" მწვრთნელმა, მიხაელ სკიბემ ამასთან დაკავშირებით განაცხადა:

„ფრეს კარგ შედეგად ვთვლი. დღეს ჯგუფში მოწინავე ვინარჩუნებთ და თუ გავითვალისწინებთ, რომ მომდევნო სამი თამაშიდან ორი შინ გველის, შეიძლება ითქვას ძალიან კარგ პოზიციაზე ვართ".

სკიბემ ისიც განმარტა თუ რატომ გაუშვეს მისმა ფეხბურთელებმა ხელიდან ორბურთიანი უპირატესობა. ამაში მან ძირითადად თავისი მცველები დაადანაშაულა, თუმცა დასძინა, რომ ნორვეგიელთა ყმაწვილი ფორვარდი, იონ კარეუ, რომელმაც „ბორუსიას" მეორე გოლი გაუტანა იშვიათი ნიჭითაა დაჯილდოვებული და ბოლო დროს მისებრ უნარიანი ახალგაზრდა თავდამსხმელი იშვიათად უნახავს.

„რუსენბორგის" თავკაცმა ნილს ეგენმა განაცხადა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება საკუთარ ფეხბურთელთა უდრეკმა ხასიათმა მოახდინა, კერძოდ, ეგენს ჰგონებია, რომ ოთხი თუ ხუთი საგოლე მომენტის ხელიდან გაშვების შემდეგ რუსენბორგელები თამაშში გარდატეხის შეტანას ველარ შეძლებდნენ, მათ კი გარდატეხაც შეიტანეს და შეხვედრის ფრედ დამთავრებაც შეძლეს.

ანგარიში დორტმუნდელმა სერგეი ბარბარესმა მასპინძელთა უშედეგო, მაგრამ ინტენსიური შეტევების პასუხად გახსნა. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა თასის 1997 წლის მფლობელმა ნაკლები სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ უფრო ეფექტური იყო. „რუსენბორგის" გოლკიპერი იორნ იამტფალი დედემ და ლარს რიკენმა ორჯერ შეამოწმეს. ამ ორ ეპიზოდს იამტფალმა კარგად გაართვა თავი, მაგრამ, როდესაც ვეტერანმა იურგენ კოლერმა საჯარიმოს კიდიდან დაურტყა, იგი ვერაფერს გახდა და ანგარიშიც სტუმართა სასარგებლოდ გაიზარდა.

შესვენებამდე 10 წუთით ადრე რუსენბორგელმა იან დერეკ სორენსენმა თავურით შეამცირა სხვაობა, ხოლო მეორე ტაიმში კარეუმ თან ანგარიში გაქვითა და თანაც გათამაშებაში მესამე გოლი შეაგდო.




REUTERS პორტუდან

ბოავიშია — ფეიენოორდი 1:1. ამ შეხვედრაში გოლები როტერდამელმა პოლ ბოსველტმა (მარცხნივ) და მარიო სილვამ (№30) გაიტანეს

### ბოავიშტა 1:1 ფეიენოორდი

0:1 ბოსველტი (62), 1:1 მარიო სილვა (86)
ბოავიშტა: უილიამ ბასეი, პაულო სოუზა, პედრო ემანუელი (ფორმოსო 79), ლიტოში, მარიო სილვა, რუი ბენტუ, ჟორჟე სილვა, ჟორჟე კოუტუ, ბრაგა, ატიენსა (ესტევანი 46), აპინფული (რუდოლფი 68)
ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი, ბოსველტი, ვან ვონდერენი, კონტერმანი, დე ვისერი, კალუ, ვან გასტელი, პაუვე, დალ ტომასონი, ჯულიო კრუსი
გაძევება: უილიამ ბასეი (87)
მსაჯი: გ. პოლი (ინგლისი)

ამ ათი-თხუთმეტი წლის წინ მოედნიდან ფეხბურთელს რომ გააძევებდნენ დიდი ამბავი ატყდებოდა ხოლმე: ეპიზოდს დაუსრულებლად იმეორებდნენ, გაზეთები მრავალსიტყვაობდნენ, გულშემატკივრები ბჭოდნენ.

დღეს ფეხბურთელის გაძევება ხშირია. ცნება, ორი გაფრთხილების გამო წითელი ბარათის ალმართვა, ადამიანთა ცნობიერებაში მყარად ჩაჯდა და ბუნებრივზე ბუნებრივ რამედ ალიქმება.

მაგრამ ფეხბურთი წინ მიდის, ვითარდება და ამის დასტურად შეგვიძლია ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების მესამე ტურის ორი მატჩი მოვიტანოთ. პირველი ლონდონში გაიმართა, სადაც „ჩელსიმ" „გალათასარაის" უმასპინძლა და 32-ე წუთზე საკუთარი საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის სტამბოლელთა ბრაზილიელი მეკარე კლაუდიო ტაფარელი მსაჯმა ისე გააგდო მოედნიდან, ხელიც არ ათრთოლებია.

მეორე მატჩზე ახლა ვწერთ: „ბოავიშტა" — „ფეიენოორდი". აქაც იგივე მოხდა, მეკარე გააძევეს, ოღონდ საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე. უხეშობას მასპინძელთა გოლკიპერი უილიამ ბასეი ანდემი ემსხვერპლა.

მანამდე კი მეტოქეებმა გოლები გაცვალეს. ანგარიში 62-ე წუთზე სტუმრებმა გახსნეს. ნახევარმცველმა პოლ ბოსველტმა ახლოდან დაარტყა ზუსტად, მაგრამ სამი ქულის მოპოვებისა და ცხრილის სათავეში მოქცევაში ჰოლანდიურ გუნდს თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე მარიო სილვამ შეუშალა ხელი. მან საჯარიმო მოედნის გარედან მარცხენა ფეხით გაქვითა ანგარიში. „ბოავიშტა" აუტსაიდერია. აქამდე მას ორი თამაში ჰქონდა წაგებული, ახლა კი პირველი ქულა ჩაიწერა.

*19 ოქტომბერი: დორტმუნდი — რუსენბორგი, ფეიენოორდი — ბოავიშტა*

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსენბორგი | | 2:2 | 2:2 | 27.X | 7:4 | 5 |
| 2 | დორტმუნდი | 19.X | | 27.X | 3:1 | 6:4 | 5 |
| 3 | ფეიენოორდი | 2.XI | 1:1 | | 19.X | 4:4 | 3 |
| 4 | ბოავიშტა | 0:3 | 2.XI | 1:1 | | 2:7 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. III ტური. D ჯგუფი

### მანჩესტერი 2:1 მარსელი

0:1 ბაკაიოკო (41), 1:1 კოული (79), 2:1 სქოულზი (83)
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, ირვინი, სტამი, ბერგი (შერინგემი 75), ფ. ნევილი, ბექემი, სქოულზი, ბათი, სოლსკიაერი (ფორჩუნი 67), კოული, იორკი
მარსელი: პორატო, ფიშერი, პერესი, გალასი, ბლონდო, ბრანდო, ლუკსენი (დე ლა პენია 70), (ბელმანდი 83), დალმა, ბაკაიოკო, რავანელი (პირესი 61)
მსაჯი: გარსია არანდა (ესპანეთი)

მანჩესტერელთა მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი კმაყოფილი დარჩა. მან შეაქო თავისი გუნდის ბრძოლისუნარიანობა, მეტადრე გაშვებული გოლის შემდეგ.

...ენდი კოულმა ბრწყინვალე მაკრატელა გოლი გაიტანა 79-ე წუთზე, ხოლო შემდეგ პოლ სქოულზმაც შეაგდო გამარჯვებისა. მასპინძლებმა მეტად დაამწუხრეს ფრანგები, რომლებიც იბრაჰიმ ბაკაიაიოკოს წყალობით წინ იყვნენ, მაყურებელს კი კიდევ ერთხელ გაახსენდა ლიგის წინა გათამაშების ფინალი.

მატჩის შემდეგ ფერგიუსონმა თქვა: „ჩვენი თვისებაა ვიყოთ მიზანმიმართულნი და არ შევეგუოთ დამარცხებას. სწორედ ეს გახლდათ იარაღი, რითაც „მანჩესტერმა" დღევანდელი თამაში მოიგო".

„ჩვენ შეიძლება წავაგოთ, მაგრამ არასოდეს დავნებდებით. ეს დამსახურებული გამარჯვება იყო. როდესაც გოლები შეხვედრის მიწურულს გაგაქვს, ხალხი ფიქრობს, რომ უბრალოდ ბედმა გაგიღიმა, ეს კი ასე არ არის. ბედი არაფერ შუაშია" — ესეც ფერგიუსონის სიტყვებია.

„მარსელის" თავკაცი როლან კურბისი ცხადია დამწუხრებული იყო. მის გუნდს ხომ თითქმის განაღდებული ჰქონდა მოგება.

„ძალიან კარგად ვთამაშობდით თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში. გულდასაწყვეტი იყო შეხვედრის ბოლოს იმ ორი გოლის გაშვება" — განაცხადა კურბისმა — „მეორე ტაიმში, საუბედუროდ, ვერ შევძელით „მანჩესტერის" შეტევების მოგერიება. ეხლა „კროაციასთან" შეხვედრაზე ვფიქრობ. „მარსელის" და „კროაციას" მატჩი გადაწყვეტს ვინ გავა შემდეგ ეტაპზე".

ისე ჩანდა, რომ სტუმრებს არაფერი აკლდათ მოსაგებად. ცხადია ფრანგებს კარგად ახსოვდათ „მანჩესტერის" და „კროაციას" უგოლოდ დასრულებული თამაში და ხორვატების მსგავსად მათაც გადაწყვიტეს მოედნის ცენტრის გაკონტროლებით შეესუსტებინათ მასპინძელთა შეტევები. სტუმრები 41 წუთზე დაწინაურდნენ. ბერგმა, რომელმაც ცუდად ჩაატარა ეს შეხვედრა, შეცდომა დაუშვა. ვან დერ გოუ კი უძლური იყო რამე ეღონა. ხოლო მატჩის მიწურულს გამოჩნდა მანჩესტერელთა ეს თვისება, რაზეც ფერგიუსონმა ზემოთ განაცხადა. ენდი კოულმა ბრწყინვალედ ითამაშა და ბექემის ჩაწოდებითა და სტამის პასით გამაოგნებელი გოლი გატანა. ამის შემდეგ კი „მანჩესტერმა" იგრძნო, რომ შეეძლო „მარსელის" დამარცხება. იორკის და შეცვლაზე შესული შერინგემის მიერ გათამაშებული კომბინაციის გამო ფრანგების კარის ხაზთან არეულობა შეიქმნა. აქ ყველას სქოულზმა დაასწრო და შეხვედრის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

### კროაცია 3:0 შტურმი

1:0 რუკავინა (27), 2:0, 3:0 შოკოტა (34, 58პ)
კროაცია: ლადიჩი, იურიჩი, ტომასი, ბისკანი, შარიჩი, ცვიტანოვიჩი, რუკაეინა (ტოკიჩი 74), იურჩიჩი, მუიჩინი (პროსინეჩკი 66), შიმიჩი, შოკოტა (მიკიჩი 79)
შტურმი: შიკლგრუბერი, ნოიკირხნერი, მილანიჩი (ფელდჰოფერი 66), ფოდა, მელიხი (პანტელიჩი 74), შტრაფნერი, ვასტიჩი, პრილასნიგი, მარტენსი, შუპი (კორსოში 50), კოციანი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

ზაგრებელებმა ჩემპიონთა ლიგაში პირველი თამაში მოიგეს. ანგარიში ტომისლავ რუკავინამ 27-ე წუთზე გახსნა. მან საჯარიმო დარტყმით შეაბზრიალა ბურთი მოწინააღმდეგის კარში.

ამ ამბიდან შვიდი წუთი რომ გამოხდა, ისევ საჯარიმო დაინიშნა, ბურთი კარიდან დაახლოებით 20 მეტრში იდო და ამჯერად ტომი შოკოტამ შეაგდო იოზეფ შიკლგრუბერის კარის მარცხენა მაღალ კუთხეში.

ორი გოლის გაშვებამ ავსტრიელები გატეხა. მათ ველარ შეძლეს ბრძოლისუნარიანობის აღდგენა და „კროაციას" კარსაც აღარაფერი დამუქრებია.

შოკოტამ თავისი მეორე ანუ გუნდის მესამე გოლი შესვენების შემდეგ, მე-13 წუთზე შეაგდო. საინტერესოა, რომ ეს გოლიც იმ მდგომარეობიდან გავიდა, სტანდარტულს რომ უწოდებენ. კერძოდ, „შტურმის" ბელგიელმა მოთამაშემ, ჟან-პიტერ მარტენსმა მეტოქის თავდამსხმელი იოსიპ შიმიჩი თავის საჯარიმოში წააქცია, რისთვისაც პენალტი დაინიშნა.

ამის შემდეგ თამაში გახუნდა, სახიფათო მომენტი აღარც მასპინძლებს შეუქმნიათ და, როგორც გითხარით, აღარც სტუმრებს. 3:0, ავსტრიელთა თავის ჩაქინდვრის ფონზე შთამბეჭდავ ანგარიშად ჩანდა.




REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — მარსელი 2:1. მანჩესტერელი პოლ სქოულზი სადაცაა მეკარე სტეფან პორატოს გასცდება და გამარჯვების გოლს გაიტანს

გამარჯვება „კროაციას" შანსს უნარჩუნებს, „შტურმი" კი, როგორც ჩანს, პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ ევროსარბიელს გამოეთიშება.

*19 ოქტომბერი: შტურმი — კროაცია, მარსელი — მანჩესტერი*

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 2:1 | 0:0 | 2.XI | 5:1 | 7 |
| 2 | მარსელი | 19.X | | 2.XI | 2:0 | 5:3 | 6 |
| 3 | კროაცია | 27.X | 1:2 | | 3:0 | 4:2 | 4 |
| 4 | შტურმი | 0:3 | 27.X | 19.X | | 0:8 | 0 |

# სარბიელი


## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. VII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 ოქტომბერი | | | |
| 008 | აინტრახტი — შტუტგარტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 009 | მიუნხენი — არმინია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 2 ოქტომბერი | | | |
| 010 | ვოლფსბურგი — ლევერკუზენი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 011 | ჰერტა — დუისბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 012 | ულმი — ჰამბურგი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 013 | შალკე — ბაიერნი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 014 | დორტმუნდი — ჰანზა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 015 | კაიზერსლაუტერნი — უნტერჰახინგი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 016 | ფრაიბურგი — ვერდერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. VII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 ოქტომბერი | | | |
| 017 | ზანქტ პაული — ოფენბახი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 018 | ალემანია — ფორტუნა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 019 | კიოლნი — ვალდჰოფი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 2 ოქტომბერი | | | |
| 020 | კარლსრუე — მაინცი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 021 | კოტბუსი — ქემნიცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 022 | კიკერსი — ბოხუმი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 023 | ფიურტი — ბერლინი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 024 | ობერჰაუზენი — მიონხენგლადბახი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | 4 ოქტომბერი | | | |
| 025 | ჰანოვერი — ნიურნბერგი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. X ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 ოქტომბერი | | | |
| 026 | ასტონ ვილა — ლივერპული | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 027 | ბრედფორდი — სანდერლენდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 028 | ევერტონი — ქოვენთრი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 029 | უენსდი — უიმბლდონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 030 | ჩელსი — მანჩესტერი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 031 | ნიუკასლი — მიდლსბრო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 032 | ტოტენჰემი — ლესტერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 033 | უოტფორდი — ლიდსი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 034 | ვესტ ჰემი — არსენალი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | 4 ოქტომბერი | | | |
| 035 | საუთჰემპტონი — დერბი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისი. I დივიზიონი. X ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 ოქტომბერი | | | |
| 036 | ნოტინგემი — ბარნსლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 2 ოქტომბერი | | | |
| 037 | ჩარლტონი — ბირმინგემი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 038 | კრისტალ პალასი — პორტსმუთი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 039 | გრიმსბი — იფსვიჩი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 040 | ჰადერსფილდი — შეფილდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 041 | მანჩესტერ სიტი — პორტ ვეილი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 042 | ნორვიჩი — ფულემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 043 | ქუინზ პარკი — ბლექბერნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 044 | სუინდონი — ბოლტონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 045 | უოლსოლი — სტოკპორტი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 046 | ქრიუ — ტრანმერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 047 | ვულვერჰემპტონი — ვესტ ბრომვიჩი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. X ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 ოქტომბერი | | | |
| 048 | კოლჩესტერი — რექსემი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 2 ოქტომბერი | | | |
| 049 | როვერსი — ბლეკპული | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 050 | ბარნლი — ბრენტფორდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 051 | ბერი — კარდიფი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 052 | ჩესტერფილდი — ბორნმუთი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 053 | ჯილინგემი — მილუოლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 054 | ოლდემი — ნოტსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 055 | ოქსფორდი — ბრისტოლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 056 | პრესტონი — კემბრიჯი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 057 | სტოკი — სკანთორპი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 058 | უიგანი — ლუტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 059 | უიკომბი — რედინგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისი. III დივიზიონი. X ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 ოქტომბერი | | | |
| 060 | ბარნეტი — ჰალი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 061 | კარლაისლი — საუთენდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 062 | ჩელტენემი — როტერჰემი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 063 | ჰარტლპული — დარლინგტონი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 064 | ლინკოლნი — ექსეტერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 065 | მაკლსფილდი — ტორკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 066 | ნორთჰემპტონი — როჩდეილი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 067 | პიტერბრო — ბრაიტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 068 | პლიმუთი — ლეიტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 069 | შრიუსბერი — ჰალიფაქსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 070 | სუონსი — მენსფილდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 071 | იორკი — ჩესტერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 ოქტომბერი | | | |
| 072 | ნანსი — რენი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 073 | სედანი — ტრუა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 074 | ლე ავრი — მონპელიე | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 075 | სენტ ეტიენი — ბასტია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 076 | სტრასბური — ბორდო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 077 | მარსელი — მეცი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 078 | მონაკო — ლიონი | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 079 | ნანტი — პარი სენ ჟერმენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 080 | ოსერი — ლანსი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 ოქტომბერი | | | |
| 081 | გენგამი — ლე მანი | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 082 | ნიმი — ვასკეალი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 083 | ნიცა — ტულუზი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 084 | აიაჩო — ლუანი | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 085 | შატორუ — კრეტეი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 086 | გენიონი — ლორიანი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 087 | სოშო — ვალანსი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 088 | ლილი — კანი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 2 ოქტომბერი | | | |
| 089 | ლავალი — ნიორი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 090 | ამიენი — კაენი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### იტალია. სერია A. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 ოქტომბერი | | | |
| 091 | კალიარი — ტორინო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 092 | ინტერი — პიაჩენცა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 093 | ბარი — უდინეზე | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 094 | ბოლონია — ლეჩე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 095 | ფიორენტინა — რომა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 096 | იუვენტუსი — ვენეცია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 097 | პარმა — ვერონა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 098 | პერუჯა — რეჯინა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 099 | ლაციო — მილანი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### იტალია. სერია B. VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 ოქტომბერი | | | |
| 100 | ვიჩენცა — ემპოლი | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 101 | ატალანტა — პესკარა | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 102 | ბრეშა — პისტოიეზე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 103 | ჩეზენა — ალძანო | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 104 | კიევო — ჯენოა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 105 | ფერმანა — ტრევიზო | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| 106 | მონცა — რავენა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 107 | სამპდორია — ტერნანა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 108 | სავოია — კოზენცა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| | 4 ოქტომბერი | | | |
| 109 | სალერნიტანა — ნაპოლი | 2,1 | 2,7 | 3,4 |

### იტალია. სერია C1/A. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 110 | კარარეზე — ალბინოლეფე | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 111 | ჩიტადელა — ლუკეზე | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 112 | კომო — სანდონა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 113 | ლივორნო — სიენა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 114 | ლუმეცანე — ლეკო | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 115 | მოდენა — ბრეშელო | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 116 | მონტევარკი — პიზა | 2,0 | 2,7 | 3,4 |
| 117 | რეჯანა — სპალ | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 118 | ვარეზე — კრემონეზე | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### იტალია. სერია C1/B. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 119 | ანკონა — ფ. ანდრია | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 120 | ასკოლი — ბენევენტო | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 121 | აველინო — არეცო | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 122 | კატანია — ნოჩერინა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 123 | კროტონე — მარსალა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 124 | ჯულიანოვა — ვიტერბეზე | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 125 | სტაბია — დი სანგრო | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 126 | ლოდიჯანი — ატლეტიკო | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 127 | პალერმო — გუალდო | 1,5 | 3,0 | 7,5 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 ოქტომბერი | | | |
| 128 | ვალიადოლიდი — ბარსელონა | 5,0 | 2,9 | 1,7 |
| 129 | ნუმანსია — მალაგა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 130 | სელტა — მალიორკა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 131 | სარაგოსა — სოსიედადი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 132 | რასინგი — რაიო ვალეკანო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 133 | ესპანიოლი — ატლეტიკო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 134 | ალავესი — სევილია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 135 | ბეტისი — ოვიედო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 136 | რეალი — ვალენსია | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 138 | ბილბაო — დეპორტივო | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. VII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 139 | ელჩე — ვილიარეალი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 140 | ეიბარი — ლევანტე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 141 | ხეტაფე — ტენერიფე | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 142 | ბადახოსი — სპორტინგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 143 | ალბასეტე — უელვა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 144 | სალამანკა — ტოლედო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 145 | ლეიდა — მერიდა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 146 | ლოგრონიესი — ატლეტიკო B | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 147 | ლას პალმასი — ლეგანესი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 148 | კორდობა — ოსასუნა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 149 | ესტრემადურა — კომპოსტელა | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### პორტუგალია. VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 ოქტომბერი | | | |
| 150 | კამპომაიორენსე — რიუ ავე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 151 | გიმარაეში — ალვერკა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 152 | მარიტიმუ — ჟილ ვისენტე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 153 | სალგეირუში — ფარენსე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 154 | ლეირია — ბრაგა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | 4 ოქტომბერი | | | |
| 155 | ბელენენსეში — პორტუ | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 156 | ბენფიკა — ამადორა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 157 | სპორტინგი — ბოავიშტა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | 5 ოქტომბერი | | | |
| 158 | სანტა კლარა — სეტუბალი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ჰოლანდია. VII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 ოქტომბერი | | | |
| 159 | მაასტრიხტი — ჰერენვენი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 2 ოქტომბერი | | | |
| 160 | სიტარდი — კამბური | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 161 | პსვ — სპარტა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 162 | ტვენტე — დენ ბოსხი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 163 | ვალვაიკი — გრააფსხაპი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 164 | ალკმარი — ფეიენოორდი | 5,0 | 2,9 | 1,7 |
| 165 | უტრეხტი — როდა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 166 | ვიტესი — ნაიმეგენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 167 | ტილბურგი — აიაქსი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ბელგია. VIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 ოქტომბერი | | | |
| 168 | შარლერუა — მუსკრონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 2 ოქტომბერი | | | |
| 169 | გენტი — ლომელი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 170 | სტანდარდი — ბევერენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 171 | მეხელენი — სენტ ტრუიდენი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 172 | გენკი — ლიერსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 173 | ანდერლეხტი — ბეერსხოტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 174 | ვესტერლო — ბრიუგე | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 175 | აალსტი — გეელი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 176 | ჰარელბეკე — ლოკერენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### საბერძნეთი. III ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3 ოქტომბერი | | | |
| 177 | კალამატა — ქსანთი | 2,3 | 2,8 | 2,9 |


ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 178 | პანათინაიკოსი — პაოკ | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 179 | პანაჰაიკი — ოფი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 180 | ეთნიკოსი — აეკ | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 181 | პროდეფტიკი — არისი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 182 | ირაკლისი — ტრიკალა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 183 | პანიონიოსი — იონიკოსი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 184 | პანილიაკოსი — კავალა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 185 | აპოლონი — ოლიმპიაკოსი | 6,0 | 3,3 | 1,5 |

### ჩეხეთი. IX ტური

1 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 186 | ბოჰემიანსი — ბუდეიოვიცე | 2,0 | 2,8 | 3,5 |

2 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 187 | ბრნო — დუკლა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 188 | ბანიკი — სპარტა | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 189 | ლიბერეცი — იაბლონეცი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 190 | ბლშანი — ოპავა | 2,3 | 2,8 | 2,9 |

4 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 191 | პ. კრალოვე — ტეპლიცე | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 192 | სიგმა — დრნოვიცე | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 193 | სლავია — ვიკტორია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### პოლონეთი. XI ტური

2 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 195 | რაძიონკოვი — პლოცკი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 196 | გროცლინი — ოდრა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 199 | პოლონია — ზაგლებე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 200 | რუხი — გურნიკი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 201 | ვისლა — ლკს | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

3 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 194 | ვიძევი — ლეხი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 197 | პოგონი — ლეგია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 198 | ჰალექსი — ამიცა | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### უკრაინა. XI ტური

3 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 202 | მარიუპოლი — დინამო | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| 203 | ნივა — პრიკარპატია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 204 | მეტალისტი — ზაპოროჟიე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 205 | მეტალურგი — დნიპრი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 206 | ზირკა — ტავრია | 3,0 | 2,9 | 2,2 |

4 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 207 | კარპატი — ვორსკლა | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### შოტლანდია. IX ტური

2 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 208 | აბერდინი — ჰიბერნიანი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 209 | დანდი — რეინჯერსი | 5,3 | 3,1 | 1,6 |

### ავსტრია. XIV ტური

1 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 210 | ტიროლი — აუსტრია | 1,5 | 3,4 | 5,6 |

2 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 211 | ბრეგენცი — ლუსტენაუ | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 212 | ლინცერი — ზალცბურგი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

3 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 213 | გრაცერი — შტურმი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 214 | რაპიდი — რიდი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

### შვეიცარია. XIV ტური

1 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 215 | ლუგანო — ქსამაქსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

2 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 216 | ბაზელი — ივერდონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

3 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 217 | არაუ — გრასჰოპერი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 218 | ლუცერნი — სერვეტი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 219 | ციურიხი — სენტ გალენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 220 | ლოზანა — დელემონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### დანია. X ტური

3 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 221 | ვაილე — ოდენსე | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 222 | ბრიონდბიუ — ორჰუსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 223 | ესბიერგი — ოლბორგი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 224 | აკადემისკი — კოპენჰაგენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 225 | ჰერფიოლგე — ვიბორგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 226 | ლიუნგბიუ — სილკებორგი | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### რუსეთი. XXVI ტური

2 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 227 | დინამო — შინიკი | 1,4 | 4,0 | 4,0 |
| 228 | სატურნი — ცსკა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 229 | ნ. ნოვგოროდი — როტორი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 230 | ტორპედო — როსტსელმაში | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 231 | კრილია სოვეტოვი — ურალანი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 232 | ალანია — ჩერნომორეცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

3 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 233 | ლოკომოტივი — ზენიტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 234 | ჟემჩუჟინა — სპარტაკი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

### შვედეთი. XXIII ტური

3 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 235 | აიკ — ჰალმსტადი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 236 | ტრელებორგი — იორებრო | 1,9 | 2,9 | 3,6 |

4 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 237 | გიოტებორგი — ნორჩიოპინგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 238 | ჰელსინგბორგი — კალმარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 239 | ფრიოლუნდა — იორგრიტე | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 240 | ჰამარბი — იურგარდენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 241 | ელფსბორგი — მალმიო | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### ნორვეგია. XXIV ტური

3 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 242 | ბოდიო გლიმტი — ტრომსიო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 243 | კონგსვინგერი — სკეიდი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 244 | რუსენბორგი — ვიკინგი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 245 | სტრიომსგოდსეტი — მოსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 246 | ვოლერენგა — ლილესტრიომი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ნორვეგია. თასის ნახევარფინალი

3 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 247 | მოლდე — ბრანი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია (VI ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| ინგლისი (X ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| საფრანგეთი (IX ტური) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| იტალია (V ტური) | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (VI ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია (VI ტური) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| ჰოლანდია (VI ტური) | 27 და ნაკლები | 1,9 | 29 და მეტი | 1,9 |
| ბელგია (VII ტური) | 27 და ნაკლები | 1,9 | 29 და მეტი | 1,9 |

### ჰოკეი. NHL

1 ოტქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 817 | დალასი — პიტსბურგი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 818 | ედმონტონი — რეინჯერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |

2 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 819 | ბოსტონი — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 820 | მონრეალი — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 821 | ფილადელფია — ოტავა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 822 | ატლანტა — ნიუ ჯერსი | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| 823 | ტამპა ბეი — აილენდერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 824 | ფლორიდა — ვაშინგტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 825 | დეტროიტი — ბუფალო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 826 | სენტ ლუისი — ფინიქსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 827 | ნეშვილი — ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 828 | დალასი — ანაჰაიმი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 829 | ვანკუვერი — რეინჯერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 830 | სან ხოსე — კალგარი | 1,7 | 4,4 | 2,4 |

4 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 831 | ტორონტო — ბოსტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 832 | სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 833 | სან ხოსე — ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |

### რაგბი. მსოფლიოს თასი. I ტური

1 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 834 | უელსი — არგენტინა | 1,2 | 7,0 | 3,8 |
| 835 | ფიჯი — ნამიბია | 1,1 | 7,0 | 5,6 |

2 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 836 | საფრანგეთი — კანადა | 1,05 | 7,0 | 9,0 |
| 837 | ესპანეთი — ურუგვაი | 1,4 | 7,0 | 2,5 |
| 838 | ინგლისი — იტალია | 1,02 | 7,0 | 14,0 |
| 839 | ირლანდია — აშშ | 1,05 | 7,0 | 9,0 |

3 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 840 | სამოა — იაპონი | 1,1 | 7,0 | 5,6 |
| 841 | ახალი ზელანდია — ტონგა | 1,02 | 7,0 | 14,0 |
| 842 | შოტლანდი — სამხრეთ აფრიკა | 4,4 | 7,0 | 1,15 |
| 843 | ავსტრალია — რუმინეთი | 1,01 | 7,0 | 20,0 |

### რაგბი. მსოფლიოს თასი. ჩემპიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ახალი ხელანდია | 2,0 | ფიჯი | 200,0 |
| ავსტრალია | 2,8 | კანადა | 400,0 |
| სამხრეთ აფრიკა | 3,8 | ტონგა | 500,0 |
| ინგლისი | 5,0 | აშშ | 500,0 |
| უელსი | 15,0 | იტალია | 500,0 |
| საფრანგეთი | 20,0 | ნამიბია | 1000,0 |
| შოტლანდია | 60,0 | რუმინეთი | 1000,0 |
| ირლანდია | 100,0 | იაპონია | 1000,0 |
| სამოა | 100,0 | ესპანეთი | 1000,0 |
| არგენტინა | 200,0 | ურუგვაი | 1000,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოი[illegible] მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპ[illegible] ბში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მო[illegible]) [illegible]ბის სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვის მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

### რუსუდან ხოფერია

ბატუტზე ხტომა

დაიბადა 1972 წლის 9 სექტემბერს თბილისში. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1986), ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლის მფლობელი, IX სპარტაკიადის ჩემპიონი, თასის სამგზის მფლობელი (1987, 88, 90) ევროპის სამგზის ჩემპიონი (1987, 89, 97) სამგზის ვერცხლისმედალოსანი, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი (1988), ვერცხლის პრიზიორი (1990), თასის მფლობელი (1995)



1. 1986 წელს კიევში, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე ყველასათვის მოულოდნელად გავიმარჯვე. მაშინ მხოლოდ 13 წლისა ვიყავი და ეს გამარჯვება სათანადოდ ვერც კი აღვიქვი. მერე მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონიც გავხდი, უფრო დიდ წარმატებებსაც მივაღწიე, მაგრამ ყველაზე სასიხარულო მაინც ის იყო.

ყველაზე უსიამოვნო მოგონება კი ისაა, რომ 1990 წელს გერმანიის ქალაქ ესენში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წამიყვანეს. მაშინ საბჭოთა კავშირში გამართული ტურნირების მიხედვით ადგენდნენ საერთო რეიტინგს, რომლის ოთხი საუკეთესო ბატუტისტიც აკომპლექტებდა საკავშირო ნაკრებს. მართალია, მე იმ ოთხეულში მოვხვდი, მაგრამ ნაკრების ახალდანიშნულმა მწვრთნელმა გუნდში არ შემიყვანა. თანაც ისე, რომ მიზეზები არ აუხსნია. ვფიქრობ, ეს მაშინდელმა პოლიტიკურმა სიტუაციამ განაპირობა.

2. ამ საკითხზე ხშირად მიფიქრია. მეც რომ ასეთ დროს დამეწყო სპორტული კარიერა, ჩემგან ალბათ არაფერი გამოვიდოდა. დღეს საქართველოში არ შეჯიბრებებში გამოსვლის საშუალება, სპორტსმენი კი ტურნირებში უნდა გამოიზარდოს. თუ იგი რამით არ დააინტერესე, მაშინ სპორტი მთლიანად ჩაკვდება. მგონი, აქეთკენ უკვე მივდივართ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ახლანდელი შედეგები აშკარად ჩამორჩება იმას, რასაც საბჭოთა კავშირის არსებობისას ვაჩვენებდით. გამოსავალს კი იმაში ვხედავ, რომ სპორტის მესვეურებმა უფრო მეტი უნდა გააკეთონ სპორტსმენებისთვის. ჩვენ ნიჭიერი თაობები არასოდეს გვაკლდა და სანთლით საძებარი არც ახლაა. ასეთ ხალხს მიხედვა, ყურადღება და მოვლა-პატრონობა სჭირდება. თუ ეს გაკეთდა, მაშინ არანაკლები ხოფერიები, აბრამიშვილები, სალუქვაძეები და სხვები დაიზრდებიან.

3. ვიქტორ სანეევი, გივი კარტოზია, ლევან თედიაშვილი
ნონა გაფრინდაშვილი, მზია ჯუღელი, ნინო სალუქვაძე



# თბილისის ღია ქართველებისთვის დაიხურა

## CARTU & TBILISI LADIES OPEN

ქართუ&თბილისის რიგით მესამე ქალთა ღია პირველობა გუშინ მასპინძლების გარეშე დარჩა: ტურნირს შემორჩენილმა ორივე ქართველმა — ერთეულებში მაკა ჩახნაშვილმა, წყვილებში კი ნინო ლუარსაბიშვილმა მეოთხედფინალში დაასრულეს ასპარეზობა.

ჩახნაშვილის მეტოქე ამჯერად 19 წლის რუსი, შარშანდელი თბილისის ტურნირის ნახევარფინალისტი მარია გოლოვიზნინა იყო. მაკას წინა გამარჯვებები იმის იმედს კი იძლეოდა, რომ გადაულახავი დაბრკოლება არც ლოყებლაჟღაჟა ჩრდილოელი სტუმარი იქნებოდა, მაგრამ ჩვენებური მატჩს საუკეთესო ფიზიკური კონდიციით ვერ შეხვდა — მეორე დღეა, მას მაღალი სიცხე ჰქონდა.

დილის 11 საათზე დაწყებულ შეხვედრაში ანგარიში 17 წლის თბილისელმა დიდი გაჭირვებით გახსნა, მერე კი გოლოვიზნინას ჟამი დადგა: მან ზედიზედ 6 გეიმი მოიგო და პირველ სეტს ნახევარ საათზე ნაკლები დაახარჯა.

მთელი მატჩის მანძილზე უაღრესად სტაბილურად მოთამაშე რუსის დაჯაბნა ჩახნაშვილისთვის ძალიან ძნელი იყო: გოლოვიზნინა ბექჰენდის მხრიდან დაბალი, მოჭრილი დარტყმებით შესანიშნავად იცავდა თავს და თითქმის არ ცდებოდა, ბურთის მარჯვნივ გადაგდების შემთხვევაში კი მძლავრი ფორჰენდით ხშირად სუფთად იგებდა გათამაშებებს. მოკლედ, ვაის გავეყარე, უის შევეყარეო, ისე იყო საქმე.

მაკამ კარგა ხანს ვერაფერი მოუხერხა კედელივით გაუვალ რუსს, ვერც საფირმო შემოკლებულებით. გოლოვიზინამ გადაწონა სასწორი თავის მხარეს და მატჩიც თითქოს გარდაუვალი დასასრულისკენ მიექანებოდა — რუსი მეორე ხელშიც 5:3 დაწინაურდა.

მაგრამ ამ ერთი შეხედვით გამოუვალ სიტუაციაში ჩახნაშვილმა ისევ გამოავლინა მებრძოლი ხასიათი — მეტოქეს მოწოდება აართვა და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, რითაც აქამდე მიჩუმებულ ქომაგებს იმედი ჩაუსახა და ახალი ენერგიით აახმაურა.

კიდევ უფრო ხმამაღალი აპლოდისმენტების ჯერი მომდევნო გეიმში დადგა, როდესაც მაკამ ორი მატჩ-პოინტი გადაარჩინა: პირველზე ურთულესი ბურთი თითქმის მიწიდან „გამოაძვრინა", მეორეზე რისკიანი, მაგრამ უზუსტესი შემოკლებული დაარტყა — 5:5.

გოლოვიზნინა შესამჩნევად ანერვიულდა და მალე ჩვენებურს სულაც წინ გასვლა შეეძლო, თუმცა ერთი ბრეიკპოინტი თავისი შეცდომით გააფუჭა, მეორეზე კი მოულოდნელად ჯანზე მოსულმა რუსმა კვადრატების გამყოფი ხაზი გაათეთრა — უიშვიათესი ეისი და 6:5.

მომდევნო გეიმი მაკამ სამი უნებლიე შეცდომით დაიწყო და 0:40-ზე რუსს სამმაგი მატჩ-პოინტი აჩუქა, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ შესანიშნავი დარტყმებით სამივე გადაურჩინა და ტრიბუნები კიდევ ერთხელ აეფეთქებინა.

ნერვიულ დაძაბულობის ზღვარზე თამაში უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა და მეშვიდე მატჩ-პოინტზე მაკას ჩოგანსაც ამოეწურა სასწაულების ლიმიტი — ფორჰენდი რამდენიმე მეტრით გადასცილდა უკანა ხაზს და გოლოვიზნინამ ზედიზედ მეორედ გაიფორმა თბილისის ტურნირის ნახევარფინალის საგზური 6:1, 7:5.



მაკა ჩახნაშვილი

დასანანი მარცხის შემდეგ მაკამ თავი ველარ შეიკავა და თვალები მოუწყლიანდა, თუმცა ეს ტურნირი იმედგაცრუებაზე მეტად მაინც წინსვლისა და ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

**— მაკა, დღევანდელ მატჩზე რას იტყოდი?**

— პირველ სეტში ჩემი მეტოქე შესანიშნავად თამაშობდა და შანსი არ დამიტოვა, მაგრამ მერე მის დარტყმებს თანდათან ალღო ავუღე და მეც უკეთესად ავთამაშდი. ბოლოს ყველაფერი თითო ქულამ გადაწყვიტა, სადაც ბევრი გამართლებაზეცაა დამოკიდებული. სამწუხაროდ, დღეს, ეტყობა, ჩემი დღე არ იყო.

**— მარცხის მიუხედავად, ამ ტურნირს შენთვის წარმატებულად არ თვლი?**

— კი, რა თქმა უნდა, ტურნირზე უაილდ ქარდით მოვხვდი და ორი ისეთი ჩოგბურთელი დავამარცხე, რომლებიც ბევრად მისწრებდნენ კლასიფიკაციაში, რაც ნამდვილად დიდი წარმატებაა ჩემთვის.

**— ქალთა ჩოგბურთი ბოლო ხანებში სულ უფრო ძალისმიერი ხდება, თბილისში ყველა შენი მეტოქეც ჯანით გჯობნიდა. არ აპირებ ტრენაჟორებზე ვარჯიშით ამ დანაკლისის ანაზღაურებას?**

— ტრენაჟორებზე არა, მაგრამ ისე, ფიზიკურ მზადყოფნაზე ძალიან ბევრს ვმუშაობ. ვფიქრობ, სულაც არაა აუცილებელი, დიდი კუნთები გქონდეს, რათა ბურთი ძლიერად დაარტყა, თანაც ახლა ჩოგბურთელ ქალთა უმეტესობას კუნთები ხელოვნურად აქვს დაბერილი რაღაც პრეპარატებით.

**— რისი გაუმჯობესება გჭირდება კიდევ უფრო დიდი წარმატებების მისაღწევად?**

— კარგი იქნებოდა, სტაბილურობა და მოწოდების სიჩქარე გამეზარდა, რათა მერე ორმაგი შეცდომების შიში არ მქონდეს. უნდა ვიმუშაო ტექნიკის დახვეწაზეც.

**— უახლოეს ხანებში რა გეგმები გაქვს?**

— ახლა ბათუმის ტურნირზე მივემგზავრები, იქაური სწრაფი საფარი კიდევ უფრო მოსახერხებელია ჩემთვის და იმედია, იქაც წარმატებით ვიასპარეზებ. მერე მინსკის 10-ათასიან ტურნირში ვცდი ძალას. ძალიან მინდა, წლის ბოლოსთვის კლასიფიკაციაში შესამჩნევად წავიწიო წინ და მეორე ასეულში აღმოვჩნდე.

ჩვენც მხოლოდ წარმატებებს ვუსურვებთ მაკას, ქართველ მაყურებელს კი — მისგან მინიჭებულ სიხარულსა და დადებით ემოციებს.

სამწუხაროდ, გარკვეულ პრობლემათა გამო საქართველოს პირველი ჩოგანი ნინო ლუარსაბიშვილი თბილისის ტურნირს კარგად მომზადებული ვერ შეხვდა. 22 წლის თბილისელმა ერთეულებში პირველი წრის მატჩი დათმო, გუშინ კი ავსტრიელ მელანი შნელთან დუეტში მეოთხედფინალში დაფნი ვანდეზანდესა და მარია პაოლა ზავალის წყვილთან წააგო 3:6, 2:6.

**ერთეულების მეოთხედფინალები:** ტატიანა პუჩეკი (1, ბელარუსი) — მარია გუშევა (ბულგარეთი) 6:1, 6:3; დაფნი ვანდეზადე (ბელგია) — ოლგა გლუშჩენკო (ბელარუსი) 7:6 (7:3), 7:5; ჯულია აბე (2, გერმანია) — ევა დირბერგი (6, დანია) 7:6 (7:2), 6:3.

*დღეს ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე ნახევარფინალები 12 საათზე დაიწყება. ერთმანეთს შეხვდებიან აბე-ვანდეზანდე და პუჩეკი-გოლოვიზნინა.*

ავთანდილ სვანიძე

ბატუტზე ხტომა

# პატარა ბატუტისტების მონაგარი

კრასნოდარში ჩატარდა რუსეთის სამხრეთ ქალაქებისა და ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების მე-9 სპორტული თამაშები. ტურნირის პროგრამაში სპორტის 9 სახეობა შედიოდა, მაგრამ საქართველოდან მხოლოდ ბატუტისტთა ნაკრებმა იასპარეზა, რომლის დაფინანსებაც თბილისის სპორტის სამმართველომ ითავა.

შეჯიბრებები ქალთა და ვაჟთა უმცროს და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში გაიმართა.

უფროსებში სოფიკო გულიაშვილი მეორე ადგილზე გავიდა, გვანცა ჩიტიშვილი — მესამეზე. უმცროსებმა კი უფრო იყოჩაღეს. მათგან ჩემპიონობა 9 წლის ლუბა გოლოვინამ მოიპოვა, რომელიც ქალებში უმრწემესი იყო. ულა აირაპეტოვა ვერცხლის მედალს დაეუფლა. ვერიკო ბეგლარაშვილი კი მეოთხე გახლდათ.

გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებული ორივე ასაკის მონაცემების შეჯამებით ვლინდებოდა. საქართველოს ქალთა გუნდმა ჩემპიონობა არავის დაუთმო.

ვაჟები მხოლოდ უმცროსებში გამოდიოდნენ. თენგიზ კოშკაძემ, რომელიც მათგან ყველაზე პატარა იყო, მეორე ადგილი დაიკავა, ოლეგ გოგოლაძემ — მესამე, ალექსანდრე მარტინჩუკმა კი მეოთხე. გუნდიც მეოთხე იყო.

ირაკლი თავაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

# მსაჯებისგან დაჩაგრული...
## ტარიელ მელელაშვილი თურქებს ემუქრება

**ათენის მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნებულ ტარიელ მელელაშვილს აეროპორტში მამა დახვედრია. მწვრთნელებმა თურმე მიულოცეს, შენმა ბიჭმა კარგად იჭიდავაო. კარგად კი იჭიდავა, მაგრამ მედალს როდის უნდა ელირსოსო, მწარედ ჩასცინებია მშობელს**


REUTERS ათენიდან

ტარიელ მელელაშვილმა (ქვევით) ბერძენ ავრამისს ვერც ათენში აჯობა

არის ტარიელის სიტყვებში სიმართლე. მან ბავშვობიდანვე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება, იმთავითვე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მანაც თითქოს ადრევე დაიწყოვარაუდების გამართლება (20 წლისამ უკვე ატლანტის ოლიმპიადაზე იასპარეზა), მაგრამ რაიმე ხელშესახები წარმატებისთვის ჯერაც ვერ მიუღწევია. ფათერაკები, სკანდალები და უსიამოვნებანი მისი კარიერის თანამდევია — წონის ცვლა, მსაჯთაგან დაჩაგვრა, სანუკვარ მიზნამდე დარჩენილი ერთი გადაულახავი ნაბიჯი... თუმცა ამის მიზეზი მაინც საკუთარ თავში უნდა ეძებოს. ამას თავადაც არ მალავს აწ უკვე ლიცენზიის მფლობელი სპორტსმენი.

**— ტარიელ, თავად როგორ შეაფასებდი ათენში მომხდარს?**

— მსაჯების გადაწყვეტილებით წავაგე. სინამდვილეში 10:0 მოვუგე თურქ ნაზიმი ავლუჯას, მაგრამ ბოლო ქულა არ ჩამითვალეს. მერე მომხსნეს კიდეც, შეხვედრის დამთავრებამდე 23 წამით ადრე შედეგი გავაპროტესტეთ. დაინიშნა ხელახალი შეხვედრა. დასაწყისშივე, მხოლოდ 30 წამი რომ იყო გასული, ავლუჯამ მუხლი მომარტყა და ორი ნეკნი გამიტეხა. მერე ველარ ვიჭიდავე.

**— მუხლი შემთხვევით მოუხვდა თუ განგებ მოგარტყათ?**

— არა, შემთხვევით მოუხვდა. ეს ჩვეულებრივი საჭიდაო სიტუაცია იყო.

**— 9:0 მაინც როგორ გააниავეთ, ნუთუ ანგარიშის შენარჩუნება არ შეიძლებოდა? თუნდაც ქულები რომ დაგეთმოთ და გაფრთხილებები არ მიგეღოთ...**

— კი შეიძლებოდა, მაგრამ მსაჯებმა ძალით შემომიტიეს. მესამე გაფრთხილებისას შარი მომდეს, ფეხში ხელი ჩაავლეო. ასეთი არაფერი ყოფილა. მათ არასწორად გამაფრთხილეს, თორემ ამ უპირატესობის შენარჩუნება შემეძლო.

**— ნეკნი რომ არ გტკენოდათ, ავლუჯას მეორედაც მოუგებდით?**

— მე მგონი, ნამდვილად მოვუგებდი.

**— ავრამისსაც მოუგებდით, ჯანმრთელი რომ ყოფილიყავით? ის ხომ ბედისწერად გექცათ — ახლაც წაგართვათ მედალი და ევროპაზეც.**

— ნემსები კი გავიკეთე, მაგრამ არ მიშველა. მოვუგებდი.

ასეთ კარგ ფორმაში არასოდეს ვყოფილვარ. მას მხოლოდ მეორედ შევხვდი.

**— ნახევარფინალში არც წილისყრამ გაგიმართლათ. იმ ოთხეულში ავლუჯა ნამდვილად უძლიერესი იყო. მის ნაცვლად ფრანგი ივონ რიმერი რომ შეგხვედროდათ?**

— მას ერთი თვის წინ პოლონეთში ხელმტკივანმა წმინდად მოვუგე. ახლა თვითონ იტკინა ხელი ნახევარფინალში. ფინალში რომ გავსულიყავი... არადა, მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვების ასეთი შანსი თუ მომეცემა.

**— ავლუჯამ მაინც რით დაიმსახურა მსაჯების სიმპათია? [illegible] ტულების გა[illegible] ხომ არა?**

— თქვენ, [illegible] პატივისცემ[illegible]

**— ალბათ, კითხვაც არ უნდა, გული ძალიან დაგწყდებოდათ.**

— რა თქმა უნდა, მე ხომ მსოფლიოზე ჯერ მედალი არ ამიღია. ასეთი შანსი კი როდის მომეცემა? არ ვიცი, შეხვედრა როგორ მოვიგო, მსაჯებმა გამარჯვება რომ მომაკუთვნონ.

**— მსაჯები ნამდვილად არ გწყალობენ. 1996 წელს, ატლანტის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირშიც, მერე თვით ოლიმპიადაზეც ისე მოიქცნენ, როგორ ახლა.**

— განა მარტო ამ ტურნირებზე? ევროპის წლევანდელ პირველობაზეც ფინალში გასასვლელი შეხვედრა მათ წამაგებინეს უნგრელ ტომაშ ბერშიცასთან.

**— არაობიექტური მსაჯები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან, მაგრამ, ეტყობა, ყველა დაბრკოლების გადასალახავად თქვენც უნდა მოუმატოთ...**

— რა თქმა უნდა... საამისოდ მეტი ვარჯიში მმართებს.

**— ასეა თუ ისე, გაისად სიდნეიში წავალთ?**

— იქ ძალიან გაბრაზებული ჩავალ და ყველას ჯავრს ვიყრი.

**— მაინც, ვის ემუქრებით?**

— უფრო იმ თურქს, ნაზმი ავლუჯას.

ირაკლი თავაძე

ხელბურთი

ქართული ხელბურთი რომ აღმავლობის გზაზეა, ამაში ალბათ, ვერავინ შეგვედავება. თუმცა, ეს გზა ძალიან ძნელი სავალია და მასზე შემდგარი მგზავრიც მეტისმეტად ნელა მიიწევს წინ

# ხელბურთი ბავშვებს
## ასოციაციამ დოლიძეს გარჯა მოუწონა

წინსვლის დასტურად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირის პლეი ოფამდე მიღწევა და სპორტის ამ სახეობის მომგონ დანიელებთან ორჯერ ტაიმნახევრის თანაბრად თამაშიც კმარა. ვიკინგებმა ორივე მატჩში ბოლოსლა გატეხეს შედარებით გამოუცდელი და ულიდეროდ მოთამაშე ქართველები და ხორვატიის საგზურიც ირგუნეს.

ამ მარცხით, როგორც მაშინ ვწერდით, ქვეყანა არ დანგრეულა. წინ ახალი ბრძოლებია. იანვარში უკვე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი იწყება. საქართველო ბელარუსთან, შვეიცარიასა და ისრაელთან ერთად მოხვდა ჯგუფში. ამ ტურნირისთვის ნაკრების მომზადებას, საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებას და სხვა საკითხებს მიეძღვნა 27 სექტემბერს საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომაც, რომლის შესახებაც ინფორმაცია ასოციაციის გენერალურმა მდივანმა, ბატონმა თამაზ თევზაძემ მოგვაწოდა.

თავიდან პრეზიდიუმს მოუსმენია ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის — ზაზა დოლიძის მოხსენება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს შედეგების შესახებ. მთლიანად ნაკრების გამოსვლა კარგად შეფასებულა და ეს მართალიცაა. ბიჭებმა, რაც შეეძლოთ, გააკეთეს და თუ ყველაფრის ბრალი გამოუცდელობაა, ამ ნაკლს დრო და მომავალი მატჩები გამოასწორებს. რად ღირს თუნდაც შინ პორტუგალიის დამარცხება, რომელმაც თავისი ძალა და შესაძლებლობები პლეი ოფიდან იუგოსლავიის გამოგდებით დაამტკიცა.

შემდეგ საუბარი შეეხო საფრანგეთში გასამართი 2001 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს მონაწილეობას და წარმატებით გამოსვლის შანსებს. თუ სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა არ იქნა, ამ ტურნირში მონაწილეობა საერთოდ სათუოც კია. არადა, აღმავლობის გზაზე მდგომ ნაკრებს ნამდვილად ხელეწიფება პირველ ადგილზე გასვლა. პლეი ოფის საგზურს მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები (სულ ხუთი) მიიღებენ. მერე კი ურთიერთობის გარკვევა ევროპის ჩემპიონატის ხუთ უარეს ადგილზე გასულ გუნდებთან მოუწევთ. ამ ხუთეულში საფრანგეთი (მასპინძელი) და შვედეთი (მსოფლიოს ჩემპიონი) არ ჩაითვლებიან. პლეი ოფები ივნისში გაიმართება და იმედია, საქართველოს გარეშე არ ჩაივლის.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს, მისი დაწყება 23 ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი. პირველობაში, მიუხედავად ფინანსური გაჭირვებისა, მაინც რვა გუნდს სურს მონაწილეობა. თბილისურ „ქარიშხალას", „ზოოვეტს", „მამულს", ასკ-ს და ქვეყნის ჩემპიონ „სტუ-შევარდენს" თელავისა და ბათუმის კლუბები დაემატებათ. აი, ქუთაისელების ბედი კი ჯერჯერობით გაურკვეველია. იმედია, ისინი ჩემპიონატს არ გამოაკლდებიან, რადგან რეგიონებში ხელბურთის აღორძინება საშური საქმეა.

სწორედ ამ მიზნისთვის და მომავალი თაობის ძლიერ ხელბურთელებად ჩამოყალიბებისთვის დაგეგმილია ბავშვთა ლიგის ჩამოყალიბება. 1984-85 წლებში დაბადებულ ბიჭებს ექვსგუნდიანი ჩემპიონატი ექნებათ. გოგონებისა (1984-85) კი ოთხი გუნდი შეიქმნება. ბავშვთა ლიგაში პირველივე სეზონიდან ჩაებმებიან ბათუმი, ფოთი, თელავი, ქუთაისი, თბილისი, სამომავლოდ კი სამტრედია და ოზურგეთიც. ასე რომ, ბავშვებთან მუშაობა უკვე დაწყებულია.

დაბოლოს, ჩვენთან საუბრისას ბატონმა თამაზ თევზაძემ მადლობა გადაუხადა ყველა იმას, ვინც მათ ხელბურთის განვითარების საქმეში ეხმარება. განსაკუთრებით კი „სარბიელს", ნაკრების მატჩებისთვის პროგრამების მომზადებისა და ამ თამაშების კარგად გაშუქებისთვის, სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტ გია აბესაძეს, სპორტის სასახლეში ჩატარებული მატჩების სამედიცინო უზრუნველყოფისთვის...

გაიოზ თალაკვაძე

ჭადრაკი

# ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან

ლენინის ცნობილი ნაშრომის ეს სათაური იუნიორთა ერევნის მსოფლიოს ჩემპიონატებზე ქართველ მოჭადრაკეთა გამოსვლასაც შეიძლება მივუსადაგოთ. IX და X ტურებში ჩვენებმა ისე ვერ ითამაშეს, როგორც სჩვევიათ, პარტიების მეტი წილი წააგეს და, შესაბამისად, სატურნირო ცხრილებშიც ჩამოქვეითდნენ. სამაგიეროდ, XI ტური მათი დომინირებით წარიმართა. გიორგი ბახტაძემ შავი ფიგურებით ესპანელი ვალეხო შემუსრა, ხოლო ვალერი გაფრინდაშვილმა, ასევე შავებით, ლიტველი ბუსინსკასი გააწბილა. ნახევარ-ნახევარი ქულა მიითვალეს მიხეილ მჭედლიშვილმა ინგლისელ ჯენისთან და დავით არუთუნიანმა გერმანელ ბერგთან. შედეგად გიორგი ბახტაძემ საუკეთესო ათეულში ამოჰყო თავი. მას 7 ქულა აქვს და მე-8-მე-11 ადგილებს იყოფს. თითო ქულით ნაკლები დააგროვეს გაფრინდაშვილმა და მჭედლიშვილმა, ხოლო არუთუნიანმა — 5,5. XI ტურში ქართველმა გოგონებმაც გვარიანად ითამაშეს. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ სოფო ტყეშელაშვილისგან რუმინელი ვაიდას ძლევა, რამაც ჩვენებური ცხრილში მეორე პოზიციაზე გაიყვანა. რუსუდან გოლეთიანის მეტოქე ექს-ოდესელი ამერიკელ ქალთა ჩემპიონი, 15 წლის ირინა კრუში გახლდათ, რომელსაც „სარბიელის" მკითხველი პირველ რიგში კასპაროვ-მსოფლიოს გახმაურებული ინტერნეტ-პარტიის ერთერთ ექსპერტად იცნობს. ამ პარტიაში სწორედ კრუშს ეკუთვნოდა ის სადებიუტო იდეა, მსოფლიოს ჩემპიონს მსოფლიოს ნაკრების მისამართით ქების სიტყვები რომ დააცდენინა. რაც შეეხება კრუშისა და გოლეთიანის პარტიას, იგი ყაიმით დასრულდა. ნახევარ ქულას დასჯერდა სოფო ხუხაშვილიც და ახლა კრუშთან, გოლეთიანთან და სხვებთან ერთად მე-7-მე-12 ადგილებს იყოფს 6,5 ქულით. 4,5 ქულა აქვს ნინო წიტაიშვილს.

მოკლედ, ჩვენებისთვის XI ტური წინგადადგმული ნაბიჯი იყო. იმედია, ქართველი მოჭადრაკეები ასეც გააგრძელებენ და დარჩენილ ორ ტურში ისევ წინ ივლიან.

ჩემპიონატებზე არსებული საერთო სიტუაცია ასეთია: გოგონებსაც და ვაჟებსაც უწინდებურად ერთპიროვნული ლიდერები ჰყავთ და ისინი ისევ ბერძენი მარია კუვაცუ (8,5 ქულა) და რუსი ალექსანდრ გალკინი (8,5) არიან. ვაჟთა XI ტურში ყველაზე მძლავრად სომხებმა ითამაშეს: არსიანმა აწ უკვე ექს-მეორეადგილოსანი, გერმანელი ნოიმანი დაამარცხა, ხოლო არონიანმა რუს ილუშინს მოუღო ბოლო. ამათ გარდა, გაიმარჯვა უზბეკმა კაზიმჯანოვმაც (მან ჩინელ ჩანგს მოუგო) და ახლა სწორედ ეს სამეული (არონიანი, არსიანი, კაზიმჯანოვი) წარმოადგენს გალკინისგან ყველაზე მცირედ ჩამორჩენილთა ჯგუფს. გოგონებში მეორე პოზიცია 7,5 ქულით ჩვენებურ ტყეშელაშვილს რომ უპყრია, ეს უკვე გითხარით, მე-3-მე-7 ადგილებზე კი ეთნიკურად ფრიად ჭრელი დაჯგუფება მოკალათებულა რუმინელი ვაიდას, ჩეხი იაკოვას, ლიტველი სმილიტესა და ინდოელი მოჰოტას შემადგენლობით.

ჩემპიონატების დასრულებას მხოლოდ ორი ტური უკლია. იგი კვირის ბოლოს ჩაბარდება ისტორიას.

დავით გულუა

მძლეოსნობა

# საბომ ფული და ქმარი ერთად იშოვა

რუმინელი გაბრიელა საბო წლევანდელი სეზონის უდავოდ საუკეთესო და თითქმის ყველაფრის მომგები მძლეოსანი ქალი, ამ კვირის ბოლოს თავის მწვრთნელ ზოლტ გიონგიოსის მიჰყვება ცოლად.

23 წლის საბოსთვის ეს სეზონი ბევრი რამითაა გამორჩეული: 3000 მეტრ დისტანციაზე მან ოქროს ლიგის შვიდივე შეჯიბრში იმარჯვა, მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა და პირველი მძლეოსანი გახდა, რომელმაც წლის მანძილზე მილიონზე მეტი დოლარი იშოვა საპრიზოებით.

ასე რომ, მატერიალური მდგომარეობის მოგვარების შემდეგ საბომ პირად ცხოვრებასაც მიხედა და საზოგადოებასაც ამცნო 37 წლის გიონგიოსისთან რომანის შესახებ, რომელიც მისმა ახლობლებმა კარგა ხანია, იცოდნენ.

„ახლა ყველას შემიძლია ვუთხრა, რომ ქორწილს რამდენიმე დღეში ბუქარესტში გადავიხდით" — განაცხადა საბომ პრესკონფერენციაზე.

სწორედ გიონგიოსის დამსახურებაა, რომ საბო მსოფლიოს დონის მძლეოსანი გახდა — 10 წლის წინ, მცირეწლოვან გაბრიელას თვალი შეავლო თუ არა, დაასკვნა, ეს გოგო ბევრს მიაღწევსო და მას მერე მისი უცვლელი მწვრთნელი იყო. ამიერიდან კი მეუღლეც იქნება.

ბაჩა არჯევანიძე



REUTERS ბუქარესტიდან

გაბრიელა საბო და ზოლტ გიონგიოსი ქორწილისთვის ემზადებიან



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს თასი. E ჯგუფი. 1999

## ავსტრალია




ტერიტორია: 7 682 300 კვ/კმ.
მოსახლეობა: 15 400 000
დედაქალაქი: კანბერა
ეროვნული
დღესასწაული: 26 იანვარი
ფულის ერთეული: ავსტრალიური დოლარი

*წინა გათამაშებები*
1987: მეოთხე ადგილი
1991: ჩემპიონი
1995: მეოთხედფინალი


ავსტრალიელთა კაპიტანი ჯონ ილსი

პლანეტის ყველაზე პატარა კონტინენტის ნაკრები ევროპას დიდი ამბიციებით ესტუმრა. ავსტრალიელებისთვის ნებისმიერი ადგილი, გარდა პირველისა, წარუმატებლობა იქნება. მათ მსოფლიოს თასის უეჭველად მოპოვება სურთ. მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებს ამის შესაძლებლობები ნამდვილად აქვთ, მაგრამ მთავარი, როგორც ყოველთვის, მათი სრულად გამოყენებაა.

ავსტრალიელებმა სამი ერის პირველობით ისარგებლეს და ამ ტურნირის მიმდინარეობისას შერკინებაში არსებული პრობლემები სრულად გადაჭრეს. თავიდან მათ ახალ ზელანდიაში სტუმრობისას გვარიანი სირცხვილი ჭამეს, მაგრამ მარცხიდან სწორი დასკვნები გამოიტანეს, საჭირო გადაწყვეტილებები მიიღეს და სამხრეთ აფრიკაში წაგების მიუხედავად, ძველი ძალა დაიბრუნეს. ამის დასტური კი „ოლ ბლექსის" ბოლო ტურში იოლად დამარცხებაა. ერთი სიტყვით, სამი ერის პირველობა მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებლად ავსტრალიამ კარგად გამოიყენა.

„ვოლაბების" შეტევა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ არსებობს. თუ დაცვაში თამაშიც კიდევ უფრო დაიხვეწა, მაშინ ძნელი წარმოსადგენია, ვინ შეიძლება გადაუღობოს გზა ავსტრალიას.

სავსებით შესაძლებელია, ფინალში ერთმანეთის პირისპირ ორი მეზობელი — ავსტრალია და ახალი ზელანდია წარდგეს. მაშინ ნამდვილად საარაკო რაგბით დასრულდება მსოფლიოს თასი.

### მწვრთნელი: როდ მაკქუინი

წინა ხაზი

*ენდრიუ ბლეიდსი, ტომ ბოუმენი, მეტ კოკბეინი, მარკ კონორსი, დენ კროული, ჯონ ილსი (კაპ.), ოუენ ფინეგანი, მაიკლ ფოული, დევიდ გიფინი, რიჩარდ ჰარი, ფილ კერნსი, ტუტე კეფუ, პატრიციო ნორიეგა, ჯერემი პოლი, ტიან სტრაუსი, ჯიმ უილიამსი, დევიდ უილსონი*

უკანა ხაზი

*მეთიუ ბურკი, ჯორჯ გრეგანი, ნათან გრეი, დენიელ ჰერბერტი, ტიმ ჰორანი, როდ კეიფერი, სტივენ ლარკჰემი, კრის ლათემი, ჯეისონ ლითლი, ჯო როფი, სკოტ სტენიფორტი, ბენ ტიუმი, კრის უაიტეიკერი*

## ირლანდია




ტერიტორია: 70 283 კვ/კმ.
მოსახლეობა: 3 443 000
დედაქალაქი: დუბლინი
ერ. დღესასწაული: 17 მარტი
ფულის ერთეული: ირლანდიური გირვანქა

*წინა გათამაშებები*
1987: მეოთხედფინალი
1991: მეოთხედფინალი
1995: მეოთხედფინალი

„უტეხი სული" — ორი სიტყვით ასე ხასიათდება ირლანდიური რაგბი. ამით ირლანდიელები ფონს ხშირად გასულან და ბევრი მოწინააღმდეგეც გაუტეხავთ. მაგრამ ეს ადრე იყო. დღეს წარმატებების მისაღწევად მხოლოდ სიმამაცე და თავგანწირვა აღარ კმარა. ჰოდა, ირლანდიელებმაც გადაწყვიტეს, ცოტა ტექნიკა და ტაქტიკაც გაეთავისებინათ და მხოლოდ ჩხუბითა და აყალმაყალით (როგორც ეს წლევანდელი ხუთი ერის პირველობაზე მოხდა) არ დაემახსოვრებინათ თავი მაყურებლისთვის.

ლოგიკური იქნება, თუ ირლანდია რუმინეთსა და აშშ-ს მოუგებს. სამაგიეროდ, ნამდვილ სენსაციად ჩაითვლება მისი გამარჯვება ავსტრალიასთან. ვერავინ იფიქრებს, რომ „სამურები" „ვოლაბებს" დაამარცხებენ. ერთი სიტყვით, ირლანდიისთვის ჯგუფის მეორე ადგილია „გამოყოფილი", რაც იმას ნიშნავს, რომ მეოთხედფინალში გასასვლელად მას საუკეთესო მესამეადგილოსნის ჯობნა მოუწევს. მეოთხედფინალში თუ გააღწიეს, „მწვანე ემმაკებს" იქ, ალბათ, ფრანგი „მამლები" დაუხვდებიან და „ლენსდაუნ როუდზე" ამ ზამთრის მატჩი განმეორდება და ირლანდიის „უტეხი სულიც" რევანშის წყურვილით აინთება — მაშინ ხომ, ხუთი ერის პირველობაზე, საფრანგეთმა ერთადერთი მოგება იზეიმა (10:9).

თუ ყველაფერი მართლაც ასე მოხდა, ირლანდიელებს ფრანგთა წინააღმდეგ სხვა სტიმული ნაღდად აღარ დასჭირდებათ. ისინი თავს დადებენ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ „ბაყაყისჭამიების" დასამარცხებლად და ნახევარფინალის საგზურის მოსაპოვებლად. იქ კი, თუ ყველაფერი ლოგიკის კანონებს დაემორჩილა, მათ ახალი ზელანდია დახვდებათ...

### მწვრთნელი: უორენ გეტლანდი

წინა ხაზი

*ტრევორ ბრენანი, რობერტ კეისი, პიტერ კლოჰისი, დევიდ კორკერი, რეჯი კორიგანი, ჯერემი დევიდსონი, კირონ დოუსონი, ჯასტინ ფიცპატრიკი, პედი ჯონსი (კაპ.), ანგუს მაკკინი, ერიკ მილერი, როს ნესდეილი, დიონ ოკინეგანი, მალკოლმ ოკელი, პოლ უოლესი, ენდი უორდი, კიტ ვუდი*

უკანა ხაზი

*ჯონათან ბელი, ჯასტინ ბიშოპი, გირვენ დემპსი, ერიკ ელვუდი, დევიდ ჰამფრიზი, კევინ მექსი, მეთიუ მოსტინი, მაიკ მალინსი, ბრაიან ოდრისკოლი, ბრაიან ომეარა, კონორ ოში, ტომ ტირნი, ჯეიმს ტოპინგი*

## რუმინეთი




ტერიტორია: 23775 კვ/კმ.
მოსახლეობა: 23 000 000
დედაქალაქი: ბუქარესტი
ეროვნული
დღესასწაული: 1 დეკემბერი
ფულის ერთეული: ლეი

*წინა გათამაშებები*
1987: ჯგუფიდან ვერ გავიდა
1991: ჯგუფიდან ვერ გავიდა
1995: ჯგუფიდან ვერ გავიდა

რუმინეთი წლევანდელ მსოფლიოს თასზე ერთ-ერთი ყველაზე უსახური გუნდია. იგი, ესპანეთისა და ნამიბიის მსგავსად, ყოველგვარი ამბიციების გარეშე ჩაებმება ტურნირში. ჯგუფი, რომელშიც ის მოხვდა იოლი სრულებითაც არ არის. ავსტრალია და ირლანდია რუმინელებს უეჭველად დაჩაგრავენ. რჩება ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები, რომელიც, რუმინელთაგან განსხვავებით, ძნელად შესამჩნევ, მაგრამ მაინც აღმავლობას განიცდის და გამარჯვების მეტი შანსიც აქვს.

აქედან გამომდინარე, საბოლოო შედეგი იგივე იქნება, რაც წინა სამ გთამაშებაში, ანუ რუმინეთი ჯგუფურ ტურნირს ვერ გასცდება. ოღონდ ამჯერად იგი გაცილებით უარეს დღეში აღმოჩნდება — ალბათ, კატასტროფული სხვაობით წააგებს მატჩებს. ივნისში რუმინეთი საკმაოდ დასუსტებულ საფრანგეთთან 8:62 დამარცხდა, „მამლებს" კი მერე ვისაც არ დაეზარა, ყველამ მოუგო. ასე რომ, ავსტრალიასთან რუმინეთის დაპირისპირებისას შეიძლება სამხრეთელებმა სამნიშნა რიცხვით მოიგონ.

ამიტომაც, ასე რომ არ მოხდეს, დარწმუნებული ვარ, რუმინეთი ძალიან ჩაკეტილ რაგბის ითამაშებს. მართალია, ამათ წაგებას ვერ აიცილებს, მაგრამ იქნებ თავს ლაფი არ დაისხას.

რუმინული რაგბი დღეისათვის რეგრესს განიცდის. მას მხოლოდ ახალი თაობა, ახალი სისხლი თუ გადაარჩენს.

### მწვრთნელი: მირჩე პარაშივი

წინა ხაზი

*ტიბერიუ ბრინზა, დანიელ შირიაკი, ფლორინ კოროდეანუ, სტეფან დემსი, ალინ პეტრაჩე (კაპ.), ერდინსი სეპტარი, ლაურენტინიო როტარუ, სტეფან სლუზარიუსი, კატალინ დრაგუცეანუ, ოვიდიუ ტონიტა, ტიუდორ კონსტანტინი, პეტრუ ბალანი, რაზვან მავროდინი, ადრიან სალაგეანუ, კონსტანტინ სტანი*

უკანა ხაზი

*გაბრიელ ბრეზოიანუ, რადუ ფუგიგი, რომეო გონტინეაჩი, კრისტიან ჰილდანი, მარიუ იაკობი, კრისტიან ლუპუ, მიხაი ვიორეანუ, მიჰაი კიოლაჩუ, კრისტიან საუანი, გეორგე სოლომიე, როლანდ ვუსეკი, იონუტ ტოფანი, პეტრე მიტუ, ლუჩიან სირბუ*


რაზვან მავროდინი (ბურთით) და მისი თანაგუნდელები ავსტრალიელებთან საბრძოლველად ემზადებიან

## აშშ




ტერიტორია: 9 363 124 კვ/კმ.
მოსახლეობა: 265 950 000
დედაქალაქი: ვაშინგტონი
ეროვნული
დღესასწაული: 4 ივლისი
ფულის ერთეული: ამერიკული დოლარი

*წინა გათამაშებები*
1987: ჯგუფიდან ვერ გავიდა
1991: ჯგუფიდან ვერ გავიდა
1995: შესარჩევი ტურნირი ვერ დაძლია

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა ლამის 266 მილიონია, მაგრამ ამ აუარება ხალხში კარგი მორაგბეების პოვნა უფრო რთული საქმეა, ვიდრე კარგი ფეხბურთელებისა. ამის მიუხედავად, აშშ მაინც არ გამოიყურება ხოლმე სასაცილოდ საერთაშორისო მატჩებში, მაშინაც კი, როცა ლამის ასი ქულით მარცხდება, როგორც ეს ინგლისთან მოუვიდა (8:106). არაა სასაცილო, რადგან მისი მორაგბეები ჯიგრით თამაშობენ და თუ მეტოქე მათზე ათი თავით მაღლა დგას, რას იზამენ? ძალა ხოლმ აღმართსაც ხნავს.

აშშ-ის მსოფლიოს თასის ოცდაათეულიდან უმეტესობა თავის ქვეყანაში, დასავლეთ სანაპიროს კლუბებში თამაშობს. ახალგაზრდობაში თურმე პრეზიდენტ კლინტონსაც უბურთავია ოვალით, მაგრამ ამას შტატებში რაგბის ბუმი არ მოჰყოლია და შესაბამისად, შინაური ჩემპიონატის დონეც ძალიან დაბალია. ნაკრების რამდენიმე წევრი ოსტატობას ევროპულ გუნდებში იმაღლებს. მათგან საუკეთესოდ მიჩნეული დენ ლაილი, რომელიც ინგლისური „ბათის" ღირსებას იცავს.

ერთი სიტყვით, ამერიკული რაგბის შესაძლებლობები მწირია. გუნდის ლიდერი, დამრტყმელი კევინ დელზელი ჩინებულ ფორმაში რომ არ იყოს, დანამდვილებით ვიტყოდით, რომ აშშ სამივე მატჩს იოლად დათმობდა. ახლა კი შეიძლება რუმინეთთან...

სამი უმაღლესი დონის შეხვედრა (აშშ-ის მეოთხედფინალში გასვლა წარმოუდგენელია) ოკეანისგაღმელთა ნაკრებს ერთობ წაადგება. მისი წევრები დიდ გამოცდილებას შეიძენენ და იქნებ ევროპულ გუნდებშიც შეძლონ კარიერის გაგრძელება. მათი კლასი მხოლოდ ასე თუ ამაღლდება, თორემ სანამ რაგბი ამერიკის შეერთებულ შტატებში ისევე შეუყვარდებათ, როგორც ბეისბოლი ანდა კალათბურთი, მანამდე არაფერი გეტკინოთ.

### მწვრთნელი: ჯეკ კლარკი

წინა ხაზი

*ტომ ბილაფსი (კაპ.), ჯო კლეიტონი, ლუკ გროსი, დეივ ჰოჯესი, კირკ ხასიგიანი, მარკ უილიე, რეი ლენერი, რობ ლამკონგი, დენ ლაილი, ფიფიტა მოუნგა, ალეკ პარკერი, ერიკ რიდი, ჯორჯ საჩერი, რიჩარდ ტარდიტსი*

უკანა ხაზი

*ვაეა ანიტონი, ანდრე ბლომი, ჯესი კულსონი, კევინ დალზელი, ხუან გრობლერი, ბრაიან ჰაიტაუერი, დევიდ ნიუ, ალაკინი საულალა, მარკ შარენბერგი, კურტ შუმანი, რიჩ შურფელდი, დევიდ სტრობლი, ტომასი ტაკაუ, სინაპატი უიგალელეი, მარკ უილიამსი*

## E ჯგუფის კალენდარი

ირლანდია

| | | |
|---|---|---|
| 2 ოქტომბერი | ირლანდია — აშშ | დუბლინი |
| 3 ოქტომბერი | ავსტრალია — რუმინეთი | ბელფასტი |
| 9 ოქტომბერი | აშშ — რუმინეთი | დუბლინი |
| 10 ოქტომბერი | ირლანდია — ავსტრალია | დუბლინი |
| 14 ოქტომბერი | ავსტრალია — აშშ | ლიმერიკი |
| 15 ოქტომბერი | ირლანდია — რუმინეთი | დუბლინი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს საქართველოს მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატი იწყება!

## მონაწილენი



შარშანდელი „ვითა“ — „დინამო“. ვითელი ალეკო დავითულიანი (ბურთით) და დინამოელი ვალერი კილაძე (შუაში) „ბასკოში“ ერთად ითამაშებენ



შარშანდელი „ვითა“ — „სდასუ“. ვითელი მამუკა აბრამიძე (№9) „ბასკოში“ გადავიდა, ხოლო შოთა უძილაური (ბურთით) „სდასუ“-ში დარჩა

### ვითა
თბილისი

| | | |
|---|---|---|
| მამუკა ტურაშვილი | 1970 | 194 |
| დავით უსტიაშვილი | 1971 | 188 |
| ნუგზარ კოკოლიშვილი | 1971 | 198 |
| ტატო ვაშაკიძე | 1985 | 190 |
| ირაკლი შანიძე | 1982 | 200 |
| ირაკლი ბაქრაძე | 1971 | 193 |
| გიორგი გაგნიძე | 1981 | 190 |
| ზურაბ პაპასკირი | 1979 | 196 |
| მამუკა ჩხაიძე | 1979 | 188 |
| გულვერ ახალკაცი | 1976 | 202 |
| რევაზ ჭირაქაძე | 1981 | 197 |

მთავარი მწვრთნელი: ზურაბ ტომარაძე
მწვრთნელი: გელა წულაძე

### სტუ
თბილისი

| | | |
|---|---|---|
| ზვიად მიქაძე | 1981 | 192 |
| ბაჩანა სულაძე | 1983 | 181 |
| დავით თორთლაძე | 1970 | 184 |
| დავით მოისწრაფიშვილი | 1982 | 191 |
| ლაშა ლოსაბერიძე | 1982 | 198 |
| ვახტანგ მინაშვილი | 1979 | 200 |
| ვასილ ოთიურიძე | 1976 | 202 |
| ზურაბ ჩუბინიძე | 1973 | 200 |
| ამროსი ორმოცაძე | 1970 | 200 |
| გოდერძი კორძაძე | 1971 | 205 |
| კონსტანტინე ტულუში | 1984 | 193 |

მთავარი მწვრთნელი: ნუგზარ ჟეიშვილი
მწვრთნელი: ვაჟა ჭკუასელი

### ასკ
თბილისი

| | | |
|---|---|---|
| გიორგი მარხვაშვილი | 1983 | 185 |
| ალეკო ფანჯიკიძე | 1981 | 202 |
| ზვიად ბიძინაშვილი | 1982 | 200 |
| გიორგი ზუბიაშვილი | 1978 | 198 |
| გიორგი ჩავლეიშვილი | 1983 | 200 |
| ივანე ლაცაბიძე | 1982 | 200 |
| დავით ლვინაშვილი | 1982 | 195 |
| სლავა ტაბატაძე | 1981 | 180 |
| თორნიკე ჯანელიძე | 1983 | 204 |
| გიორგი ბერაძე | 1980 | 186 |
| შალვა კრიხელი | 1984 | 191 |

მთავარი მწვრთნელი: ვაჟა ჟორჟაშვილი
მწვრთნელი: როლანდ გელოვანი

### სდასუ
თბილისი

| | | |
|---|---|---|
| შოთა უძილაური | 1967 | 188 |
| მალხაზ ანდღულაძე | 1969 | 193 |
| ალექსანდრე არჩვაძე | 1981 | 187 |
| ლადო აბულაძე | 1976 | 193 |
| ლადო სუხიშვილი | 1979 | 205 |
| შოთა მაჭარაძე | 1976 | 205 |
| ირაკლი ხოშტარია | 1976 | 189 |
| მიხეილ კობახიძე | 1982 | 197 |
| გიორგი ჩხეიძე | 1974 | 190 |
| ლაშა ჭინჭარაძე | 1983 | 202 |
| ნიკოლოზ ნოზაძე | 1977 | 185 |

მთავარი მწვრთნელი: ლევან მოსეშვილი
მწვრთნელი: პაველ არჩვაძე

### ბასკო
ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| მამუკა აბრამიძე | 1973 | 196 |
| ვლადიმერ ბეჟანიშვილი | 1975 | 204 |
| ალეკო დავითულიანი | 1974 | 194 |
| ვალერი კილაძე | 1975 | 200 |
| ირაკლი მაისურაძე | 1976 | 188 |
| დავით კვაჭაძე | 1981 | 198 |
| გიორგი ბერია | 1982 | 198 |
| ლაშა კეშელავა | 1980 | 200 |
| ირაკლი ჭეიშვილი | 1976 | 199 |
| გიორგი კილაძე | 1980 | 178 |
| რამაზ მესხიძე | 1973 | 180 |
| არჩილ კილაძე | 1980 | 178 |
| დავით იმნაძე | 1982 | 204 |
| თემურ კახიძე | 1973 | 196 |

მთავარი მწვრთნელი: ვალერი ალთაბაევი
მწვრთნელი: გარი არინინი

### გორი
გორი

| | | |
|---|---|---|
| იოსებ ნინოშვილი | 1981 | 190 |
| ლევან ცაცებაშვილი | 1978 | 186 |
| დავით იაშვილი | 1979 | 190 |
| გიორგი ლოლიშვილი | 1980 | 188 |
| ბექა რუსიშვილი | 1981 | 191 |
| რომა არუთინიანი | 1978 | 195 |
| იოსებ იასამნიძე | 1978 | 192 |
| ბერნარდ კურტანიძე | 1979 | 195 |
| თემურ მანველიშვილი | 1983 | 203 |
| ნიკა გრძელიშვილი | 1980 | 193 |
| გიორგი ფსუტური | 1981 | 196 |
| ზურაბ აბრამაშვილი | 1981 | 196 |
| ვასილ ტაბატაძე | 1980 | 178 |
| ლევან იაშვილი | 1978 | 179 |

მთავარი მწვრთნელი: ზურაბ კარტოზია
მწვრთნელი: პაატა ქურდაძე

### თსუ
თბილისი

| | | |
|---|---|---|
| გოჩა არსიაშვილი | 1976 | 196 |
| ირაკლი გელაშვილი | 1979 | 195 |
| გოჩა ნოწელია | 1977 | 197 |
| გიორგი მარკოიშვილი | 1983 | 200 |
| ნიკა ვეფხვაძე | 1981 | 185 |
| შიო ხეცურიანი | 1983 | 195 |
| ზურაბ სანიკიძე | 1982 | 206 |
| გიორგი ბერუაშვილი | 1962 | 205 |
| ლაშა ზამთარაძე | 1982 | 200 |
| გიორგი მშვილდაძე | 1982 | 180 |
| ბადრი ნათობაძე | 1983 | 188 |
| ირაკლი ქარჩავა | 1981 | 190 |
| ლაშა ახოიშვილი | 1982 | 198 |
| ზვიად თაბუაშვილი | 1977 | 203 |
| მამუკა დოლიძე | 1980 | 190 |

მთავარი მწვრთნელი: ნოდარ ქორქია
მწვრთნელი: ნუგზარ მარკოიშვილი

### დინამო
თბილისი

| | | |
|---|---|---|
| გიორგი ნიკოლაძე | 1981 | 187 |
| შოთა ახვლედიანი | 1982 | 194 |
| გიორგი ზერეკიძე | 1977 | 207 |
| გიორგი ყველაშვილი | 1983 | 202 |
| ვახტანგ უჩუმბეგაშვილი | 1980 | 192 |
| შალვა ცხვედიანი | 1970 | 202 |
| ვანო აბულაძე | 1981 | 204 |
| ლაშა მთვარაძე | 1982 | 192 |
| იოსებ კანდელაკი | 1981 | 195 |
| დავით ენდელაძე | 1980 | 182 |
| ირაკლი ორდენიძე | 1983 | 195 |
| ირაკლი მეგრელიშვილი | 1983 | 187 |

მთავარი მწვრთნელი: ვაჟა მხეიძე
მწვრთნელი: ზაზა ცაგარეიშვილი

### აზოტი
რუსთავი

| | | |
|---|---|---|
| ზაზა გაბისონია | 1973 | 185 |
| ზვიად ბაბიაშვილი | 1978 | 200 |
| მიხეილ ბერუაშვილი | 1970 | 206 |
| არჩილ ყლენტი | 1975 | 185 |
| ვანო გოგოლაძე | 1977 | 195 |
| ლევან ჩაჩუა | 1978 | 190 |
| იური დანელიანი | 1981 | 200 |
| ილია კოჭლამაზაშვილი | 1975 | 182 |
| ირაკლი ჯაფარიძე | 1973 | 205 |
| რამაზ გოგობერიშვილი | 1974 | 194 |
| ლევან ჯიმშელეიშვილი | 1977 | 194 |
| ლევან წიკლაური | 1977 | 200 |

მთავარი მწვრთნელი: ოთარ ხმელიძე
მწვრთნელი: ამირან ხაჩიძე

### მაკაბი
თბილისი

| | | |
|---|---|---|
| ალექსანდრე ფერიაშვილი | 1967 | 205 |
| დავით ლასარეიშვილი | 1979 | 200 |
| ბექა ნოზაძე | 1979 | 200 |
| მიხეილ ხუხაშვილი | 1969 | 191 |
| სიომა დავარაშვილი | 1975 | 189 |
| დავით რიბაშვილი | 1972 | 190 |
| გიორგი მჭედლიშვილი | 1981 | 200 |
| ირაკლი ბერიშვილი | 1978 | 175 |
| დავით ბერიშვილი | 1978 | 175 |
| ნიკოლოზ კვარაცხელია | 1983 | 185 |
| დიმიტრი გვარაძე | 1982 | 190 |
| ბაქარ ფიცხელაური | 1980 | 194 |

მთავარი მწვრთნელი: ჯამლეთ ხუხაშვილი
მწვრთნელი: დავით რიბაშვილი

### სსუ
სოხუმი

| | | |
|---|---|---|
| მიხეილ ბერიკაშვილი | 1981 | 201 |
| კირილე ტატუნაშვილი | 1982 | 202 |
| რევაზ თოდუა | 1981 | 192 |
| ბუბა ბერიშვილი | 1982 | 190 |
| გიორგი ყლენტი | 1981 | 178 |
| ვალერი ლაცუზბაია | 1981 | 195 |
| ერასტი ფენდერავა | 1983 | 194 |
| ირაკლი სორდია | 1983 | 193 |
| დავით ერქვანია | 1984 | 203 |
| ლაშა არველაძე | 1979 | 180 |
| ლევან ვაშაკიძე | 1978 | 197 |
| მამუკა ბალათურია | 1968 | 195 |

მთავარი მწვრთნელი: ვაჟა კვარაცხელია
მწვრთნელი: ლ. ქაჯაია

### შევარდენი
თბილისი

| | | |
|---|---|---|
| კახა მაჭავარიანი | 1972 | 189 |
| გია კაზანჯიანი | 1976 | 187 |
| შალვა გაგნიძე | 1979 | 192 |
| მალხაზ ლვინეფაძე | 1960 | 194 |
| დავით აკოლაშვილი | 1979 | 185 |
| ირაკლი მესხი | 1976 | 186 |
| ბექა ნუცუბიძე | 1975 | 199 |
| ლევან ქევხიშვილი | 1973 | 204 |
| დუდუ ორჯონიკიძე | 1977 | 189 |

მთავარი მწვრთნელი: გივი კოშკელოვი
მწვრთნელი: დავით შარაბიძე

# არ მინდოდა მდიდრული გასვენება და ამიტომაც ვარ ბათუმში



ვალერი ალთაბაევი

*ქართულ საკალათბურთო უმაღლეს ლიგაში ახალი გუნდის გამოჩენას თუ მივესალმებით მხოლოდ. მით უფრო, თუ ეს გუნდი ამბიციებით ალსავსე ძალას წარმოადგენს.*

*დიახ, ითქვა და გაკეთდა. ბათუმში საუმაღლესლიგოდ მართლაც რომ კარგი გუნდი შეიქმნა და ზეგ ამ გუნდის დებიუტია. „ბასკო“ თავის პირველ მატჩს გამართავს მანსავით ახალბედა „გორთან“.*

*შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ ბათუმელებს წარსულში ცნობილი კალათბურთელი ვალერი ალთაბაევი ავარჯიშებს. „ბასკოს“ მთავარი მწვრთნელი ინტერვიუზე ერთი პირობით დაგვთანხმდა, მხოლოდ იმაზე მკითხეთ, რაც ჩემს კომპეტენციაში შედისო და თავიდან ამას მოჰყვა:*

— ბათუმში არ დავბადებულვარ, თორემ ბავშვობა და სიყმაწვილე ამ ქალაქში გავატარე, თავისთავად, კალათბურთსაც აქ ვეზიარე. ბათუმში ყოველთვის უყვარდათ ეს თამაში. სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე კილაძე, ანტონ კაზანჯიანი აქედან წავიდნენ თბილისის „დინამოში“, საქართველოს ნაკრების წევრი გახლდათ „ბასკოს“ ვიცეპრეზიდენტი მერაბ ემირიძე.

მეათე კლასში ვსწავლობდი, როდესაც თბილისში გადასვლა შემომთავაზეს. მახსოვს, მაშინ ბევრი ვიფიქრე, როგორ შევეჩვეოდი დიდ ქალაქს, ახალ გარემოს, მაგრამ გადავწყვიტე და ახლა არც ვნანობ. 15 წელი, როგორც კი შემეძლო, ისე ვემსახურე „დინამოს“. სპორტული წარსულით უკმაყოფილო ნამდვილად არა ვარ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონებიც ვიყავით, პრიზიორები ხომ ბევრჯერ, საკავშირო თასსაც ვფლობდით და უფრო მეტიც, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოგვიგია. მართლა კარგი დრო იყო. დიდებული გუნდი, დიდებული მოთამაშეები.

**— სათამაშო კარიერის დასრულების შემდეგ რა გზას ეწიეთ?**

— საბურთალოს რაიონის სპორტსკოლაში ვიმუშავე ბავშვებთან. საკმაო წარმატებები გვქონდა. დედაქალაქის პირველობაზე ხშირად ვიმარჯვებდით. მერე საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები ჩამაბარეს. საკავშირო სპარტაკიადა ახლოვდებოდა. იცით, მაშინ მაღალჩინოსნებს მხოლოდ შედეგი აინტერესებდათ და არაფერს თაკილობდნენ მის მისაღწევად. არავინ არაფერს გითანხმებდა. გუნდი მეტწილად გადაზრდილი ბიჭებით დამაკომპლექტებინეს. ხელმძღვანელობას პირობა წავუყენე: ახლა ასე იყოს და შემდგომში ამგვარ რამეს აღარ დავუშვებთქო. ეს ვთქვი და მწვრთნელობიდან მომკვეთეს, ქართულ ფსიქოლოგიაში ვერ ერკვევიო. ამის შემდეგ ვერცერთ გუნდში ველარ მოვიკიდე ფეხი. კიდევ კარგი, სპეციალობა მქონდა, „ელექტრონშჩიკი“ გახლავართ და ერთ-ერთ სამეცნიერო დაწესებულებაში დავიწყე მუშაობა. 90-იანების დასაწყისში, მოგეხსენებათ, ყველაფერი აირია.

**— თბილისიდან რატომ წამოხვედით?**

— გითხარით, თავს ბათუმელად ვთვლი. ახლა დედაჩემის ოთახში ვცხოვრობ. რამდენიმე წელია, რაც თბილისიდან წამოვედი. რატომ? გეტყვით, მაგრამ თქვენ ამას, ალბათ, ვერ დაწერთ.

**— რატომ გგონიათ?**

— იმიტომ რომ, შიმშილისგან სული მძვრებოდა. ამის შესახებ ყველამ ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ ხმას არავინ იღებდა. თუმცა, ეს არც უნდა გიკვირდეთ. განა ჩვენს სასიქადულო ფეხბურთელს სლავა მეტრეველს, ლოგინად რომ იყო ჩავარდნილი, მიაქციეს ყურადღება? გარდაიცვალა და... რა მდიდრულად გაასვენეს. არ მინდოდა, ბატონო, მდიდრულად გასვენება, ცხოვრება არ მომბეზრებია, ამიტომ დავბრუნდი ბათუმში. ავტონომიური რესპუბლიკის და ქალაქის ხელმძღვანელობა დამეხმარნენ. არ გეგონოთ, რაიმეს პოლიტიკურ სარჩულს ვუდებდე. ღმერთმა დამიფაროს. პოლიტიკისგან ძალიან შორს ვარ. მე ფაქტი მოგახსენეთ. ყველაფერი მესმის. ქვეყანას უჭირს, უამრავი პრობლემაა. მაგრამ, ასეც ხომ არ შეიძლება. ატლანტაში ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელთა დანაშაულებრივი დაუდევრობით ჩვენმა მოჭიდავემ მედალი დაკარგა და, ვითომც აქ არაფერი. გადის ცოტა ხანი და იმ დელეგაციის თავკაცი ტელევიზორიდან გვიმღერს. გულზე გავსკდი...

დიახ, ბათუმში წამოვედი. აქ დამასაქმეს. ჯერ ბავშვებს ვავარჯიშებდი, მერე გუნდი ჩამოვაყალიბეთ. წინა ეროვნულ ჩემპიონატში პირველ ლიგაში ვითამაშეთ და მეორე ადგილზე გავედით, თანაც უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოვიპოვეთ.

**— თუ შეიძლება, მოკლედ წინა სეზონზე...**

— რა უნდა ვთქვა, გუნდი ადგილობრივი კადრებით იყო დაკომპლექტებული, თუმცა ერთი ქუთაისელი ბიჭი ძალიან დაგვეხმარა. დავით ბერეკაშვილი მყავს მხედველობაში. მართლა კარგი მოთამაშეა. ძალიან გვსურდა, კიდევ დარჩენილიყო ჩვენთან, მაგრამ დავითმა თავად გადაწყვიტა, მსაჯობას გავყვებიო. ღმერთმა ხელი მოუმართოს.

**— ჩანს, ბათუმში კალათბურთით სერიოზულად დაინტერესდნენ. „ბასკო“ უმაღლეს ლიგაში დებიუტანტი კი იქნება, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, მცირედით არ დაკმაყოფილდება...**

— მართალია, ქალაქში კარგი გუნდის გაკეთება გადაწყდა და საერთო ძალისხმევით რაღაც უნდა გამოვიდეს. საქმეს აჭარის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი გიორგი კუპრეიშვილი ხელმძღვანელობს. რაც შეეხება ჩვენს უახლეს მიზნებს, მოდით, საიდუმლოდ დარჩეს. ჩვენ რომ გვინდა, ბევრს არ ნიშნავს. გუნდის ფორმირება ეს-ესაა დასრულდა. თამაშის სტილზე და, საერთოდ, რა გამოგვივა, გთხოვთ, წინასწარ ნუ მალაპარაკებთ.

**— ალბათ, დაგვეთანხმებით, „ბასკოში“ ძლიერმა კალათბურთელებმა მოიყარეს თავი...**

— გეთანხმებით, ძლიერი შემადგენლობა გვყავს, მაგრამ როგორი გუნდი გვეყოლება, ამას მომავალი გვიჩვენებს. გუნდი ერთ თვეში არ ყალიბდება.

**— მაინც, ვინ გყავთ გუნდში?**

— ალეკო დავითულიანს, მამუკა აბრამიძეს, ვალერი კილაძეს, ირაკლი მაისურაძეს, ვლადიმერ ბეჟანიშვილს, ვფიქრობ, წარდგენა არ სჭირდებათ. ამ ბიჭების თამაში ნანახი გექნებათ — „ვითაში“, „დინამოში“, ეროვნულ ნაკრებში. დიდი პოტენციალის კალათბურთელები არიან. უნდა ითამაშონ, ჩვენთანაც და ნაკრებშიც, ითამაშონ უწინდელზე კარგად. ეს მათი და ჩემი, როგორც მწვრთნელის, უპირველესი ამოცანაა. ორი კოლხი დავიმატეთ — გიორგი ბერია და დავით კვაჭაძე. ნიჭიერი ახალგაზრდები არიან და თუ ბეჯითად იმუშავებენ, მჯერა, ბევრს მიაღწევენ. იგივეს ვიტყოდი ბათუმელ ბიჭებზე. ლაშა კეშელავას ყველა მონაცემი გააჩნია, რათა დიდი კალათბურთი ითამაშოს. ირაკლი ჭეიშვილი, რამაზ მესხიძე, დემურ კახიძე, გიორგი კილაძე ჯერ გამოუცდელები არიან, მაგრამ, თუკი მონდომებენ, მათაც მოუწევთ ძირითადში გამოსვლა.

პირობებზე აღარ ვამბობ. ყველაფერი იქეთკენ მიდის, მხოლოდ წვრთნა და თამაში, სხვა საფიქრალი ჩვენ ბიჭებს არ უნდა ჰქონდეთ. იგრძნობს ქალაქი გუნდისგან უკუგებას, უკეთეს ყოფაშიც იქნება. ჩვენ ამას გვპირდებიან.

**— გუნდის ყველა რგოლი გეიმედებათ?**

— იცით, რა არის. ჩემთვის არ არსებობს ცნებანი „ცენტრი“, „ფორვარდი“, „უკანახაზელი“. მოედანზე ყველას ყველაფრის კეთება უნდა შეეძლოს. მოთამაშემ სიტუაციიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს.

**— გუნდთან მარტო მუშაობთ?**

— არა, დამხმარეც მყავს. გამოცდილი მწვრთნელი გარი არინინი. ბათუმელი კაცია.

**— კარგია, რომ ბათუმშიც მოგიწევთ თამაში...**

— ბუნებრივია. ეს ერთიორად გაზრდის ქალაქში კალათბურთისადმი ინტერესს. მაყურებელი რომ არ დაგვაკლდება, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

**— სათამაშო დარბაზზე რას გვეტყვით?**

— ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე სპორტსკოლაში ჩინებული არენა გვაქვს. მოკლე დროში დარბაზში უნიკალური პარკეტი დაიგო, ყველაფერი მოწესრიგდა. ეგ არის, დარბაზი დიდი ხნის წინათ არის აშენებული და ოდნავ ჩამორჩება ახალ საერთაშორისო სტანდარტებს.

**— სპორტული ამუნიცია, ინვენტარი...**

— არავითარი პრობლემა. ხომ გითხარით, „ბასკოს“ თამაშის მეტი არაფერი დარჩენია. საქმე უნდა გაკეთდეს, მერე, შესაძლოა, ვიმღეროთ კიდევაც.

**იუზა ქაიტაძე ბათუმიდან**



ზურაბ კარტოზია ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელია

# გორული კალათბურთი: ჩინელებიდან დღემდე

**დრო** იყო, კალათბურთს გორშიც მისდევდნენ. პირველი ღია მოედანი იქ 50-იან წლებში აშენებულა, როცა სტალინის მშობლიურ ქალაქს ჩინეთის კალათბურთელთა ნაკრები სწვევია. იმ დღიდან მოყოლებული, გორი და კალათბურთი ერთმანეთს გადაეჯაჭვა. ყალიბდებოდა ბავშვთა სექციები, იქმნებოდა ვაჟთა და გოგონათა, სტუდენტური გუნდები, მოკლედ, ქართლელები კალათბურთით სუნთქავდნენ. აბა, ბუმი მაშინ გენახათო, ტკბილად იხსენებენ წარსულს გორელები...

მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო, სხვა დრო იყო, სხვა წყობა და სპორტისადმი ინტერესიც შესაბამისი. ახლა სულ სხვაა, გაუჭირდა ქვეყანას და ისე როგორ იქნებოდა, კალათბურთსაც დაღი არ დასმოდა. თითქოს გორელებმაც სამუდამოდ დაივიწყეს კალათბურთი, მაგრამ...

დროის სვლამ და წარსული ტრადიციების თაყვანისცემამ მაინც თავისი გაიტანა. იმ ურთულეს პერიოდშიც კი გამოჩნდა ხალხი, რომლებიც ხელახლა აღვივებდნენ გორში კალათბურთის სიყვარულს. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ დასახული მიზნისკენ და ცხადი გახდა, ადრე თუ გვიან შედეგიც გამოჩნდებოდა.

ასეც მოხდა. ენთუზიასტთა სულისკვეთება თანდათან სხვებსაც გადაედოთ. ბოლოს და ბოლოს, ქალაქში გუნდი შეიქმნა, რომელსაც სერიოზული დასაყრდენი ესაჭიროებოდა. გორელებმა უმაღლეს ლიგაში თამაშის სურვილი გამოთქვეს, რასაც კალათბურთის ფედერაცია გაგებით შეხვდა — ქართლელებს მეცხრე ეროვნულში მონაწილეობის უფლება მისცა.

ახლა უკვე ყველაფერი გორელთა მარიფათზეა დამოკიდებული. ერთი საკალათბურთო გუნდი ამ ქალაქს ყელზე ნამდვილად არ დაადგება. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია, სწორედ ეს არის მთავარი, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს...

გორელები ამ სამი-ოთხი წლის წინ მოეკიდნენ საქმეს სერიოზულად. თავიდან საქართველოს პირველობაზე ქართლელი გოგონები ასპარეზობდნენ და არცთუ ურიგოდ. მათ მიერ ზედიზედ დაკავებული მეორე და მესამე ადგილი ამ ქალაქის საკალათბურთო პოტენციალზე მიუთითებდა. თუმცა... სულ სხვა მდგომარეობა იყო ვაჟებში. ყველა ნორმალურად მობურთალი მოზარდი თბილისში დამკვიდრებას ეშურებოდა, რაც გორში არსებული არასათანადო პირობებით იყო გამოწვეული. იქაური საკალათბურთო ბაზა კალათბურთელებს დაოსტატების საშუალებას არ აძლევდა.

ვერ ვიტყვი, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა-მეთქი. ბაზები დღემდე ხელუხლებელი და კეთილმოსაწყობია, მაგრამ რაც მთავარია, საქმისადმი მიდგომა შეცვალეს გორელებმა, კალათბურთისკენ იბრუნეს გული და ხელები დაიკაპიწეს. ეს უკვე კარგის ნიშანია.

დღეს ზურაბ კარტოზიას თითქმის ყველა იცნობს გორში. სწორედ მას ეკუთვნის გუნდის შექმნის იდეა, რასაც გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესვეურთა მხარდაჭერა დაერთო და ყინულიც დაიძრა. კარტოზიას ირგვლივ უნივერსიტეტის რექტორი გედეონ ხელაია, სპორტული კათედრის გამგე, ამასთანავე გორის კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ალექსანდრე იაშვილი და უნივერსიტეტში ახალგაზრდობის საქმეთა გამგებელი მეგი მაზმიშვილი შემოიკრიბნენ და იმ წელსვე გორელები სტუდენტურ გათამაშებაში ჩაებნენ. გასულ სეზონში ქართლელებმა პირველ ლიგაშიც მოსინჯეს ძალა, სადაც მესამე ადგილზე გავიდნენ და მერე უმაღლეს ლიგაში თამაშიც ამოიჭრეს გულში.

თუმცა, სურვილი ერთია და შესაძლებლობა მეორე. მხოლოდ უნივერსიტეტი ყველაფერ ამას ვერ გასწვდებოდა და როცა გუნდს რაიონის ხელმძღვანელობამაც გაუწოდა დახმარების ხელი, კლუბის თავკაცობამ ზურგის საიმედოობა ირწმუნა.

პირველი, რაც მწვრთნელებმა — ზურაბ კარტოზიამ და პაატა ქურდაძემ გააკეთეს, ის გახლავთ, რომ სხვადასხვა კლუბში გაფანტულ გორელ კალათბურთელებს კვლავ მშობლიურ ქალაქში მოუყარეს თავი. „დინამოდან“ დააბრუნეს მანველიშვილი, თსუ-დან ნინოშვილი, არმიული კლუბიდან კი ფსუტური და გრძელიშვილი. ეს ბიჭები სხვა გორელ კალათბურთელებთან ერთად შეუდგნენ ვარჯიშს და გუნდის ძირითადი ბირთვიც გამოიკვეთა. ერთ რამეზე წყდებათ გული გორელებს, „ვითადან“ გულივერ ახალკაცის გადმობირება რომ ვერ შეძლეს. ასე რომ მომხდარიყო, ცენტრის პრობლემა საბოლოოდ მოგვეხსნებოდა და ამბიციაც მეტი გვექნებოდაო — იძახიან.

სადღეისოდ კი ქართლელები უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ზრუნავენ, ჩვენი მიზანი და ძირითადი სტიმული რეგიონში კალათბურთის პოპულარიზაციაა, ამიტომაც ამ ეტაპზე მაღალ შედეგებს არ ვისახავთო, ამბობს ალექსანდრე იაშვილი, რომელიც გუნდის ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტების მომხრეა. თუ ჩვენი სამომავლო მიზნები გამართლდა, თითო-ოროლა გამოცდილი კალათბურთელის დამატებასაც შევძლებთო, იმედიანადაა ბატონი ალექსანდრე.

ამაზე საუბარი სხვა დროისთვის გადავდოთ, ახლა კი გორელთა პრობლემებზეც ვთქვათ, მით უფრო, რომ არც უამისობაა. მათი ძირითადი საფიქრალი მაინც არასათანადო საწვრთნელი ბაზის უქონლობაა. გორის სპორტსკოლის დარბაზი უმაღლესი ლიგის გუნდისთვის შეუფერებელი კია, მაგრამ უსაშველოც არაფერია. გული გულობდეს და იატაკიც განახლდება, ფარებიც გამოიცვლება და ყველა წვრილმანმსხვილმანსაც მოევლება. ამისთვის კი ერთი და ორი კაცის მონდომება არ კმარა, ერთ მუშტად უნდა შეიკრან გორელები, დიდმა თუ პატარამ ერთი პირი უნდა იქონიოს და წინ ვეღარაფერი დაუდგებათ.

აქეთ ქალაქის მერიაა, იქით — პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატი, რეგიონის ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტიც ხომ გადაგებულია გუნდზე, უნივერსიტეტიც თავისთავად. ჩიტი ბდღვნად არ ღირსო, ამ ხალხმა მოინდომოს, ერთმანეთს შეეხიდონ და როგორ გგონიათ, შედეგი დააზანებს? გაინაწილონ ფუნქციები, ერთმა გუნდის ტრანსპორტირება ითავოს, მეორემ — ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გადახდა, ზოგმა ბაზაზე იზრუნოს და ზოგმაც ეკიპირებაზე...

არცთუ პატარა საქმეს შეეჭიდნენ ქართლელები, მიზნებიც დაუსახავთ. ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი.

**გიორგი ბიძაშვილი**
გორი-თბილისი

# ევროლიგა

1 ჯგუფური ეტაპი. II ტური. 30 სექტემბერი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| ცსკა 86:62 ცრვენა ზვეზდა | ალბა 69:74 ოლიმპია |
| ბარსელონა 69:51 ბენეტონი | რეალი 60:70 ჟალგირისი |

| C ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|
| ვარეზე 82:86 ულქერი | პო ორტეზი 79:74 კახა სან ფერნანდო |
| მაკაბი 84:62 პივოვარნა | ციბონა 69:63 ბუდუჩნოსტი |
| ოლიმპიაკოსი 65:55 ვილერბანი | |

B ჯგუფი: თოფაში 59:64 პანათინაიკოსი



ცსკა — ცრვენა ზვეზდა 86:62. ნიკოლა იესტრატიევიჩი (მუქ ფორმაში) და მასპინძელი სერგეი პანოვი ფარზე იბრძვიან

# თავისუფალი აგენტების ბაზარი

29 სექტემბერი

***ჰიუსტონ როკიტსი:*** აიყვანა „იუტას“ ყოფილი უკანახაზელი შენდონ ანდერსონი (ორწლიანი კონტრაქტი)

***საკრამენტო კინგზი:*** შეინარჩუნა ფორვარდი კორლის ვილიამსონი

***ორლანდო მეჯიქი:*** აიყვანა უგუნდო უკანახაზელი ლუის ბალოკი; დაითხოვა ფორვარდი მაიკლ სმიტი

***ლოს ანჯელეს ლეიკერსი:*** აიყვანა უგუნდო ფორვარდი ბენუა ბენჯამინი; აიყვანა უგუნდო ცენტრი ჯონ სეილი

# დღეს სტეფანიას შეკრება იწყება

დღეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდები ახალი სეზონისთვის საწვრთნელ შეკრებებს იწყებენ, ხოლო 10 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე ერთმანეთთან საკონტროლო, ანუ საგამოფენო მატჩებს გამართავენ.

ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლ სუპერსონიქსი“ ახალი სეზონისთვის შინ, სიეტლში, „სონიქსის“ სავარჯიშო დარბაზში მოემზადება. 12 ოქტომბრიდან კი საგამოფენო მატჩებსაც ითამაშებს, რომელთა განრიგი ამგვარია: 12 ოქტომბერს „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსთან“ (პორტლენდში), 13 ოქტომბერს „ჰიუსტონ როკიტსთან“ (სიეტლში), 15 ოქტომბერს „იუტა ჯაზთან“ (ბოისში), 19 ოქტომბერს „პორტლენდთან“ (სიეტლში), 22 ოქტომბერს „დენვერ ნაგითსთან“ (დენვერში), 24 ოქტომბერს „ლოს ანჯელეს კლიპერსთან“ (სპოკანში), 26 ოქტომბერს „საკრამენტო კინგზთან“ (საკრამენტოში), 27 ოქტომბერს „ვანკუვერ გრიზლიზსთან“ (ვანკუვერში).

ბავშვთა კალათბურთის აკადემია აცხადებს
1990, 1991 და 1992 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 49ა
ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის შენობაში
☎ 23 20 05

ვაქირავებ ან ვყიდი
გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას
სარაჯიშვილის მეტროსთან
☎ 60 21 23



# დალასის ვარსკვლავი ისევ კაშკაშებს

გუშინდელ „სარბიელში“ ნჰლ-ის 83-ე რეგულარული ჩემპიონატის აღმოსავლეთ კონფერენციის ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის გუნდები გაგაცანით. დღეს ამავე კონფერენციის ატლანტის დივიზიონისა და დასავლეთ კონფერენციის წყნარი ოკეანის დივიზიონის გუნდებს წარმოგიდგენთ

## აღმოსავლეთის კონფერენცია. ატლანტის დივიზიონი

### ნიუ ჯერსი დევილსი

1998-99: +47=11-24, პლეი ოფის პირველი რაუნდი
შენაძენი: არ არის
დანაკარგი: ფორვარდი დეივ ანდრეიჩუკი, მცველი კევინ დინი
ლიდერები: მეკარე მარტინ ბროდო, მცველები — სკოტ სტივენსი (5+22), სკოტ ნიდერმაიერი (11+35), ფორვარდები — პეტერ სიკორა (29+43), ბობი ჰოლიკი (27+37)

ბოლო სეზონებში ნიუ ჯერსის ძლიერი, მაგრამ არასათასო გუნდის რეპუტაცია აქვს. თავად განსაჯეთ, „ეშმაკებმა“ ზედიზედ სამჯერ მოიპოვეს დივიზიონის პირველობა და ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გასცდნენ პლეი ოფის პირველ რაუნდს. იქნებ გუნდმა ტყუილად უარყო ყოფილი მწვრთნელის ჟაკ ლემერის მრავალრიცხოვანი „ხაფანგები“. მათ უფრო თვალსაჩინო, მაგრამ ნაკლებმომგებიან ევროპულ კონტრშეტევით მანერას მიანიჭეს უპირატესობა (ამიტომაც გუნდში ბევრმა ევროპელმა მოიყარა თავი, განსაკუთრებით ჩეხებმა). თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ხანებში გუნდში ერთი ბომბარდირიც ვერ დამკვიდრდა, ხოლო მწვრთნელთა ბრიგადაში წარსულში ორი დიდებული მცველი — ვიაჩესლავ ფეტისოვი და ლერი რობინსონი ჰყავთ, ცხადია, „ეშმაკები“ კვლავ დაცვაზე ააგებენ თამაშს.

### ნიუ იორკ აილენდერსი

1998-99: +24=10-48, პლეი ოფში ვერ გავიდა
მწვრთნელი: ბატჩ გორინგი
შენაძენი: ფორვარდები — ოლი იოკინენი (ლოს ანჯელესი), დენ ლაკრუა, კრის ფერარო (ორივე ედმონტონი), მცველი ჯემი ჰიუორდი (ნეშვილი)
დანაკარგი: ფორვარდები — ზიგმუნდ პალფი, ტრევორ ლინდერი, ბრაიან სმოლინსკი, ჯო საკო
ლიდერები: ფორვარდი მარიუშ ჩერკაუსკი (21+17), მცველი კენი იონსონი (8+18), მეკარე ფელიქს პოტვინი

რას შეიძლება ელოდოთ გუნდისგან, რომლის ბიუჯეტი 10 მილიონი დოლარია. კლუბიდან ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი მოთამაშე გაიქცა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გუნდი არავის სჭირდება. წინა სეზონში საწვრთნელ ბანაკში გამოცხადებული 49 ჰოკეისტიდან მხოლოდ 14-მა (!) ჩაატარა 25 თამაშზე მეტი. წლეულს ერთადერთი იმედი ახალი თავკაცია. იქნებ 80-იანი წლების ლეგენდარული აილენდერსის წევრმა, გორინგმა შეძლოს ახალგაზრდები გამარჯვების სულისა და შეუპოვრობას აზიაროს.

### ნიუ იორკ რეინჯერსი

1998-99: +33=11-38, პლეი ოფის მიღმა
მწვრთნელი: ჯონ მაკლერი
შენაძენი: ფორვარდები — ტიმ ტეილორი (ბოსტონი), თეო ფლერი, ვალერი კამენსკი, მცველები — სილვენ ლეფევრი (ყველა კოლორადო), სტეფან ქინტალი (მონრეალი), მეკარე კირკ მაკლინი (ფლორიდა)
დანაკარგი: ფორვარდები — უეინ გრეცკი, ნიკლას სუნდსტრიომი, მეკარე დენ კლუტიე
ლიდერები: ფორვარდები — ფლერი (40+53), კამენსკი (13+21), ადამ გრეივსი (38+15), მცველი ბრაიან ლიჩი (13+42)

ხელმძღვანელებმა ყველაფერი გააკეთეს გუნდის გასაძლიერებლად. ასე რომ, თუ რეინჯერსი ზედიზე მესამედ ვერ მოხვდა პლეი ოფში, ეს მოთამაშეების ბრალი იქნება. იმედია, კლუბის მულტიმილიონერი ვეტერანები თავს არ დაზოგავენ. ნიუ იორკში სჯერათ, რომ ფლერი პლუს კამენსკი უდრის გრეცკის.

### ფილადელფია ფლაიერსი

1998-99: +37=19-26 და პლეი ოფის პირველი რაუნდი
მწვრთნელი: როჯერ ნეილსონი
შენაძენი: ფორვარდი მაიკ მანელიუკი (ჩიკაგო)
დანაკარგი: მეკარე რონ ჰექსტოლი, ფორვარდი ჯოდი ჰალი
ლიდერები: ფორვარდები — ერიკ ლინდროსი (40+53), ჯონ ლეკლერი (43+47), როდ ბრინდამორი (24+50), მცველი ერიკ დესჟარდენი (15+36), მეკარე ჯონ ვანბისბრუკი

ბოლო წლებია თასის მუდმივი ფავორიტი პლეი ოფში საკუთარ ჩრდილს ემსგავსება. მიუხედავად იმისა, რომ კლუბის მენეჯერმა ბობი კლარკმა გასულ სეზონში უამრავი გაცვლა განახორციელა (საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გუნდში ყოფილი მოთამაშეები დაბრუნა), მან ლინდროსსა და ლეკლერს სათანადო დონის პარტნიორი მაინც ვერ მოუძებნა.

### პიტსბურგ პინგვინსი

1998-99: +38=14-30, პლეი ოფის მეოთხედფინალი
მწვრთნელი: კევინ კონსტანტინი
შენაძენი: არ არის
დანაკარგი: მცველები — გრეგ ანდრუსაკი, მაქსიმ გალანოვი
ლიდერები: ფორვარდები — იაროსლავ იაგრი (44+83), მარტინ სტრაკა (35+48), ალექსეი კოვალიოვი (23+30), მცველი კევინ ჰეტჩერი (11+27), მეკარე ტომი ბარასო

პიტსბურგს გაუჭირდება შარშანდელი პოზიციების შენარჩუნება. მართალია, მას დიდებული იაგრი ჰყავს, მაგრამ საკითხავი კიდევ ბევრი რამაა — შეძლებს თუ არა სტრაკა ადრინდელივით ბევრი გოლის გატანას, კოვალიოვი კი კვლავინდებურად მაღალ დონეზე და რაც მთავარია, სტაბილურად თამაშს. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ პიტსბურგის ისედაც არასაიმედო დაცვას გაფიცული დარიუს კასპარაიტისი აკლია.

## დასავლეთის კონფერენცია. წყნარი ოკეანის დივიზიონი

### ანაჰაიმ მაითი დაქსი

1998-99: +35=13-34, პლეი ოფის პირველი რაუნდი
მწვრთნელი: კრეიგ ჰარტსბურგი
შენაძენი: მცველები — ოლეგ ტვერდოვსკი (ფინიქსი) და ვიტალი ვიშნევსკი (რუსეთი), ფორვარდი ტედ დონატო (ოტავა)
დანაკარგი: მეკარე პატრიკ ლალიმი, ფორვარდები — ტრევის გრინი, ტომას სანდსტრიომი
ლიდერები: ფორვარდები — პოლ კარია (39+62), ტეემუ სელიანე (47+60), მეკარე გი ებერი, მცველი ფრედერიკ ოლაუსონი (16+40)

თუ ანაჰაიმი შარშანდელივით მხოლოდ კარიასა და სელიანეს იმედად იქნება, პლეი ოფის პირველ რაუნდში (ცხადია, თუ იქ მოხვდა) კვლავ დასავლეთის მონსტრებთან შეჯახება მოუწევს. ეს დუეტი ყოვლისშემძლე როდია, მით უფრო ახლა, როცა კარია ტრავმებმა გააწამა. წლეულს იგი თითქმის არ გამოჩენილა საწვრთნელ ბანაკში და შესაძლოა ჩემპიონატის პირველი მატჩებიც გამოტოვოს. აღსანიშნავია, ოლეგ ტვერდოვსკის შეძენა. შემტევმა მცველმა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს გუნდის რიცხვმრავლობის ბრიგადა, რომელიც შარშან საუკეთესო იყო ლიგაში.

### დალასი სტარსი

1998-99: +51=12-19, თასის მფლობელი
მწვრთნელი: კენ ჰიჩკოკი
შენაძენი: მცველი ჯემი პუშორი (ატლანტა), ფორვარდი პაველ პატერა (ჩეხეთი)
დანაკარგი: მცველები — დუგ ლიდსტერი, კრეიგ ლუდვიგი
ლიდერები: ფორვარდები — ჯო ნუინდაიკი (28+27), მაიკ მოდანო (34+47), ბრეტ ჰალი (32+26), მცველები — დერილ საიდორი (14+34), სერგეი ზუბოვი (10+41), მეკარე ედ ბელფორი

ჩემპიონი წლევანდელ სეზონს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დიდი საკადრო პრობლემებით ხვდება. გარდა „პენსიაზე“ გასული ორი მცველისა, კიდევ 7 ვეტერანის (!), მათ შორის პეტ ვერბიკის, დეივ რეიდის და ბენუა ჰოგის, მომავალიც გაურკვეველია, თუმცა მესვეურები ჯერ კიდევ შარშან აცხადებდნენ, რომ კლუბი გაახალგაზრდავებისკენ აიღებდა კურსს. მართლაც, წლეულს ერთბაშად რამდენიმე ნიჭიერი ჰოკეისტი აპირებს ვეტერანების ღირსეულ შეცვლას. გუნდის ბირთვი, ჯო ნუინდაიკის მეთაურობით ადგილზეა. არც ჰიჩკოკი წასულა არსად. ასე რომ, ჩემპიონი კვლავ პირველობისთვის იბრძოლებს.

### ლოს ანჯელეს კინგსი

1998-99: +32=5-45
მწვრთნელი: ენდი მიურეი
შენაძენი: ფორვარდები — ზიგმუნდ პალფი, მცველი ფრანტიშეკ კაბერლე (ჩეხეთი)
დანაკარგი: ფორვარდი რეი ფერარო, ოლი იოკინენი, მცველები — დეივ ბაბიჩი, დუგ ბოჯერი, მეკარე მენი ლეგასი
ლიდერები: ფორვარდები — პალფი (22+28), იოზეფ შტუმპელი (13+21), ლუკ რობიტაილი (39+35), მცველი რობ ბლეიკი (12+35)

როგორც ხედავთ, „მეფეები“ გვარიანად გაძლიერდნენ. მარტო პირველი სამეული — პალფი-შტუმპელი-რობიტაილი რად ღირს!

ასე რომ, ლოს ანჯელესი პლეი ოფში გასვლისთვის აუცილებლად იბრძოლებს. იმაზეც ბევრია დამოკიდებული, როგორ გაართმევს საქმეს თავს დებიუტანტი მწვრთნელი ენდი მიურეი, რომელიც აქამდე მხოლოდ კოლეჯების გუნდებს და მოყვარულებს ავარჯიშებდა.

### სან ხოსე შარქსი

1998-99: +31=18-33, პლეი ოფის პირველი რაუნდი
მწვრთნელი: დერილ სატერი
შენაძენი: ფორვარდი ნიკლას სუნდსტრიომი (ტამპა)
დანაკარგი: ფორვარდები — შონ ბარი, სტივ გუოლა, მცველები — ანდრეი ზიუზინი, ბილ ჰოულდერი
ლიდერები: ფორვარდები — ვენსან დამფუსი (19+26), მეკარე მაიკ ვერნონი (22+35), ოუენ ნოლანი (19+26), მეკარე მაიკ ვერნონი

ნათქვამია, სოფელი ერთ დღეში არ აშენდებაო, ვერც სან ხოსემ მოახერხა ჯერჯერობით ელიტაში ფეხის მოკიდება, მაგრამ ერთი რამ ცხადია — იმ სამი წლის მანძილზე, რაც დერილ სატერი თავკაცობს, გუნდს წინსვლა დაეტყო. სატერმა ის ჰოკეისტებიც აიყვანა, რომლებიც მის სათამაშო კონცეფციას შეესატყვისებიან. მისმა თითქმის ყველა მოქმედებამ დადებითი ნაყოფი გამოიღო. გუნდს ნამდვილი ლიდერიც ჰყავს — დამფუსი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წლეულს მძიმე ტრავმისგან გამოჯანმრთელებული გერი სუტერიც ბრუნდება, უნდა ვაღიაროთ, რომ „ზვიგენები“ ნამდვილად საშიშ ძალად იქცნენ.

### ფინიქს კოიოტსი

1998-99: +39=12-31, პლეი ოფის პირველი რაუნდი
მწვრთნელი: ბობ ფრენსისი
შენაძენი: მცველი ტოდ გილი (დეტროიტი), ფორვარდები — ტრევის გრინი (ანაჰაიმი), დევიდ ოლივერი (ოტავა)
დანაკარგი: მცველები — ოლეგ ტვერდოვსკი, ჯემი ჰასკროფტი, ფორვარდები — მაიკ სტეპლტონი, ჯიმ კამინსი
ლიდერები: ფორვარდები — კეიტ ტკაჩუკი (36+32), ჯერემი რენიკი (24+48), მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი, მცველი ტეპო ნუმინენი

თუ არ გავითვალისწინებთ გუნდის ფატალურ უიღბლობას პლეი ოფში წინა სეზონი „კოიოტებმა“ წარმატებულად უნდა ჩათვალონ. გავიხსენოთ, რომ 14 მატჩში მათ ვერავინ ამარცხებდათ. წლეულს ფინიქსს ალბათ გაუჭირდება. გუნდიდან წავიდა ჩეხი რობერტ აიხელი, რომელმაც რენიკის არყოფნაში პირველი ცენტრის როლი ჩინებულად შეასრულა.

**სამველ ლარიბიანი**

## უეფას თასი. პირველი ეტაპი.
### საპასუხო მატჩები. 30 სექტემბერი

UEFA CUP

სერვეტი (შვეიცარია) 1:2 *არისი (საბერძნეთი)* (1:1)
1:0 ლონფატი (35), 1:1 ადრიოლი (37), 1:2 კიცერიდისი (90)

ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) 1:0 *ატლეტიკო (ესპანეთი)* (0:3)
1:0 ალშანჩაკი (84)

ბრიონდბიუ (დანია) 4:3 *ამიცა (პოლონეთი)* (0:2)
1:0 მადსენი (37), 1:1 კრიშალოვიჩი (52), 2:1 და სილვა (54), 2:2 კუკიელა (63პ), 2:3 კრიშალოვიჩი (68), 3:3 მადსენი (76), 4:3 კრისტენსენი (78)

*იუვენტუსი (იტალია)* 5:0 ომონია (კვიპროსი) (5:2)
1:0, 2:0 კოვაჩევიჩი (21, 47), 3:0 ტაკინარდი (55), 4:0 კოვაჩევიჩი (80), 5:0 კონტე (90)

კილმარნოკი (შოტლანდია) 0:2 *კაიზერსლაუტერნი (გერმანია)* (0:3)
0:1 ჯორკაეფი (22), 0:2 რამზი (29)

დუკლა (სლოვაკეთი) 1:3 *აიაქსი (ჰოლანდია)* (1:6)
1:0 მალატინსკი (45), 1:1 არველაძე (47), 1:2 ბობსონი (64), 1:3 ლაუდრუპი (90)

*გრასჰოპერი (შვეიცარია)* 1:1 აკადემისკი (დანია) (2:0)
0:1 პანსენი (30), 1:1 მარგო (79)

სპარტაკი (სლოვაკეთი) 2:1 *გრაცერი (ავსტრია)* (0:3)
0:1 სტანდფესტი (14), 1:1, 2:1 მუჟლაი (45, 70)

*ნანტი (საფრანგეთი)* 1:0 იონიკოსი (საბერძნეთი) (3:1)
1:0 და როჩა (48)

*ვიტესი (ჰოლანდია)* 0:0 ბეირა მარი (პორტუგალია) (2:1)

ბრიუგე (ბელგია) 4:2 *ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი)* (1:3)
0:1 როსო (18), 1:1 ვერშეიენი (20), 2:1 ბორკელმანსი (26), 3:1 იანსენი (52), 3:2 როსო (79), 4:2 იანსენი (92)

*სელტა (ესპანეთი)* 4:0 ლოზანა (შვეიცარია) (2:3)
1:0 მაკარტი (10), 2:0 მოსტოვოი (76), 3:0, 4:0 მაკარტი (85, 90)

ლიერსი (ბელგია) 3:4 *ციურიხი (შვეიცარია)* (0:1)
0:1 ჯამარაული (2), 1:1 ვან მეირი (16), 1:2 ფრიკი (57), 2:2 პისეგემსი (71), 3:2 ზდებელი (82), 3:3 ეიდელი (87), 3:4 დაემსი (89 ს.კ.)

ოლიმპია (სლოვენია) 0:3 *ანდერლეხტი (ბელგია)* (1:3)
0:1 კოლერი (63), 0:2, 0:3 რაძინსკი (69, 72)

ზიმბრუ (მოლდოვა) 0:0 *ტოტენჰემი (ინგლისი)* (0:3)

ოსიეკი (ხორვატია) 1:3 *ვესტ ჰემი (ინგლისი)* (0:3)
0:1 კიტსონი (27), 1:1 ბუბალო (70), 1:2 რადოკი (83), 1:3 ფოე (90)

ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) 0:1 *სელტიკი (შოტლანდია)* (0:2)
0:1 ლარსონი (63)

კარპატი (უკრაინა) 1:1 (2:4 პენ.) *ჰელსინგბორგი (შვედეთი)* (1:1)
0:1 იონსონი (89), 1:1 გეცკო (90)

*გიოტებორგი (შვედეთი)* 0:0 ლეხი (პოლონეთი) (2:1)

*ლოკომოტივი (რუსეთი)* 3:0 ლიუნგბიუ (დანია) (2:1)
1:0 ხარლაჩოვი (20), 2:0 დროზდოვი (43), 3:0 ჯანაშია (44)

შახტარი (უკრაინა) 1:3 *როდა (ჰოლანდია)* (0:2)
0:1 ჩუტანგი (27), 1:1 ბენიო (32), 1:2 ვან დერ ლუერი (82), 1:3 ვან დესელი (89)

*ლევსკი (ბულგარეთი)* 3:0 ჰაიდუკი (ხორვატია) (0:0)
1:0 ივანკოვი (16პ), 2:0 ბაჩევი (32), 3:0 დიმიტროვი (84)

*მალიორკა (ესპანეთი)* 0:0 სიგმა (ჩეხეთი) (3:1)

*სლავია (ჩეხეთი)* 3:2 ვოივოდინა (იუგოსლავია) (0:0)
0:1 ბელიჩი (18), 1:1 პეტრუსი (39), 1:2 ბოგდანოვიჩი (47), 2:2 დოშეკი (73), 3:2 ზელენკა (82)

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 2:0 გორიცა (სლოვენია) (1:0)
1:0 სიგურდსონი (38), 2:0 ნასიოპულოსი (69)

რაპიდი (ავსტრია) 1:2 *ინტერი (სლოვაკეთი)* (0:1)
0:1 სუჩანოკი (45), 0:2 ბაბნიჩი (64), 1:2 ცინგლერი (65)

*ლეგია (პოლონეთი)* 2:0 ანორთოსისი (კვიპროსი) (0:1)
1:0 მიციელი (48), 2:0 ჩერეშევსკი (68)

სენტ ჯონსტონი (შოტლანდია) 3:3 *მონაკო (საფრანგეთი)* (0:3)
1:0 ლეონარდი (5 ს.კ.), 1:1 პრსო (9), 1:2 რიისე (24), 2:2 დასოვიჩი (33), 2:3 ლეგვინსკი (69), 3:3 ონილი (76)

სეტუბალი (პორტუგალია) 1:0 *რომა (იტალია)* (0:7)
1:0 მაკი (79)

*ნიუკასლი (ინგლისი)* 2:2 ცსკა (ბულგარეთი) (2:0)
0:1 ლიტერა (29), 1:1 შირერი (32), 2:1 რობინსონი (88), 2:2 სიმეონოვი (90)

*ვიძევი (პოლონეთი)* 2:0 სკონტო (ლატვია) (0:1)
1:0 ვიშნიარეკი (1), 2:0 გესიორი (43)

*ბოლონია (იტალია)* 2:2 ზენიტი (რუსეთი) (3:0)
0:1 პანოვი (35), 1:1 ფონტოლანი (39), 2:1 კიპრიანი (74), 2:2 კონდრაშოვი (89)

*ვერდერი (გერმანია)* 1:1 ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) (5:0)
0:1 სტაურვიკი (36), 1:1 და სილვა (76)

ფერენცვაროში (უნგრეთი) 1:1 *ტეპლიცე (ჩეხეთი)* (1:3)
0:1 რადა (53), 1:1 მატისი (57)

*ლანსი (საფრანგეთი)* 2:1 მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) (2:2)
0:1 ბასისი (23), 1:1 ნუმა (78), 2:1 დელპორტი (80)

ფენერბაჰჩე (თურქეთი) 0:2 *მტკ (უნგრეთი)* (0:0)
0:1, 0:2 კენეშეი (56, 63)

კრივბასი (უკრაინა) 0:3 *პარმა (იტალია)* (2:3)
0:1 ბოგოსიანი (36), 0:2 კრესპო (40), 0:3 დი ვაიო (67)

დინამო (რუმინეთი) 0:2 *ბენფიკა (პორტუგალია)* (1:0)
0:1 მანიჩე (26), 0:2 ფერნანდესი (72)

სპორტინგი (პორტუგალია) 1:0 *ვიკინგი (ნორვეგია)* (0:3)
1:0 აიეუ (76პ)

*ლიონი (საფრანგეთი)* 5:1 ჰიკ (ფინეთი) (1:0)
1:0 ანდერსონი (11), 2:0 ბლანი (15), 3:0 ლინარი (18), 3:1 ლეკოსუო (40), 4:1, 5:1 ვერელი (71, 85)

*დეპორტივო (ესპანეთი)* 2:0 სტაბეკი (ნორვეგია) (0:1)
1:0 იოკანოვიჩი (37), 2:0 კონსეისაო (63)

ოლბორგი (დანია) 1:2 *უდინეზე (იტალია)* (0:1)
0:1 მუცო (63), 1:1 მატოვაჩი (71), 1:2 ლოკატელი (90)

*ლიდსი (ინგლისი)* 1:0 პარტიზანი (იუგოსლავია) (3:1)
1:0 ჰაკერბი (55)

# ჯანაშიამ გაიტანა... ჯამარაულმა გაიტანა! არველაძემ გაიტანა...

გუშინდელი ევროსალამო ერთობ ორიგინალურად დაიწყო: ყველაზე ადრეულ შეხვედრაში, „ლევსკი“ — „ჰაიდუკი“, ანგარიში მეკარემ გახსნა... სოფიელთა კარის მცველმა დიმიტარ პეტკოვმა მე-16 წუთზე სპლიტელ კოლეგას სტიპე პლეტიკოსას, პენალტი გაუტანა.

შემდეგ კი თამაშს თამაში მოჰყვა, რომელთაგან ჩვენი ყურადღება, ბუნებრივია, ქართული და უცხოეთში მოთამაშე ქართველების გუნდებისკენ იყო მიპყრობილი.

ქართული გუნდები რა დღესაც დაგვაყრიდნენ დიდი მისნობა არ ჭირდებოდა, სამაგიეროდ ლეგიონერებმა გვასიამოვნეს. უცხოური გუნდებისთვის გატანილი მათი გოლები მართალია ისეთ სიხარულს ვერ მოგვგრის, ჩვენებური გუნდის გამარჯვებით გამოწვეულს რომ გაუტოლდეს, მაგრამ...

პირველი ცნობა მოსკოვიდან მოვიდა. „ლოკომოტივმა“ დანიურ „ლიუნგბიუს“ 3:0 მოუგო და სამიდან ერთი, ბოლო გოლი მისმა ვარსკვლავმა ზაზა ჯანაშიამ გაიტანა. აღსანიშნავია, რომ მოსკოველებმა სამივე შესვენებამდე გაიტანეს. ზაზამ ტაიმის დამთავრებამდე წუთით ადრე მიაღწია მიზანს. „ლოკომოტივი“ მეორე ეტაპზეა.

გელა შეყილაძის „ლიერსი“ გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხთან“ არკვევდა ურთიერთობას. პირველი შეხვედრა, მოგეხსენებათ, ჯამარაულის გოლით შვეიცარიელებს ჰქონდათ მოგებული. საპასუხოშიც „ციურიხმა“ იმარჯვა. ანგარიში აქაც ჯამარაულმა გახსნა. მისმა შედეგიანმა დარტყმამ სტუმრები მეორე წუთზევე დააწინაურა. თუმცა ამის შემდეგ მეტოქეებმა კიდევ ექვსი გოლი გაუტანეს ერთმანეთს. 4:3 ასე მოიგო შვეიცარიის გუნდმა, ხოლო ქართველებმა ჯამში 135 წუთი ითამაშეს — ყაველაშვილმა მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე ჯამარაული შეცვალა, ხოლო „ლიერსში“ ფრანკ ლეენის ნაცვლად შეყილაძემ მეორე ტაიმში ითამაშა.

რაც შეეხება შოთა არველაძეს, მან სლოვაკურ „დუკლა ბანსკას“ მეორე ტაიმის მეორე წუთზე გაუტანა გოლი. მანამდე „აიაქსი“ 0:1-ს აგებდა, არველაძის დარტყმის შემდეგ კი მისმა ამსტერდამელმა თანაგუნდელებმა კევინ ბობსონმა და ბრაიან ლაუდრუპმა თითოც შეაგდეს. ორი შეხვედრის ჯამში „აიაქსმა“ 9:2 მოიგო.

**მიხეილ სურგულაძე**



ლიერსი — ციურიხი 3:4. ციურიხელთა პირველი და მეორე გოლის ავტორები გოჩა ჯამარაული (მარჯვნივ) და მარიო ფრიკი




ლიონი — ჰიკი 5:1. დავიდ ლინარის გოლი ვანი ვიანდერის კარში

## კასპაროვი — მსოფლიო



1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კ×d7+ ლ×d7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 c×d4 9. მ×d4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლ×e4 12. მc7+ მფd7 13. მ×a8 ლ×c4 14. მb6+ a×b6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მ×e4 ლ×e4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ე×a4 22. ე×a4 ლ×a4 23. ლ×h7 კ×b2 24. ლ×g6 ლ×e4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლ×e6+ მფ×e6 32. g3 f×g3 33. f×g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კ×d4 e×d4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6 45. მფe4 მფc2 46. ეh1 d3 47. მფf5 b1=ლ 48. ე×b1 მფ×b1 49. მფ×g6 d2 50. h8=ლ d1=ლ 51. ლh7




**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli